საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი

# ლელო

№013 (12 083)
18 იანვარი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

● ფეხბურთი



## ოცეულო, სწორდი!

ჰაინც ტოპმიოლერმა შემადგენლობა დაასახელა 2

## ფეხბურთის თანადგომა ჩვენი ვალია

ინტერვიუ გოგი თოფაძესთან 2

● კალათბურთი



## შერმადინის 54 ქულა

მიხეილ ძორძიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი 12

ჩვენი პარტნიორია
CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK

# აგენტი რისი აგენტია, თუ ჯიბე არ გაისქელა

თემა განსჯისთვის 3

# ჩაშლილი ტრანსფერის საიდუმლო

## ჰოლანდიური პრესა: ალკმაარს ცქიტიშვილი არ დასჭირდა

## აქი ფინანსებზე ვერ შევთანხმდითო?



ლევან ცქიტიშვილის ჩაშლილ ტრანსფერს "ალკმაარის" ოფიციალური ვებ-გვერდი გამოეხმაურა. იქ ახსნილია, თუ რატომ ვერ გადავიდა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი საბერძნეთიდან ჰოლანდიაში. ამის შესახებ შიდა გვერდზე წაიკითხავთ, აქ კი შემოგთავაზებთ თავად ცქიტიშვილის მიერ „ლელოსთვის" გაკეთებულ კომენტარს:

"იყო ფინანსური შეუთანხმებლობაც, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ ვან გაალმა ჩემთან თანამშრომლობისგან თავი შეიკავა. მან პირისპირ საუბრისას გულახდილად მითხრა, რომ აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს, ჩემი დატოვების შემთხვევაში კი მათ სათამაშო პრაქტიკა მოაკლდებოდათ. მიუხედავად ამისა, ახალი გუნდის პოვნის იმედი არ დამიკარგავს, მაქვს რამდენიმე ვარიანტი, რომელთა დაკონკრეტებისგანაც თავს შევიკავებ. თუ ხელსაყრელი წინადადება არ მივიღე, "პანიონიოსში" ზაფხულამდე დავრჩები და ყველაფერს ვილონებ საიმისოდ, რომ ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდე".

რა დაიწერა ჰოლანდიურ პრესაში 3



# ვარსკვლავი მხოლოდ მაშინ გახდები, თუ მტკიცე ხასიათი გაქვს

ინტერვიუ კახა კალაძესთან 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

სერთოთირო

# ქართულ... აფრიკული პარადოქსები

...პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ - ყველა დღესასწაული ორ-ორი გვაქვს. შობას, ბედობას, ახალ წელს, ყველაფერს ორ-ორჯერ ალვნიშნავთ... ეგ კი არა, ამ ყველაფერი "ორ-ორის" გამო ხშირად ჟურნალისტებიც უხერხულ სიტუაციაში ვვარდებით. მოკლედ, ველარ გაგვიგია, ვის როდის აქვს "ნაღდი" დაბადების დღე და, შესაბამისად, წარსულში გამოჩენილ ფეხბურთელს როდის მივულოცოთ. აი, ახლაც, იანვარში უკვე ორჯერ ალმოვჩნდით კურიოზულ სიტუაციაში. ჯერ იყო და "ლელოს" ფურცლებიდან 9 იანვარს დაბადების დღე შოთა ხინჩაგაშვილს მივულოცეთ. არადა, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა ორი დღის მერე გვისაყვედურა, სხვა დროს ვარ დაბადებულიო. როგორი საქმეა? ჰოდა, ვიწყებთ ძველი ცნობარების გადამოწმება-გადაქექვას და თითქმის ყველგან ამ მართლაც ჩინებული ფეხბურთელის დაბადების დღედ 9 იანვარია მითითებული. თუმცა არა, ერთგან 9 მაისსაც წავაწყდით; მაგრამ, როცა შარშან გამოცემული ქართული სპორტის ენციკლოპედია ვნახეთ, იქ უკვე... 12 დეკემბერია მითითებული. გაიგეთ, რამე? და ასეა ბევრ სხვა შემთხვევაშიც.

არ დაგიმალავთ და წლევანდელი 9 ოქტომბრისთვის საგულდაგულოდ ვემზადებოდით - "საუკუნის გოლის" ავტორს ვიტალი დარასელიას ამ დღეს 50 წელი შეუსრულდებოდა. რა თქმა უნდა, მანამდე დიდი დროა, მაგრამ მაინც ადრევე გვინდოდა თადარიგის დაჭერა, მაგრამ "ალმოჩნდა", რომ დარასელიას "ნამდვილი" დაბადების დღე 9 იანვარს ჰქონია...

ჰოდა, ჩვენ როგორლა მოვიქცეთ? როდის მივულოცოთ ქართული ფეხბურთის მართლაც დამსახურებულ ვეტერანებს "მრგვალი" თარიღები? თანაც, მარტო თვე და რიცხვებში რომ იყოს ცდომილება, ამას, არა უშავს. ეგ კი არა, "ბოროტ ენებს" თუ დავუჯერებთ, ზოგიერთ ფეხბურთელს ერთი, ორი ან სამი წელიც ჰქონია დაკლებული. თუმცა ამ ქვეყანაზე ბოროტ ხალხს რა გამოლევს; და თუ ვინმეს მართლაც აქვს ერთი ან ორი წელი (სამი მეტისმეტია) მოკლებულ-მოპარული, ესე იგი, სჭირდებოდა. სჭირდებოდა ათასგვარი ასაკობრივი ნაკრებისათვის. უფროსი თაობის ქომაგებს, ალბათ, ემახსოვრებათ, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა, იუნიორთა თუ ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის ჩემპიონატებიდან მუდამ ოქროს მედლებით ბრუნდებოდნენ. ანუ, იმის თქმა გვინდა, რომ მარტო საქართველოში არ ხდებოდა ასეთი რამეები.

ან, რა - მერე არ ხდებოდა? თუნდაც ეროვნული ჩემპიონატი ავილოთ - ოთხი ან ხუთი სეზონი ითამაშებდა ჩვენს რომელიმე გუნდში ფეხბურთელი, მერე, 27-28 წლის ასაკში უკრაინასა თუ რუსეთის პირველ ლიგაში სათამაშოდ გაემგზავრებოდა; იქაც ორ-სამ წელს წაიბურთავებდა და საქართველოში... უფრო ახალგაზრდა ჩამოდიოდა!

... სამწუხაროდ, ასაკით მანიპულირებაში ქართველები მსოფლიოში პირველობას ვერ დავიჩემებთ. ამ მხრივ აფრიკელებს რახანია კონკურენტი არა ჰყავთ და არც ეყოლებათ დიდი ხანი. როგორ გგონიათ, მართლაც 16-17 წლისანი იყვნენ კანუ, ოკოჩა, ბაბანგიდა, მარტენსი და ადებაიორი, ევროპული გრანდების ძირითადში რომ თამაშობდნენ? ჰო, ენტონი იებოა დაგვავიწყდა, ძალიან მაგარი ფორვარდი იყო და გერმანელმა ჟურნალისტებმა ამოუქექეს, რომ 1964 წელს კი არა, ორი წლით ადრე ყოფილა დაბადებული. ამის გამო იებოა ბუნდესლიგიდან კი წავიდა, მაგრამ ჯერ ინგლისში ითამაშა, მერე კი აზიაში აგორებდა ბურთს. თან, თურმე, გერმანელ ჟურნალისტებზეც ხარხარებდა: ვაი, მაგათ პატრონს, თვითონ არ ვიცი, როდისა ვარ დაბადებულიო...

**გია ტუხაშვილი**

P.S. ჰო, მაგრამ, ჩვენ რაღა ვქნათ?



19-წლამდელთა ნაკრები

# ტოპმიოლერის სია გაცხადდა

კვირის ბოლოს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები თურქეთში გაემგზავრება და ტრაბზონში გაივლის მოსამზადებელ შეკრებას. გუშინ ტრაბზონული შეკრების დეტალები გაირკვა, ასევე გაცხადდა **ჰაინც ტოპმიოლერის** მიერ თურქული შეკრებისთვის გამოძახებულთა შემადგენლობა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესცენტრის ცნობით, ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი 19 იანვარს თბილისიდან ბათუმში ეროვნული ნაკრების ავტობუსით გაემგზავრება. მომდევნო დღეს, 20-ში კი ტრაბზონში გადავა და იქვე თურქეთის ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდება. ჩვენი 19 წლამდელები 22 და 24 იანვარს ამხანაგურ მატჩებს გამართავენ. მეტოქეთა ვინაობა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ გარკვეულა. სავარაუდოდ, 22 იანვარს ჰაინც ტოპმიოლერის კრებული "ტრაბზონსფორის" ახალგაზრდულ გუნდს დაუპირისპირდება. 24-ში კი რეგიონის ნაკრებთან მოსინჯავს ძალებს.

თურქული შეკრებისთვის მწვრთნელმა ნაკრებში 20 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: რევაზ თევდორაძე (დილა), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი).

მცველები: დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე (ყველა ამერი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ვახტანგ ქვრივიშვილი, ლაშა თოთაძე (ორივე გაგრა), ამირან სანაია (ზესტაფონი).

ნახევარმცველები: მირზა ბჟალავა, ალექსი ბენაშვილი, გიორგი განუგრავა, მურთაზ დაუშვილი, გიგი ხიდეშელი (ყველა ზესტაფონი), ლევან ყენია (ლოკომოტივი), დავით თარგამაძე (დინამო), გიორგი ნიკოლაიშვილი (ამერი).

თავდამსხმელები: რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი).

თავად ჰაინც ტოპმიოლერი გუნდს 20 იანვარს ტრაბზონში შეუერთდება და მოსამზადებელი შეკრების დასრულების შემდეგ თბილისშიც ჩამოჰყვება. ტრაბზონში გასამართ ამხანაგურ მატჩებში ჩვენს 19-წლამდელთა გუნდს ისევ **მირზა ბჟალავა** უკაპიტნებს.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ გოგი თოფაძესთან

# ფეხბურთის თანადგომა ქართული ბიზნესის ვალია



გოგი თოფაძე

**კომპანია "ყაზბეგი" ქართული ფეხბურთის განვითარების კონკრეტულ გეგმებს ადგენს. პროფესიული ფეხბურთის ლიგასთან გაფორმებული კონტრაქტი მალე მთელი ძალით ამოქმედდება. გუშინ კომპანიის პრეზიდენტ გოგი თოფაძეს საფეხბურთო გეგმებზე ვესაუბრეთ, ამასთან, არაერთი საინტერესო ამბავი გაიხსენა.**

**- საქართველოს ჩემპიონატში ფულის დაბანდება არაპრესტიჟულად ითვლებოდა. თუკი ვინმე დაინტერესდებოდა, ბიზნესმენები მას დასცინოდნენ კიდეც. ახლა ისეთი რა მოხდა, "ყაზბეგმა" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსა და თასს ყურადღება რომ მიაქცია?**

- საერთოდ, ფეხბურთი მთელ მსოფლიოში უდიდეს ინდუსტრიად გადაიქცა და მოდით, ბიზნესის ინტერესებსაც ნუ გამოვრიცხავთ. რაც მთავარია, საქართველოში არიან ნიჭიერი ფეხბურთელები. თუკი მათ საჭირო პირობებს შევუქმნით, ავაშენებთ სტადიონებს, ნორმალურ მოედანზე ვათამაშებთ და საჭიროების შემთხვევაში, უცხოელებსაც ჩამოვიყვანთ, საქართველოს ჩემპიონატი აუცილებლად განვითარდება.

**- ორიოდე წლის წინ გუნდის სპონსორობასაც აპირებდით, მაგრამ მაშინ ეს ვარიანტი რატომღაც ჩაიშალა...**

- უმაღლესში გუნდი არ აგვიყვანია, მაგრამ საფეხბურთო სკოლას 4 წელი ვინახავდით. თუმცა, მაშინ ბიზნესგათვლები არ გაგვიკეთებია. ნიჭიერი ბავშვების დახმარება გვსურდა და როგორც ვიცი, ახლა ბევრი მათგანი საკმაოდ წარმატებით თამაშობს.

**- ქართული ფეხბურთის უპირველეს ნაკლად რას მიიჩნევთ?**

- ეს კომპლექსური საკითხია. მინუსებიც ჩვენი ცხოვრების ანარეკლია. საქართველოში ამდენი ექსცესი მოედანზე მსაჯების დაბალი კვალიფიკაციისა და არაობიექტურობის გამო ხდება. ხალხს ისედაც ძალიან უჭირს. ამ დროს, მსაჯის მიკერძოება დამატებითი სანერვიულოა და ზოგი თავს ველარ იკავებს. გაიხსენეთ, რა მოხდა ლანჩხუთში. ეს ერთ-ერთი ტიპური პრეცედენტია.

აუცილებლად მიმაჩნია ბაზებისა და სტადიონების კეთილმოწყობა. აი, რაში უნდა ჩაიდოს ყველაზე დიდი თანხა. სხვათა შორის, "ყაზბეგი" მზად არის, ასეთი ტიპის მშენებლობებში ჩაერთოს. თუკი რომელიმე კლუბი საინტერესო პროექტს შემოგვთავაზებს, სიამოვნებით დავეხმარებით.

ბევრი რამ შეიძლება რაიონის ხელმძღვანელის დონეზე გაკეთდეს. ბოლნისში ვიყავი და იქ ბევრი რამ აუშენებიათ, მათ შორის, ძალიან ლამაზი სტადიონი. თუნდაც პატარა სტადიონის აშენებით სხვა რაიონის ხელმძღვანელობა რეგიონსაც შეეწევა და ქართულ ფეხბურთსაც. ვფიქრობ, ეს ის მთავარი მიმართულებებია, რომელზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს.

**- მართალია, თუ არა, რომ ეროვნული თასის პარალელურად საქართველოს ჩემპიონატის გენერალური სპონსორობაც გსურთ?**

- წელს თასს მივხედავთ და მომავალი სეზონიდან ეროვნული ჩემპიონატზეც დავილაპარაკებთ. ვხედავ, რომ დღეს ქართულ ფეხბურთის სათავეში მოსული ადამიანები რალაცის გაკეთებას ცდილობენ და მათ ბიზნესის თანადგომა სჭირდებათ.

**- არსებული გარემოს გათვალისწინებით, დღეს ქართული ფეხბურთისთვის უფრო პრესტიჟული "ყაზბეგთან" თანამშრომლობა, ვიდრე თქვენთვის. ვითომ დადგება ის დრო, როდესაც ცნობილი კომპანიები ერთმანეთს გენერალურ სპონსორობას შეეცილებიან?**

- რატომღაც მგონია, რომ ასეც იქნება. ფეხბურთში სასიკეთო ძვრები დაიწყო. სულაც არ მეწყინება, თუკი ჩვენ მაგალითს სხვები მიბაძავენ და ეროვნული თასის, ან ჩემპიონატის გენერალური სპონსორობისთვის გაცილებით მეტს გადაიხდიან. ჩვენ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები ვართ და რაც მეტი თანხა ჩაიდება, ფეხბურთიც უფრო განვითარდება.

ჩვენ "დინამოს" ადრე სტუმრების მილებაში ვეხმარებოდი. უფროსი ნოდარ ახალკაცი ძალიან დიდი პიროვნება იყო. მახსოვს, ესპანეთში საბჭოთა ნაკრების გამოსვლის შემდეგ, გაზაევს, ბუბნოვსა და ბლოხინს ვუმასპინძლე. ბუბნოვი სპარტაკელი იყო და ამტკიცებდა, რომ ბესკოვზე უკეთესი მწვრთნელი არ არსებობდა. იმ დროს ბლოხინს ლობანოვსკისთან ურთიერთობა დაეძაბა და მისი ქებით თავი არ მოუკლავს. გაზაევმა კი თქვა, რომ ბესკოვი და ლობანოვსკი ახალკაცის დონის სპეციალისტები არ იყვნენ. კაცი ყველას აგიჟებდა. ლენინგრადის "ზენიტის" დუბლშემადგენლობის თითოეული წევრის ნაკლი ხუთი თითივით იცოდა და თამაშამდე ფეხბურთელებს მეტოქის მინუსებზე ყურადღებას უმახვილებდა, ვის არ ჰქონდა ტექნიკა, ვის უჭირდა სწრაფი თავდამსხმელის გაჩერება და ა.შ.

რა თქმა უნდა, ბესკოვიც და ლობანოვსკიც ძალიან ძლიერი მწვრთნელები იყვნენ, მაგრამ მსაჯებთან მიმართებაში რასაც ჩადიოდნენ ყველამ კარგად იცის. კიევის "დინამო" საკითხს ანდრეი ბიბას დახმარებით აგვარებდა, "სპარტაკს" სპორტულ-ტექნიკურ კომიტეტში 19-დან 15 წევრი ჰყავდა და დაშინებული მსაჯები მოსკოველებს ემხრობოდნენ. "ზენიტს" ლენინგრადის ცენტრში ხუთოთახიანი ბინა საგანგებოდ მსაჯების სამასპინძლოდ ჰქონდა დაქირავებული. შავოსნებთან ტკბილი ურთიერთობით უზბეკეთიც ცნობილი იყო. მათი გავლენისგან თბილისის "დინამოს" დაცვა სჭირდებოდა და ჩვენც ვცდილობდით.

ფეხბურთი რთული სფეროა, ზედაპირზე ყველაფერი არ ჩანს. ქართული ფეხბურთი ისედაც ღარიბია და მას დაცვა და გაძლიერება სჭირდება.

**- ახლა მაინც გვითხარით, ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი რატომ ჩაშალეთ?**

- ფედერაციასა და ეროვნულ ნაკრებთან კონტრაქტის მიხედვით, ორ წელიწადში 150 ათას დოლარი გავილეთ. ხელშეკრულების ვადა ამოიწურა და ახლა უფრო მიზანშეწონილად საქართველოს ჩემპიონატს თანადგომა მივიჩნიეთ. თორემ, ნოდარ ახალკაცი ძალიან მიყვარს თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი მეგობრის შვილია. უბრალოდ, შიდა პირველობას უნდა მივხედოთ.

**- "ყაზბეგი" პროფესიული ფეხბურთის ლიგასთან ახალი პროექტების განხორციელებას აპირებს. იქნებ, დაგვიკონკრეტოთ?**

- დიახ, პროექტები საკმაოდაა და მას ჩემი შვილი გიორგი წარმართავს. ჯერ ყველაფერს ვერ გეტყვით, მაგრამ იგი სტადიონზე მაყურებლის მოზიდვას და დონის ამაღლებას აუცილებლად შეუწყობს ხელს. ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილის მიმართულებები ძალიან მოგვწონს და ყველანაირად დავეხმარებით. მიმაჩნია, რომ ეს ყველა ქართველი ბიზნესმენის ვალია.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ჩაშლილი ტრანსფერი

# გოგუას შოტლანდია ჩაუშალეს

## სანაცვლოდ: ტომი ან სატურნი

**გოგიტა გოგუას** საკითხი საბოლოოდ გაირკვა. მას შოტლანდიის "ჰართსთან" გამზადებული კონტრაქტი ჩაუშალეს და გუშინ იძულებული გახდა, რუსეთში გაბრუნებულიყო.

*"მე ვნახე ის გუნდი, რომელში თამაშსაც დიდ ფეხბურთში გადასვლის შემდეგ ვოცნებობდი. ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი გუნდი ჩემით თუ დაინტერესდებოდა და როცა ეს შანსი რეალური იყო, დარჩენის საშუალება არ მომცეს"*, - ეს სიტყვები გამომგზავრებამდე პრივატულ საუბარში თქვა ქართველმა ნახევარმცველმა.

ამ საშურ ტრანსფერს წინ რუსი მენეჯერი **ანდრეი ჩერვიჩენკო** ალუდგა. მის წრეში მოიაზრებიან **მამუკა ჯულელი** და **ახრიკ ცვეიბა**. "ხიმკის" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს ნაკრების ფეხბურთელის სატრანსფერო ფურცელს განაგებს და მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ გოგუას პრემიერლიგელ "ხიმკისთან" მრავალწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა და "ჰართსსა" და გოგიტას "ხიმკის" სახელით ფიფაში ჩივილით დაემუქრა.

სინამდვილეში კი, ეს კაცი "ხიმკიდან" 2005 წლის შემოდგომაზე წამოვიდა და კლუბთან ურთიერთობაც გაწყვიტა.

შესაბამის დოკუმენტაციას არ ვფლობთ და აქედან გამომდინარე, ვერაფერს ვამტკიცებთ. არადა, ამბობენ, რომ ჩერვიჩენკო შოტლანდიაში ფულს ვერ ათეთრებდა, რუსული კლუბებისთვის კი ეს ჩვეული მოვლენაა და გარიგებაც ამიტომ ჩაშალაო.

დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ ჩერვიჩენკომ ქართველი ფეხბურთელის სურვილი ფეხებზე დაიკიდა და კატეგორიულად მოსთხოვა რუსეთში დაბრუნება. გოგიტას სხვა გზა აღარ დარჩა და გუშინ საღამოს მოსკოვში გულნატკენი გაემგზავრა. გული როგორ არ დაწყდებოდა, როდესაც "ჰართსში" საუკეთესო პირობებს სთავაზობდნენ და ამ ეტაპისთვის ინგლისური პრემიერლიგისკენ უმოკლესი გზა მოუჭრეს.

ეს გზა ანდრეი ჩერვიჩენკოსთვის მიულებელია. გოგიტა გოგუასა და მასთან ერთად, კიდევ რამდენიმე ქართველ მოთამაშესაც, მედიის თანადგომა სჭირდება. ვითომ მის ბედზე მზრუნველი ადამიანები, სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ფიქრობენ. თავისთავად, ფულის კეთება ცუდი არაა, მაგრამ გააჩნია, საამისოდ რა გზებს მიმართავ.

ის, რაც ნორმალური ადამიანებისთვის აბსურდია, როგორც ჩანს, რუსეთში წესია. ქართველი ფეხბურთელი ოფიციალურად სწორედ ჩერვიჩენკოს ეკუთვნის და არა "ხიმკის". გაოცებას სწორედ ეს ფაქტი იწვევს. წესით, ფეხბურთის ფედერაცია ამ შეთანხმების კანონიერებით უნდა დაინტერესდეს, რადგან ფიფა კონტრაქტის ასეთ ნაირსახეობას არ ცნობს. ამასთან რუსი მენეჯერი და მის გვერდით მდგომნი გაურკვევლობას თავის სასარგებლოდ იყენებენ და გოგუას კონტრაქტით ხან ჩერვიჩენკოსთან აკავშირებენ, ხან "ხიმკისთან". საბოლოოდ კი ისევ ქართული ფეხბურთი და ჩვენი ეროვნული ნაკრები ზარალდება.

გაიხსენეთ, რომ სწორედ ანდრეი ჩერვიჩენკომ მიიწვია მოსკოვის "სპარტაკში" საქართველოს ნაკრების წევრები **ვალერი აბრამიძე, გიორგი ლომაია, კახა მჟავანაძე** და ყველა მათგანმა ნაკრებში ადგილი დაკარგა, კარგა ხანი უთამაშებლობით გაუცდათ და ა.შ. საინტერესოა, ამას რატომ სჩადის ქართველ ფეხბურთელებზე "შეყვარებული" მენეჯერი?

ქართულ ფეხბურთში ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, როდესაც ფეხბურთელს სასურველ გუნდში არ უშვებენ. 1997 წელს **ლევან კობიაშვილს** ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული დორტმუნდის "ბორუსია" იწვევდა და რატომღაც, პირველ ბუნდესლიგელ "ფრაიბურგთან" გააფორმებინეს ხელშეკრულება.

1997 წელს **დათო მუჯირით** ტურინის "იუვენტუსი" დაინტერესდა. აქაც ყოვლად აუხსნელი მოვლენები დატრიალდა და იტალიური გრანდის ნაცვლად, ნიჭიერი ქართველი მოლდოვაში (?!), ტირასპოლის "შერიფში" ამოჩნდა.



გოგიტა გოგუა

1999 წელს **ზაზა ჯანაშიამ** "შტუტგარტიდან", "ვერდერიდან", "ლაციოდან" და "ინტერიდან" მიწვევები მიიღო. მოსკოვის "ლოკომოტივმა" მასში უზარმაზარი თანხა მოითხოვა და ტრანსფერი ჩაშალა. მერე ზაზას კარიერა როგორც აერია, ყველას მოგეხსენებათ.

ყველა ჩაშლილ ტრანსფერს ვერც გავიხსენებთ. მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მათი განხორციელებით, დღეს საქართველოს გაცილებით ძლიერი ნაკრები და უფრო ტიტულოვანი ფეხბურთელები ეყოლებოდა.

საწყენია ისიც, რომ გოგიტა გოგუას შოტლანდიაში კარგი პრესა დახვდა, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. შოტლანდიურ გაზეთ "რეკორდში" **შოთა არველაძის** ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც მან გოგუას სქოთურ პრემიერლიგაში წარმატებით გამოსვლას უწინასწარმეტყველა და "ახალი გატუზო" უწოდა.

*"გოგუა ფიზიკურად და მენტალურად ძალიან ძლიერია და ამის გამო, საქართველოს ნაკრებში გატუზოს ვეძახით. ამავე დროს, ძალიან სწრაფია და შოტლანდიურ ფეხბურთთან ადაპტაცია გაუადვილდება... ნეტავ, ჩვენს ნაკრებს ასეთი ფეხბურთელი კიდევ ბევრი ჰყავდეს"* - ამბობს არველაძე.

თანამემამულეზე საუბრობს **ზურაბ ხიზანიშვილიც**, ოღონდ უკვე "სკოტსმენში":

*"გოგიტა თამაშობს გატუზოს სტილში, ის იბრძვის მოედნის თითოეული გოჯისთვის. უშიშარი ფეხბურთელია, ნებისმიერ მეტოქესთან თავგანწირვით იბრძვის. სულ ახლახან გავიგე, რომ გოგიტა ედინბურგშია, მეიმედება, რომ მისთვის ყველაფერი კარგად დასრულდება. ის ნახევარმცველია, თუმცა მას თავისუფლად შეუძლია დაცვის ფლანგებზე თამაში.*

*გოგიტას ნაკრებში ჯერ ბევრი შეხვედრა არ უთამაშია, ის ხომ ახალგაზრდაა, თუმცა ახლა ის უკვე ძირითადის ფეხბურთელია და თუ ჯანმრთელადაა, ყოველთვის სასტარტოში თამაშობს. მას უყვარს ორთაბრძოლაში შესვლა და გამარჯვება, ბურთის მოპოვება, პოზიციის შერჩევის შესაშური უნარი აქვს. დღეისათვის გოგუა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.*

*"ჰართსისთვის" ის მიგნება იქნება. ჩათვალეთ, რომ მარგალიტი აღმოაჩინეთ"*.

სამწუხაროა, რომ ასეთი დახასიათების შემდეგ, შოტლანდიელებმა ქართველი ფეხბურთელი საქმეში ვეღარ იხილეს. მას ჩერვიჩენკომ რუსეთის პრემიერლიგის "ტომში" ან "სატურნში" თამაში შესთავაზა. ეს ცინიკოსის საქციელს ჰგავს.

**მერაბ მამულაშვილი**



## ცქიტიშვილი კარგია, მაგრამ...

### ასეთები უკვე გვყავს

**ლევან ცქიტიშვილი** AZ-ის ღირსებას არ დაიცავს. სინჯებზე მყოფი ქართველი ნახევარმცველი ვერ გააძლიერებდა ჩვენს კლუბს. მას საბერძნეთში, "პანიონიოსში" დაბრუნება მოუწევს. **მარსელ ბრანდსი**, AZ-ის საფეხბურთო დირექტორი: *"ლევან ცქიტიშვილი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ არა იმაზე უკეთესი ვინც AZ-ში უკვე გვყავს"*.

საქართველოს ნაკრებში 40-მდე მატჩის მონაწილე ცქიტიშვილი თანამემამულე **შოთა არველაძის** რჩევის წყალობით თითქმის ერთკვირიან სინჯებზე იმყოფებოდა ჰოლანდიაში. 11-დან 16 იანვრის ჩათვლით მან **ლუის ვან გაალის** ხელმძღვანელობით კლუბთან ერთად რამდენჯერმე ივარჯიშა".

ლევანის ჩაშლილ ტრანსფერს"ალკმაარის" ოფიციალური საიტის გარდა ჰოლანდიური სპორტული მედიაც გამოეხმაურა. "ცქიტიშვილს კონტრაქტზე უარი უთხრეს", წერს "ფოეტბალ პლუსი". "ფოეტბალბლად ელფი": "ცქიტიშვილის ტესტირება AZ-ში დასრულდა".

## არველაძის საიუბილეო

"ალკმაარი" ჰოლანდიის ერედივიზიეში ასპარეზობას პარასკევს "დენ ჰააგთან" გასვლითი მატჩით განაახლებს. სამწუხაროდ, მეორე წრეს ჰოლანდიური კლუბი კვლავ ერთი ქართველით შეხვდება, რადგან **ლევან ცქიტიშვილის** ტრანსფერი "ალკმაარში" ჩაიშალა. გუნდის ქართველი კაპიტნისთვის კი "დენ ჰააგთან" მატჩი საიუბილეო იქნება - **შოთა არველაძე** 50-ედ მოირგებს AZ-ის წითელ მაისურს ოფიციალურ შეხვედრებში. 20 ტურის შემდეგ 41 ქულით **ლუის ვან გაალის** გუნდი მესამე ადგილზეა და მხოლოდ "ეინდჰოვენსა" და "აიაქსს" ჩამორჩება. არველაძის წლევანდელ სეზონში 10 გოლი და 6 საგოლე პასი აქვს, ორივე მაჩვენებლით ვეტერანი ქართველი ლიდერთა შორისაა.

**ლევან ჯანეზაშვილი,**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ეროვნულის ვებგვერდი

მცირე ხნის წინ ახალი ქართული სპორტული ვებგვერდი ამოქმედდა. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექციამ ინტერნეტში საკუთარი მისამართის დაფიქსირება აუცილებლად ჩათვალა. შეიძლება ითქვას, რომ ძალზედ ლამაზი და თანამედროვე საიტიც დამზადდა, რომლის მისამართია:

**www.stadiumnational.com**

სტადიონის ვებგვერდზე განთავსებულია ამომწურავი ინფორმაცია ეროვნული არენის წარსულზე, აწმყოზე, ძველ და ახალ ნაგებობებზე, მომსახურების პირობებსა და ა.შ.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

## ქაუნასი ორი ქართველით

მოსკოვში თანამეგობრობის თასზე სასპარეზოდ გაემართა ლიტვის ჩემპიონი "კაუნასი". გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ევგენი რიაბოვმა** თან 25 ფეხბურთელი იახლა, მათ შორის არიან გუნდის ნახევარდაცვის ლიდერები **გივი კვარაცხელია** და **ნუკრი მანჩხავა**. სამწუხაროდ, 25-კაციან სიაში ვერ მოხვდა მცველი **აკაკი ხუბუტია**, რომელიც "კაუნასში" გასული სეზონის ბოლოს "ვილნიუსიდან" გადავიდა.

## აშვეთიამ ილიჩევეცში ითამაშა

უკვე რამდენიმე დღეა, რაც თურქულ შეკრებაზე მყოფ "ილიჩევეცს" საქართველოს ნაკრების ფორვარდი **მიხეილ აშვეთია** შეუერთდა. თავად აშვეთიასთან ანთალიაში დაკავშირება ჯერჯერობით ვერ შევძელით, მაგრამ სარწმუნო წყაროს ცნობით აშვეთიამ მარიუპოლელთა გუნდში არაოფიციალური ნათლობა უკვე მიიღო.

გუშინწინ, საღამოს, ანთალიაში "ვორსკლასა" და "ილიჩევეცს" შორის ამხანაგური მატჩი გაიმართა, რომელიც პოლტაველებმა 3:1 მოიგეს. მიხეილ აშვეთიამ სწორედ ამ შეხვედრის პირველ ტაიმში ითამაშა. მეორე ნახევრის სტარტზე მარიუპოლელთა მთავარმა მწვრთნელმა **ივან ბალანმა** სხვა მოთამაშეთა საქმეში ნახვის მიზნით, არაერთი ფეხბურთელი შეცვალა და მათ შორის ქართველი ფორვარდიც. შესვენებამდე "ვორსკლა" მინიმალურად 1:0-ს იგებდა.

დაბოლოს, გაცნობებთ, რომ "ილიჩევეცი" თურქეთში 23 იანვრამდე დარჩება და კიდევ ორ საკონტროლო მატჩს გამართავს. მარიუპოლელები 19 იანვარს რუმინულ "ნასიონალს", დაუპირისპირდებიან, 22-ში კი დრეზდენის "დინამოსთან" მოსინჯავენ ძალებს.



მიხეილ აშვეთია

დილა

# ახალი პრეზიდენტი, განახლებული სტადიონი

**უკვე ორი კვირაა, რაც მიხეილ ლურსმანაშვილი გორის "დილის" მფლობელი გახდა და ამ პერიოდში ცვლილებებიც განახორციელა, სტადიონის რეკონსტრუქციასთან ერთად, მან გუნდში ზაპოროჟიეს "მეტალურგიდან" რევაზ თევდორაძე დაიმატა. კლუბის პრეზიდენტს გუშინ დავუკავშირდით და საუბარი თევდორაძის ტრანსფერით დავიწყეთ.**

- თევდორაძე გუნდში ოთხი თვე იქნება, სეზონის ბოლომდე...

**- თევდორაძის გარდა, კიდევ ვინმეს დამატებას ხომ არ გეგმავთ?**

- არის საუბარი რამდენიმე ფეხბურთელზე, რომელთა გუნდში ხილვაც მსურს, მაგრამ ამ ეტაპზე ნაადრევია ამაზე საუბარი. ჯერჯერობით, მათი გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**- გუნდიდან ვინმეს გაშვებას ხომ არ აპირებთ?**

- ამ ეტაპზე საუბარი ნაადრევია, ამ დღეებში ამხანაგური მატჩები გვაქვს დანიშნული და იქ გადაწყდება, თუ ვინ დაგვტოვებს.

**- გუნდი როდის შეიკრიბა და სად?**

- გუნდი 8 იანვარს შევკრიბეთ და 10 იანვრიდან ბიჭებმა ვარჯიში დაიწყეს.

**- მხოლოდ ამ შეკრებით შემოიფარგლებით, თუ კიდევ გეგმავთ სხვა ქალაქში კიდევ ერთ შეკრებას?**

- რამდენიმე ვარიანტია, მაგრამ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. ჯერჯერობით, გორში ვართ. საშუალება არის, რომ გუნდმა სხვაგანაც გაიაროს მომზადება, ვნახოთ...

**- ამხანაგურ შეხვედრებს ვისთან გამართავთ?**

- ჯერ "დინამო 2-თან", 21 იანვარს თბილისში, „დინამოს" ბაზაზე. შემდეგ ალბათ რუსთავთან, მაგრამ ჯერ არ ვიცი ზუსტად. სულ სამი თამაში გვაქვს დაგეგმილი.

**- როგორც გავიგეთ, სტადიონის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს...**

- სტადიონი მე შევიძინე, მინდა, უეფას სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, სტადიონი შეიძლება ითქვას, ახლიდან შენდება.

**- "ცხინვალის" დასპონსორებას ხომ არ აპირებთ?**

- არა, ამ ეტაპზე მხოლოდ გორის "დილა"... ეს სამთავრობო ორგანიზაციების საქმეა, მე კერძო სტრუქტურა ვარ. რომც მინდოდეს "ცხინვალის" დაფინანსება, მაგდენს ნამდვილად ვერ გავწვდები, მხოლოდ გორის "დილათი" შემოვიფარგლები.

ავთო ცეცხლაძე

ფიფას რეიტინგი

# საქართველომ უკან დაიხია

გუშინ ფიფამ მსოფლიო ფეხბურთის ახალი და მიმდინარე წლის პირველი რეიტინგი გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, ამ ახალ ჩამონათვალში საქართველო ერთი საფეხურით უკან დაიხია და კვლავაც 95-ე ადგილზეა, ისევე როგორც ეს ნოემბრისთვის რეიტინგში იყო. რაც შეეხება ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ჩვენი ჯგუფის მეტოქეებს, მსოფლიო ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი, იტალია და საფრანგეთი ისევ მე-2 და მე-4 ადგილზე არიან. ასევე უძრავადაა უკრაინა - მე-13. ჩვენ დარად ერთი ადგილით დაქვეითდა შოტლანდია. ფარერები კი როგორც შარშან დეკემბერში ამჯერადაც 181-ეა. ერთი ადგილით ზემოთ აიწია ლიტვამ და ახლა 68-ეა. 7 თებერვალს თბილისში გასამართ ამხანაგურ მატჩში ჩვენმა მეტოქე თურქეთმა საფეხურით უკან დაიხია და ახლა 27-ე ადგილზეა. მოწინავე ათეულში კი მხოლოდ ერთი ცვლილება - გერმანიამ და ინგლისმა ადგილები გაცვალეს. გერმანელებმა ერთი ნაბიჯით წაიწიეს, ინგლისელებს კი ამდენივეთი უკან დახევა მოუწიათ. ფიფას რეიტინგის მოწინავე ათეულის, ჩვენი ჯგუფის მეტოქეთა განლაგება კი ასე გამოიყურება:

| ქვეყანა | ქულა |
|---|---|
| 1 (1). ბრაზილია | 1588 |
| 2 (2). იტალია | 1560 |
| 3 (3). არგენტინა | 1551 |
| 4 (4). საფრანგეთი | 1523 |
| 5 (6). გერმანია | 1363 |
| 13 (13). უკრაინა | 1054 |
| 26 (25). შოტლანდია | 847 |
| 68 (69). ლიტვა | 455 |
| 95 (94). საქართველო | 327 |
| 181 (181). ფარერები | 31 |

ინტერვიუ დავით მუჯირთან

# ბურთსმონატრებული

**თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფ "კრილიას" ქართველი ნახევარმცველი დავით მუჯირი ორიოდე დღის წინ შეუერთდა. დათო გერმანიიდან ჩაფრინდა თურქეთში, სადაც ლევან კობიაშვილს სტუმრობდა. პარალელურად კი "შალკეს" ექიმთანაც ჰქონდა ვიზიტი, რომელსაც ტრავმის შემდეგ ნამკურნალები ფეხი აჩვენა.**

**მუჯირი "კრილიაში" "შალკეს" ეკიპირებით ვარჯიშობს, ზურგზე კი წარწერა KOBIASHVILI ამშვენებს. თუ რატომ, ამას "სპორტ ექსპრესში" გუშინ გამოქვეყნებული ინტერვიუდან შეიტყობთ:**

- რამდენიმე დღის განმავლობაში ჩემს ახლო მეგობარ ლევან კობიაშვილს გერმანიაში ვსტუმრობდი. ახალი წლის შემდეგ, გერმანიიდან სამარაში ჩაფრენას ვგეგმავდი, მაგრამ ქართულ-რუსული ურთიერთობების გამო, რუსეთის ვიზა ვერ ავიღე. ჩემი სპორტული ჩანთა, "კრილიას" ეკიპირებით სამარაში დარჩა. იმავე სახის მეორე ფორმა თან არ მქონდა და სხვა გზა არ დამრჩა, გარდა იმისა, რომ ლევანის ნაჩუქარი "შალკეს" ფორმა ჩამეცვა...

სხვათა შორის, გერმანიაში სტუმრობისას კობიაშვილმა "შალკეს" ექიმთან შეხვედრაც მომიხერხა, რომელსაც ტრავმის შემდეგ ნამკურნალები ფეხი ვაჩვენე... ლევანი ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში გეგმავდა ჩემთან, სამარაში სტუმრობას, მაგრამ ზემოთნახსენებმა პრობლემამ შეუშალა ხელი და ვიზა ვერ აიღო.

**- სამარაში სათამაშოდაც ხომ არ ჩამოვა კობიაშვილი?**

- ლევანს "შალკესთან" 2010 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი და ბუნებრივია, მანამდე თვითნებურად კლუბს ვერ დატოვებს.

**- სასიამოვნო სანახავი იყო თუ რაოდენ თბილად შეგხვდნენ თანაკლუბელები. საინტერესოა, მხოლოდ "კრილიაშია" ასე თუ ავსტრიასა და სხვა ქვეყნებშიც ასე იყო?**

- მართალი გითხრათ, ოთხი თვეა, რაც ბურთისთვის ფეხი არ დამიკარებია და ძალიან მომენატრა, როგორც ფეხბურთი, ასევე თანაგუნდელები. რაც შეეხება თანაგუნდელთა ძმობას, ემოციურობით ყველა განსხვავდება ერთმანეთისგან. გრაცის "შტურმში" ინტერნაციონალური გუნდი გვყავდა. იქ ბევრი მეგობარი მყავდა და რამდენიმე მათგანთან დღემდე მაქვს კონტაქტი. ამ მხრივ "კრილიაში" უკეთესი ვითარებაა. ჩვენ აქ ერთი დიდი ოჯახივით ვართ. ვოლგისპირეთში, შარშან 4 მარტს ჩამოვედი, მომდევნო დღეს მოედანზე გავედი, თვის ბოლოს კი უკვე კლუბში უცხოდ აღარ ვგრძნობდი თავს.

**- "ტორპედოსთან" მატჩში მიღებული ტრავმა თავდაპირველად სერიოზული არ ჩანდა, მაგრამ მკურნალობა ერთობ გაგიგრძელდათ. რატომ?**

- ტრავმა 24 სექტემბერს მივიღე და ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი თუკი გასული სეზონის ბოლო მატჩებში მაინც ვერ შევძლებდი თამაშს. ორთაბრძოლაში მუხლის სახსარი დამიზიანდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გვერდითი მყესებიც მქონია დაზიანებული. ექიმებმა 3-4 კვირით დასვენება მირჩიეს. თუმცა ეს ვადა გაგრძელდა და საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ 3-4 კვირით კი არა, თვეით გამიგრძელდა პაუზა. სად არ მივმართე ექიმებს, სამარაში, მოსკოვში, თბილისში, ავსტრიასა და გერმანიაში. ყველგან ერთი და იგივე მითხრეს - დროა საჭირო და ასევე სპეციალური ვარჯიშები მუხლის სახსრის გასამაგრებლადო. ტრავმა მოედანზე მიშლიდა ხელს, თორემ ავტომანქანასაც ჩვეულებრივ ვმართავდი და კიბეზე ასვლაც არ მიჭირდა.

**- შარშან სექტემბერში პრესა თქვენ თამაშს კომპლიმენტებს არ აკლებდა. ზოგი ფიქრობს, მუჯირს ტრავმა რომ არ მიეღო, რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის პრეტენდენტთა შორის იქნებოდაო. ამაზე რას ფიქრობთ?**

- სექტემბერში მართლაც ჩინებულ ფორმაში ვიყავი. მოედანზე თავდაჯერებულობა არ მაკლდა და საკუთარი თამაშითაც კმაყოფილი გახლდით. თუმცა ისიც ფაქტია, რომ უკეთაც შემიძლია. ისე, როგორც ავსტრიაში 2-3 სეზონის განმავლობაში ვასპარეზობდი. რაც შეეხება რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელობის კანდიდატობას, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

**- ახლა არასაფეხბურთო თემაზე, ქართულ-რუსულ არასასურველ ურთიერთობაზე გკითხავთ. ეს რამდენად შეგეხოთ?**

- რატომ, ეს არასაფეხბურთო თემა სულაც არაა. პირიქით, მე თუ მკითხავთ, ეს პრობლემა სწორედაც რომ ფეხბურთს ეხება. მაგალითად, მე არ მომცეს ვიზა და გუნდთან ერთად მოსკოვში ვერ ვივარჯიშე. არ შეუშვა რუსეთში ადამიანი, რომელიც უკვე წელიწადი ან მეტია იქ მუშაობს და სარგებელიც მოაქვს - ეს არანორმალურია. სამარაში ისე ვგრძნობ თავს, როგორც სახლში. ქართველობის გამო არავინ მავიწროებს. ჩვენი გუნდის გულშემატკივართა სიყვარულსაც ვგრძნობ. აი, მოსკოვის აეროპორტში, შემოწმებაზე კი პრობლემები შემხვდა. მიუხედავად იმისა, რომ საბუთი ვაჩვენე, რომ "კრილიას" ფეხბურთელი ვიყავი, მაინც მომიწია ახსნა-განმარტებითი წერილის დაწერა თუ რატომ მივფრინავდი მოსკოვიდან სამარაში.

სავიზო პრობლემების გამო, ეროვნულ ნაკრებში გამოძახებისას ერთობ გრძელი რეისი გამომივიდა. თავად განსაჯეთ სამარა-მოსკოვი-კიევი-თბილისი. უკან გამოფრენისას კი თითქმის მთელი ევროპა შემოვიარე. წარმოიდგინეთ ოთხშაბათს ნაკრებში მქონდა თამაში, შაბათს კი "კრილიაში" კალენდარული მატჩი. დრო არ ითმენდა. თბილისი-კიევი-ფრანკფურტი-სამარა, ამ მარშრუტით ვიმგზავრე და სამიდან დღენახევარი თვითმფრინავში გავატარე.

**- "კრილიაში" მწვრთნელის შეცვლაზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ვერ ვიტყოდი, რომ მწვრთნელის შეცვლით მოხარული ვარ. საერთოდ ასეთი ცვლილება ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა ზოგი ფეხბურთელისთვის ეს მტკივნეული საკითხია. ჯერ მხოლოდ ახალი მწვრთნელის გაცნობა მოვასწარი. იმედი მაქვს, ერთმანეთს გავუგებთ. მჯერა გუნდსა და მწვრთნელებს საერთო ენის გამონახვა არ გაგვიჭირდება. ახალი სეზონის კალენდარი უკვე ვნახე და ვფიქრობ, წარმატებული სტარტი გვექნება.



დავით მუჯირი

**- რამდენიმე წამყვან ფეხბურთელთან გამოთხოვების შემდეგ, ახალ სეზონში რა მიზნისთვის იბრძოლებს "კრილია"?**

- გასულ ჩემპიონატში მე-10 ადგილი დავიკავეთ და ეს შედეგი მეც არ მაკმაყოფილებს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ უფრო მაღალი ადგილის დაკავებაში არაერთმა მიზეზმა შეგვიშალა ხელი. მათ შორის წამყვან ფეხბურთელთა ტრავმებმაც. თუკი ახლავე მოხერხდება გუნდის გაძლიერება, მაშინ მოწინავე პოზიციის დაკავებაც შეგვეძლება. იმას არ ვამტკიცებ, უმალ ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ჩავერთვებით-თქო, მაგრამ გათამაშების ცხრილის პირველ ნახევარში დამკვიდრება კი შეგვეძლება.

მოამზადა
დავით ცაბაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ კახა კალაძესთან

# ვარსკვლავი მხოლოდ მაშინ გახდები, თუ მტკიცე ხასიათი გაქვს

**გუშინ "არგუმენტი ი ფაქტიმ" კახა კალაძესთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც საქართველოს ნაკრების კაპიტანი არაერთ საინტერესო საკითხზე საუბრობს - ქართულ-რუსული დაძაბული ურთიერთობები; რა არის საჭირო დიდ ფეხბურთში წარმატების მისაღწევად და ვარსკვლავად გასახდომად; რატომ ვერ გადავიდა "ჩელსიში" და ვისზეა ნაწყენი; ანდრეი შევჩენკოს ლონდონურ ტრანსფერზე; დაღუპულ ძმაზე... ვფიქრობთ, ინტერვიუ, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ, ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.**

**- სანწყენი არაა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ამდენი კომმარი რომაა? თქვენ როგორც ქართველი, ამას როგორ უყურებთ?**

- ძალიან ცუდია, რომ ამ დონემდე დავეცით. საშინელებაა, როცა პოლიტიკოსების გამო უბრალო ხალხს შორის ურთიერთობა უარესდება. თავად პოლიტიკოსებს ამის გამო პრობლემები თითქმის არ ექმნებათ. ისევ უბრალო, გაჭირვებაში მყოფი ხალხი იჭყლიტება. რუსებმა და ქართველებმა რამე უნდა მოიმოქმედონ, რომ ვითარება გამოსწორდეს. პირადად მე რუსეთში უამრავი მეგობარი მყავს... საერთოდ, ვერ გამიგია საქმე აქამდე როგორ მივიდა.

**- როგორ ფიქრობთ, რისი გაკეთებაა საჭირო?**

- უკვე დიდი ხანია, რაც იტალიაში ვცხოვრობ, პოლიტიკაშიც კარგად ვერ ვერკვევი და ჩემთვის ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს უსიამოვნება სწორედ მათ ინვნიეს, ვისაც არ დაუმსახურებია. ესესაა ჩვენთან ეკონომიკამ ფეხზე დადგომა დაიწყო და ინებეთ - უბრალო ადამიანები ღვინოს ველარ ყიდიან რუსეთში.

**- პოლიტიკას შევეშვათ. ამ რამდენიმე თვის წინ, იტალია მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მოსაბეზრებელი არაა, ფავორიტები თითქმის ერთი და იგივე გუნდები რომ არიან?**

- ასეთია ცხოვრება. ვისაც ყველაზე ძლიერი გუნდი და საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს, გამარჯვებაც მას რჩება.

**- მაშინ ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები კარგა ხანს ვერ გავხდებით...**

- იცით, აქ ერთი პრობლემაა. გახსოვთ რა და როგორ იყო საბჭოთა კავშირის დროს? ყველა ბავშვი ფეხბურთელობაზე ოცნებობდა, ყველა ეზოში იყო მოედანი, სადაც თამაშობდნენ ბავშვები. და რა ხდება ახლა? ბავშვებს სკოლაში დაცვის თანხლებით უშვებენ, სათამაშოდ ეზოში არ უშვებენ. ბავშვების უმრავლესობა კომპიუტერთან ატარებს დროის უდიდეს ნაწილს და სპორტი არ აინტერესებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ფეხბურთზე თითქმის არავინ ფიქრობდა, ყველაზე თვითგადარჩენაზე იყო გადართული. თუმცა, ამ ბოლო ხანს, პოსტსაბჭოეთშიც გამოჩნდა მილიონები, რომელიც სპორტში, მათ შორის ფეხბურთშიც, იდება. ეს უკვე პლუსია. იტალიამ ფეხბურთში წარმატებებს 30 წლის განმავლობაში მიაღწია. რუსეთი ჯერ კიდევ ამ გზის დასაწყისშია და საკმაო პერიოდი სჭირდება წარმატების მისაღწევად. რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ დაიწყო ხალხმა ფულის გადახდა ბილეთებში ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად. რუსეთს წარმატების მიღწევის არც თუ ცუდი შანსი სწორედ ახლა აქვს, რადგან ნაკრებს ჭკვიანი მწვრთნელი ჰყავს. თუმცა, ამის პარალელურად, სახელმწიფო დონეზეც რალაც უნდა გაკეთდეს, რომ მოზარდთა შორის ფეხბურთი ისეთივე პოპულარული გახდეს, როგორიც ადრე იყო.



**- ვშიშობ, ჩვენმა მატარებელმა უკვე ჩაიარა. რომანტიკოსები აღარ არიან, არის ფული...**

- ძალიანაც კარგია. უნდა ანახო ყველას, რომ ფეხბურთელები დიდ თანხებს გამოიმუშავებენ და ჩინებულად ცხოვრობენ. ეს სტიმული იქნება მომავალი თაობებისთვის. მართალია, წარმატება ადვილად არ მოდის და არ მინდა ვინმეს ეგონოს, რომ ჩემთვის იოლი იყო მიმეღწია დღევანდელი მდგომარეობისთვის. საქართველოს ერთ პატარა ქალაქში დავიბადე და "მილანამდე" ძალიან რთული გზა გავიარე. ისეთი პერიოდიც მქონდა, როცა ვფიქრობდი - მორჩა, მეტი აღარ შემიძლია. თუმცა ყოველივე ამას გავუძელი და წარმატებაც მოვიდა. ვარსკვლავი მხოლოდ მაშინ გახდები, თუკი ხასიათი მტკიცე გაქვს. რთულ მომენტებში სწორედ ხასიათის სიმტკიცე გეხმარება. ამ რთულ გზაზე, არაერთ რამეზე გიწევს უარის თქმა. მათ შორის მეგობრებთან თანამესუფრეობაზეც.

**- ქართველისთვის ეს ძალზე რთული, კატასტროფის ტოლფასიც კი არის...**

- სამწუხაროდ ასეა. ყველანი ადამიანები ვართ და გვინდა გოგონასთან ერთად დისკოთეკაზე გართობა, რესტორანში დაჯდომა მეგობრებთან ერთად. ასე არ გამოდის, არჩევნის გაკეთება გიწევს - ან ფეხბურთი, ან გართობა.

**- პოსტსაბჭოთა სივრცეში რომელი მწვრთნელები მიგაჩნიათ საუკეთესოებად?**

- დავით ყიფიანი. მის სულს ნათელი დაადგეს... რალა თქმა უნდა, ვალერი ლობანოვსკი კიევის "დინამოდან". ასევე ვალერი გაზაევი, რომელსაც ერთ-ერთ წარმატებულ მწვრთნელად ვთვლი.

**- უკვე 7 წელია, რაც "მილანში" ასპარეზობთ. ამ ცოტა ხნის წინათ ხმა გავრცელდა, რომან აბრამოვიჩი ანდრეი შევჩენკოს დარად, თქვენც "ჩელსიში" გადაგიყვანთ...**

- დასამალი არაფერი მაქვს, ამ თემაზე რომან აბრამოვიჩთან მართლაც მქონდა საუბარი. თუმცა, სამწუხაროდ, იმ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია.

**- სამწუხაროდ?**

- ეს წამომცდა. როცა "ჩელსისთან" მოლაპარაკებები მიდიოდა, იმ პერიოდში "მილანში" აღარ მათამაშებდნენ და ამის გამო საშინლად ვნერვიულობდი. მერე კი ლონდონელები ასე ვთქვათ ულამაზოდ მოიქცნენ, სხვა ფეხბურთელი, დელ ორნო აიყვანეს. არადა მანამდე ლონდონური კლუბის გამო "მილანის" ხელმძღვანელობასთან მცირედი კამათიც კი მომივიდა, რადგან ჩემი საქციელით უკმაყოფილონი იყვნენ.

**- "ჩელსისთან" კონტაქტი აღარ გაქვთ?**

- არანაირი. თუმცა არ დავმალავ, რომ კარგა ხანია "მილანში" ვარ და მართლა მინდოდა "ჩელსიში" გადასვლა, ერთფეროვნება მოსაბეზრებელია. ლონდონურ კლუბში გადასვლაზე აბრამოვიჩის გარდა მოურინიოსაც ვესაუბრე. ერთმანეთს გადავეხვიეთ და ხელიც კი ჩამოვართვით, მაგრამ შემდეგ ჩემი აყვანა გადაიფიქრეს. აბრამოვიჩისგან ამას არ მოველოდი. შეიძლება მოგატყუოს ქართველმა, რუსმაც... ასე ელემენტარულად თუ მომატყუებდნენ, ვერ წარმოვიდგენდი.

**- ამის გამო აბრამოვიჩისთვის პრეტენზია არ გითქვამთ?**

- არა. როცა დამირეკეს და მითხრეს, ჩემზე უარს დელ ორნოს აყვანის გამო ამბობდნენ, წარმატება ვუსურვე. თუკი "ჩელსი" ამით იხეირებს, უბრალოდ მოხარული ვიქნები.

**- ბიზნესში დიდი სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ მგონი საქმეები ასე არ კეთდება...**

- ეს მეც კარგად ვიცი. ჩემთვის მთავარი კაცური სიტყვაა. ჩემს შემთხვევაში კი ეს კაცური სიტყვა, საბოლოოდ სიცრუე აღმოჩნდა. არადა "მილანის" ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტის დადება რომ შემომთავაზა, ვიუარე. ეს როგორ გავაკეთო, ხალხს პირობა მივეცი და სიტყვა რომ გავტეხო, მერე თვალებში როგორ შევხედო-მეთქი.

**- თქვენს მეგობარ ანდრეი შევჩენკოს "ჩელსიში" კარიერა არ აეწყო. როგორ ფიქრობთ, მან შეცდომა ხომ არ დაუშვა?**

- ზუსტად ვერც მე გამიგია რა ხდება. ვფიქრობ, ამ საკითხში უმთავრესი პრობლემა შევჩენკოში კი არა, მწვრთნელშია. პირველი შემთხვევა არაა, როცა მაღალი კლასის ფეხბურთელები მასთან "ჩელსიში" ვერ თამაშობენ და სათადარიგოთა სკამზე სხედან. როგორც კი მიდიან კლუბიდან ისევ წარმატებით ასპარეზობენ.

**- თავად თუ გესაუბრათ ამ თემაზე, როგორ გრძნობს თავს?**

**შესაძლოა, დღეს ვარსკვლავი ხარ, მაგრამ ისეთივე უნდა დარჩე, როგორიც ხარ და ხალხს თავი სხვა კაცად არ უნდა მოაჩვენო. ცხოვრებაში მთავარი კარგი კაცობაა**

- ანდრეი ყოველივეს ძლიერ განიცდის. მართალი გითხრათ, ის ახლა არასახარბიელო ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გუნდმა მას ხელი ჰკრა. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გაუგებარია, რატომ გადაიხადეს მის ტრანსფერში ამხელა თანხა?

**- "მილანში" კიევის "დინამოდან" გადახვედით. თავდაპირველად ალბათ გაგიჭირდათ კიდეც.**

- რალა თქმა უნდა გამიჭირდა. მაშინ იტალიურად სიტყვა არ მესმოდა.

**- თარჯიმანი ფეხდაფეხ დაგდევდათ?**

- არა, ინგლისური ვიცოდი და ამით გავდიოდი ფონს. პომპეზური კიევიდან მილანში რომ ჩავედი, იცით, პირველად რა გავიფიქრე? ვა, აქ სად მოვხვდი, რა რუხი ქალაქია? ახლა მილანში ყველაფერი მომწონს. განსაკუთრებით იტალიური სამზარეულო - მსუბუქი და გემრიელია. ქართულივით არ გასუქებს.

**- თუ გიფიქრიათ, აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, რით იქნებით დაკავებული?**

- არც კი ვფიქრობ იმაზე, რა იქნება ფეხბურთის მერე. იმიტომ რომ ახლა ჩემი ცხოვრება სწორედ ფეხბურთია. მერე კი უცებ აღარაა ფეხბურთი, შენ აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანი ხდები და არ იცი რა გააკეთო. თუმცა ჩემთვის ამაზე ფიქრი ნაადრევია.

**- შემდეგი კითხვის გამო წინასწარ ბოდიშს გიხდით. თუ გინდათ ნუ მიპასუხებთ. როგორც ცნობილია, რამდენიმე წლის წინ საქართველოში თქვენი ძმა გამოსასყიდის მიღების გამო გაიტაცეს, მერე კი მოკლეს. ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო?**

- მეც ვერ წარმომედგინა, რომ საქართველოში, სადაც ფეხბურთის გულშემატკივრები ასე მაფასებენ, მსგავსი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო... თუმცა მაშინ ქვეყანაში სრული განუკითხაობა იყო. ამჟამინდელი ხელისუფლების მადლიერი ვარ, მათ ლევანის საქმე გახსნეს. ახლა დანამდვილებით ვიცი, ძმა აღარ მყავს და დედას შეუძლია მის საფლავთან მისვლა და ტირილით გული მოოხება. რუსეთის მადლობელიც ვარ, ჩემი ძმის ერთ-ერთი მკვლელი სანკტ-პეტერბურგში დააკავეს.

**- ჩვენი საუბრის მსვლელობისას, რამდენიმემ გთხოვათ ავტოგრაფი. ვარსკვლავობა გარკვეულ ვალდებულებას ხომ არ გაკისრებთ?**

- არა. ვალდებულებას ფეხბურთელობა მაკისრებს. ფეხბურთელისთვის მოედანზე გასვლა იგივეა, რაც მომღერლისთვის "ლა სკალას" სცენაზე. ვერ ივარგებ – არ გაპატიებენ. ამის გამო, ყოველი მატჩის წინ ეკლესიაში დავდივარ და ღმერთს წყალობას ვთხოვ. შესაძლოა, დღეს ვარსკვლავი ხარ, მაგრამ ისეთივე უნდა დარჩე, როგორიც ხარ და ხალხს თავი სხვა კაცად არ უნდა მოაჩვენო. ცხოვრებაში მთავარი კარგი კაცობაა.

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მილანი და რონალდო: შეთანხმება ახლოსაა

## წინადადება არის, ჯერი ბრაზილიელზეა. ამასობაში, მილანმა მეკარე სტორარი აიყვანა



რონალდო

**რონალდოს** და „მილანს" შორის ყველაფერი გარკვეული და შეთანხმებულია. ახლა მთავარია, რომ ბრაზილიელმა თავი „რეალისგან" დაიხსნას. გუშინ იტალიური პრესის ცნობებზე დაყრდნობით ვწერდით, რომ „მილანი" „ფენომენის" იჯარით აყვანას გეგმავდა და მზად იყო, მისთვის ის ხელფასი გადაეხადა, რომელსაც „რეალი" უხდის (6 მილიონი ევრო სეზონში). მაგრამ სამშაბათს მილანში რონალდოს აგენტი ჩავიდა და „როსონერის" დირექტორებთან მოლაპარაკებები გამართა, რის შემდეგაც მადრიდში დაბრუნდა და ახლა „რეალის" სპორტულ დირექტორ **პრედრაგ მიატოვიჩთან** დაილაპარაკებს. თუმცა აგენტთან გასაუბრების დროს „მილანის" გეგმები ცოტა შეიცვალა. თუ როგორ, ამის შესახებ ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** ამ განცხადებიდან გავიგებთ: *„ვერ უარვყოფ, რომ რონალდოს ჩამოყვანის იდეა მართლაც არსებობს. ახლა მადრიდის „რეალის" პასუხს ველით. ჩვენი იდეა კი საკმაოდ მარტივია და რონალდოს სრულფასოვან ტრანსფერს გულისხმობს. იჯარის ჰიპოთეზა გამოირიცხა. გვინდა, რომ მასთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გავაფორმოთ, თუმცა იმაზე ნაკლები ანაზღაურებით, რაც ბოლო დღეებში გაზეთებში ამოვიკითხე. ჩვენი შეთავაზება იმაში მდგომარეობს, რომ რონალდომ „რეალისგან" თავი დამოუკიდებლად დაიხსნას. მხოლოდ ამის შემდეგ ვიქნებით მზად, რომ ფეხბურთელთან ხელშეკრულება დავდოთ. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს საქმე უკვე გაკეთებულია, რადგან რონალდო „რეალის" საკუთრებაა, „მილანი" კი მადრიდულ კლუბთან ლაპარაკს არ აპირებს. ჩვენ საქმე მხოლოდ რონალდოსთან და მის აგენტთან გვაქვს, მათი ამოცანა ახლა „რეალთან" კონტრაქტის გაწყვეტაა. რონალდოს უნდა, რომ კარიერა ისევ მაღალ დონეზე გააგრძელოს, ამიტომ ამ მომენტისთვის ნაკლებად სავარაუდოა, სხვა წინადადებებს რომ დათანხმდეს. მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ის „რეალის" ფეხბურთელია, მე კი არ მინდა, სხვას იგივე გავუკეთო, რაც მე გამიკეთეს".* ბოლო ფრაზაში გალიანი ზაფხულის ისტორიას გულისხმობდა, როცა „რეალი" „მილანისგან" დაუკითხავად ცდილობდა **კაკას** ცდუნებას. სხვათა შორის, მადრიდელთა პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** კაკას ტრანსფერი ორი დღის წინ ისევ ახსენა. მადრიდელი სტუდენტების ერთ ჯგუფთან შეხვედრისას კალდერონმა ასეთი რამ თქვა: *„თუკი ივნისში ისევ „რეალის" პრეზიდენტი ვიქნები, მაშინ ძალიან დიდია ალბათობა, რომ კაკა ჩვენთან გადმოვიდეს."*

ისევ რონალდოს თემას დავუბრუნდეთ. გალიანის სიტყვები, რომ ბრაზილიელს 6 მილიონ ევროზე ნაკლებ ხელფასს გადავუხდითო, რეალობას მოწყვეტილი ნამდვილად არაა. საქმე ისაა, რომ „მილანი" მზადაა, რონალდოს საკუთარი იმიჯის უფლებები მთლიანად დაუთმოს. ამჟამად კი იმიჯის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს, რომელიც წელიწადში 12 მილიონ ევროს შეადგენს, ბრაზილიელი სამეფო კლუბს უნაწილებს.

ამასობაში „მილანმა" ერთი ტრანსფერი უკვე სრულყო. „მესინის" მეკარე **მარკო სტორარიმ** „როსონერისთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა. ახალი გოლკიპერის დამატების აუცილებლობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ერთი კვირის უკან სათადარიგო მეკარე **ჟელკო კალაჩი** მძიმედ დაშავდა და გუნდს ერთი თვით გამოეთიშა. ნელსონ დიდამ ტრავმა მოიშუშა და სადაცაა მოედანსაც დაუბრუნდება, თუმცა ბრაზილიელის სრულ გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვები ისევ რჩება. 30 წლის სტორარის სერია A-ში 82 შეხვედრა აქვს ჩატარებული. „მესინაში" გადასვლამდე ის „პერუჯაში", „ანკონასა" და „ნაპოლიში" გამოდიოდა.

როგორც ცნობილია, „მილანი" **მასიმო ოდოს** დამატებასაც ცდილობს, მაგრამ „ლაციოს" პრეზიდენტ **ლოტიტოს** გაჯიუტების გამო, მოლაპარაკება ძალიან ჩაიხლართა. გუშინ გალიანიმ ამის თაობაზეც ისაუბრა: *„ძალიან პესიმისტურად ვუყურებ ოდოს დამატების შესაძლებლობას, რადგან არც ჩვენ და არც ლოტიტოს ჩვენ-ჩვენი პოზიციები არ შეგვიცვლია. „მესინასაგან" სტორარი 1,5 მილიონ ევროდ შევიძინეთ, ის უკვე მილანელოს ბაზაზეა. მეკარე სერენიც მოგვწონდა, მაგრამ „ლაციოსთან" შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ცნობილი ამბავია, რომ ლოტიტოსთან საერთო ენის გამონახვა ყველასთვის ძალიან ძნელია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ვერც ოდოსთან დაკავშირებით შევძლებთ შეთანხმებას. უფრო ადვილი აღმოჩნდა იმ ფეხბურთელის შეძენა, რომელიც სერია A-ს გუნდის ძირითადში თამაშობს (სტორარი), ვიდრე იმ ფეხბურთელის, რომელიც „ლაციოში" ირიცხება, მაგრამ არასოდეს თამაშობს (სერენი)."*

დაბოლოს, **მარკო ბორიელოს** თემა. უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ „მილანის" თავდამსხმელს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია არ ასცდება. როგორც ცნობილია, ერთი თვის წინ ბორიელოს სისხლში აკრძალული ნივთიერება უპოვეს. ფეხბურთელი თავს იმართლებდა, ჩემი ინიციატივით არაფერი მიმიღია, მხოლოდ კლუბის ექიმების მითითებებს ვემორჩილებოდიო, მაგრამ გუშინწინ ჩატარებულმა განმეორებითმა ტესტმა ანალოგიური შედეგი აჩვენა.

სპარტაკი

# ამელია 8 მილიონად

## კავენაგი მანჩესტერ სიტისაც უნდა

"მანჩესტერ სიტი" სპარტაკელი **ფერნანდო კავენაგით** დაინტერესდა. არგენტინელს რუსეთიდან აზარგება სურს. მას ესპანეთსა და იტალიაში ეპატიჟებიან. აქტიურობენ "რასინგი" და "ტორინო". ახლა კი მისი შეძენა "სიტის" ბოსმა **სტიუარტ პირსმაც** მოინადინა. პირსი მოსკოველებს ნახევარწლიან საიჯარო ხელშეკრულებას შესთავაზებს.

"სპარტაკის" სპორტული დირექტორი **სტანისლავ ჩერჩესოვი** იტალიაში გაემგზავრა და "იუვე"-"ჩეზენის" ბოლო ტურის მატჩს (2:1) დაესწრო. ის კლუბისთვის სასურველ ფეხბურთელებს არჩევდა, მაგრამ დეტალების გამხელისაგან თავი შეიკავა. ცნობილია, რომ მოსკოველებს იტალიიდან "ლივორნოს" მეკარის **მარკო ამელიას** შეძენა უნდათ და მზად არიან, 8 მილიონი ევრო გადაიხადონ. რუსული სააგენტოების ცნობით, შეთანხმება თითქმის მიღწეულია. უახლოეს დღეებში სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდება. მისი რუსული დებიუტი, სავარაუდოდ, 24 იანვარს, პირველი არხის თასზე შედგება.

ამასობაში, "სპარტაკმა" ინტენსიური მოლაპარაკებები გააჩაღა "გალათასარაისთან". ის 27 წლის თავდამსხმელის **ათეშ ნეჯათის** შეძენას ცდილობს. რუსები თურქეთის ნაკრების ფორვარდში 5 მილიონ ევროს იხდიან, "გალა" კი სამი მილიონით მეტს ითხოვს.



მარკო ამელია



აზრამოვიჩისა და შევჩენკოს კეთილგანწყობას წერტილი დაესვა

ჩელსი. სკანდალი

# შევჩენკომ აბრამოვიჩს ანჩელოტი ურჩია

## THE SUN ვარაუდობს, რომ უკრაინელის თავხედობა რეაგირების გარეშე არ დარჩება...

**ანდრეი შევჩენკომ** განაცხადა, ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე და "ლივერპულთან" ძირითადში სათამაშოდ მზად ვარო. მაგრამ აბა **ჟოზე მოურინიოს** ჰკითხეთ, უნდა თუ არა უკრაინელის სასტარტოში დაყენება. **რომან აბრამოვიჩი** არ მალავს, რომ მწვრთნელისგან 30-მილიონიანი ვარსკვლავის უკეთ გამოყენებას ელის. მაგრამ უკრაინელის სტატისტიკა ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა - 5 გოლი 30 მატჩში. ჟოზე შევას ძირითადის ფეხბურთელად არ განიხილავს.

დირექტორატმა არ დააკმაყოფილა მოურინიოს სურვილი, ვალენსიელი თავდამსხმელი **დავიდ ვილიას** ტრანსფერის თაობაზე. ესპანელი გოლეადორი 22 მილიონი გირვანქა ღირდა. მხარდაჭერა ვერ მოიპოვა მწვრთნელის კიდევ ერთმა ინიციატივამ - **შონ რაიტ-ფილიპსისა** და "ასტონ ვილის" თავდამსხმელ **მილან ბაროშის** გაცვლამ.

აბრამოვიჩს სურდა, "ჩელსიში" მიეყვანა "პორტსმუთის" ტექნიკური დირექტორი **აბრაამ გრანტი** (ისრაელის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი). მოტივაცია ასეთი გახლდათ: გრანტი მოურინიოს შევჩენკოსთან ურთიერთობის მოგვარებაში დაეხმარებაო (?). ჟოზემ გრანტის დახმარებაზე უარი თქვა. იმასაც ამბობდნენ, აბრამოვიჩს ებრაელი სპეციალისტით მოურინიოს მარჯვენა ხელის, **სტივ კლარკის** შეცვლა სურდა, რასაც მოურინიო, რა თქმა უნდა, არ დათანხმდაო.

30 წლის შევჩენკომ მუხლის ტრავმის გამო ბოლო ორი მატჩი გამოტოვა - "ვიკომბთან" ლიგის თასზე (1:1) და "ვიგანთან" პრემიერლიგაში (4:0). მიმომხილველები ამბობდნენ, დარწმუნებულნი არა ვართ, რომ უკრაინელს ტრავმა აქვს, ალბათ, მწვრთნელს განაცხადშიც აღარ შეჰყავსო, მაგრამ ეჭვები უსაფუძვლო იყო. "მილანის" ყოფილ ვარსკვლავი ნამდვილად მკურნალობდა, ბოლო დღეებში კი თავდაუზოგავად შრომობდა, რათა მწვრთნელის ყურადღება მიეპყრო.

ერთი კვირის წინ შევამ "სანის" ჟურნალისტს განუცხადა, "ჩელსიდან" წასვლა არ მწურსო. შევჩენკო მოურინიოს თავის ტკივილად ექცა. ხელმძღვანელობა მისგან დაუფარავად ითხოვს: შეეცადოს, ამ ფეხბურთელისგან მაქსიმალური სარგებლის ნახვას და უარი თქვას ახალი თავდამსხმელის ტრანსფერზე.

ამასობაში, მოურინიოსა და "ჩელსის" სპორტული დირექტორის **ფრანკ არნესენის** ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდა. არნესენმა ესპანელი სკაუტი **ხუან სოლერი** მადრიდში მიავლინა, რათა "ატლეტიკოსთან" მოლაპარაკებები დაიწყოს. არნესენმა **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერზე დაიწყო ფიქრი. მოურინიოს კი ეს ფეხბურთელი არ მოსწონს. მისი აზრით, ესპანელი ფორვარდი ძალიან ნელია. არნესენის ფავორიტმა "სელტასთან" პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში (3:1) ორი გოლი გაიტანა.

დღეს ვესტმინსტერში "არისტოკრატები" დიდ კორპორატიულ წვეულებას აწყობენ. ის წვეულება "ჩელსის" საქველმოქმედო პროექტებს მიეძღვნება. მასზე მიწვეულია ყველა - აბრამოჩივით დაწყებული და გუნდის რიგითი თანამშრომლით დამთავრებული, აგრეთვე ბრიტანეთის პარლამენტისა და მთავრობის წევრები. რა თქმა უნდა, დამსწრეთა შორის იქნებიან მთავარი მწვრთნელი და ფეხბურთელები. აბრამოვიჩმა მოუცლელობა მოიმიზეზა. ის ვესტმინსტერში არ იქნება. ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორია აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი**. საღამოს უამრავი მიმომხილველი დაესწრება. კენიონმა იცის, რომ ჟურნალისტები ოფიციალურ პირებს გაათმაგებული ყურადღებით დააკვირდებიან და დასკვნებს მათი ჟესტებისა და სახის გამომეტყველების საფუძველზე გააკეთებენ. ერთსულოვნების დემონსტრირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მოხერხდება კი ეს იმ დროს, როცა, მაგალითად, მოურინიოს ქმედებების განჭვრეტა ძალიან ძნელია.

გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ "მანჩესტერ სიტის" მცველ **მიკა რიჩარდსის** ტრანსფერი არ შედგება. "ჩელსი" 18 მილიონ გირვანქას არ გადაიხდის. სამაგიეროდ, დასკვნით სტადიაშია მოლაპარაკებები ბოლტონელ **ტალ ბენ ჰაიმთან**. 24 წლის ცენტრალური მცველი 2-3 მილიონი გირვანქა დაჯდება. ზემოთ ვთქვით, რომ აბრამოვიჩი ვესტმინსტერის წვეულებას არ დაესწრება. რუსი ოლიგარქი "ლივერპული"-"ჩელსის" მატჩზე მისვლასაც არ აპირებს - "სანის" მტკიცებით, მთავარ მწვრთნელთან კონფლიქტის გამო.

■ ■ ■

მართალია, შევჩენკოს საკითხი უკვე მიმოვიხილეთ, მაგრამ ქვემოთ უკრაინელზე უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. უფლება არ გვაქვს, გვერდი ავუაროთ ინფორმაციას, რომელიც "სანმა" გუშინ საღამოს გაავრცელა. სტატია იმ განცხადებით იწყება, რომელიც შევამ საკუთარ ვებგვერდზე განათავსა: *"ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, ჩემსა და მოურინიოს შორის მთელი რიგი გაუგებრობები წარმოიშვა. ვფიქრობ, ამ გაუგებრობათა აღმოფხვრა მხოლოდ კლუბის მაღალჩინოსნებს შეუძლიათ."*

ნორმალურ ვითარებაში კლუბის ხელმძღვანელობა მწვრთნელის კომპეტენციაში არ ერევა. როცა მწვრთნელს ფეხბურთელთან პრობლემები აქვს, დაპირისპირება, როგორ წესი, ფეხბურთელის აზარგებით მთავრდება. მაგრამ საქმეც ისაა, რომ შევჩენკო "ჩელსისთვის" უფრო მეტია, ვიდრე რიგითი ახალწვეული, რომელმაც სადებიუტო სეზონი პირწმინდად ჩააფლავა და წესით, საპრეტენზიოც არაფერი უნდა ჰქონდეს. შევჩენკოს ვითარება განსაკუთრებულია. აბრამოვიჩმა თავის მეგობარს (ოლიგარქი უკრაინელ თავდამსხმელს ტრანსფერის პირველივე დღიდან ასე მოიხსენიებს) უკვე შესთავაზა გავლენიანი თანამდებობა კარიერის დასრულების შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოურინიო "ჩელსის" დროებითი თანამშრომელია, შევჩენკო კი ლონდონში იმიტომ მივიდა, რომ იქ დიდხანს დარჩეს.

მაგრამ კიდევ უფრო სკანდალურია ინფორმაცია, რომელსაც "სანი" ამის შემდეგ ავრცელებს. შევჩენკომ აბრამოვიჩს მოურინიოს ადგილზე "მილანის" მთავარი მწვრთნელის **კარლო ანჩელოტის** დანიშვნა ურჩიაო (!!!). პოპულარული ტაბლოიდი შევჩენკოსა და "ჩელსის" სხვა ვარსკვლავებს შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებას წინასწარმეტყველებს. **ჯონ ტერი, ფრენკ ლემპარდი** და კომპანია მოურინიოს მხარდამჭერია. ამ მწვრთნელმა "არისტოკრატებს" საკლუბო ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატებები მოუტანა. ამიტომ საეჭვოა, უკრაინელის თავხედობა რეაგირების გარეშე დარჩეს.

47 წლის ანჩელოტი "მილანს" სეზონის ბოლოს გამოეთხოვება. მის ნაცვლად "ბარსელონის" თავკაც **ფრანკ რიიკაარდს** ან ჰოლანდიის ნაკრების ბოს **მარკო ვან ბასტენს** დანიშნავენ. ისინი "მილანში" ანჩელოტის ყოფილი თანაგუნდელები არიან. კარლეტო "როსონერიში" მეექვსე სეზონს ატარებს. ამ ხნის განმავლობაში მან ერთხელ ჩემპიონთა თასი (2003), ერთხელ სკუდეტო (2004) და ერთხელ იტალიის თასი (2003) მოიპოვა, ხოლო 2005 წელს დრამატულად წააგო ჩემპიონთა ლიგის ფინალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტი. კალჩოს ბოლო კვირა არიგო საკის თვალით

# იბრა და ადრიანო, მსოფლიოს საუკეთესო წყვილი

## ლეგენდარული მწვრთნელი იუვენტუსის თამაშის ხარისხს უწუნებს...

განვიხილოთ კვირა, რომელშიც „ინტერის" სარეკორდო მე-12 გამარჯვება დაფიქსირდა. ჩემპიონატში ზედიზედ მოგებული შეხვედრების რეკორდი, რომელიც შარშან სპალეტის წარმტაცმა „რომამ" დაამყარა, მომდევნო სეზონშივე მოხსნა მანჩინის ბულდოზერმა „ინტერმა". ათწლეულების მანძილზე რეკორდი ზედიზედ 10 მოგება იყო და სულ რაღაც ერთ წელიწადში ორჯერ გაუმჯობესდა. სატელევიზიო უფლებებმა და მასთან დაკავშირებულმა ფინანსურმა უთანასწორობამ, როგორც ჩანს, გადაჭარბებულად გაამდიდრა რამდენიმე კლუბი, რითაც ჩემპიონატს კონკურენტუნარიანობა, წონასწორობა და არაპროგნოზირებადობა დააკარგვინა. ამ ყველაფრის მიუხედავად, თავს ვალდებულად ვთვლი, კომპლიმენტები ვუძღვნა „ინტერს", მის სიძლიერეს, მონდომებასა და თავდაჯერებულობას.

„შავ-ლურჯებში" დღეს ყველა ბრწყინვალე ფორმაშია, ჩანს, რომ გუნდში ზოგადად ჯანსაღი ატმოსფეროა, ფეხბურთელები საუცხოო ტექნიკურ უნარებს ამჟღავნებენ. შთამბეჭდავია ამ სუპერათლეტებისგან შემდგარი ჯგუფის ფიზიკური სიძლიერე და ასევე ჩანს, რომ „ინტერმა" საბოლოოდ დაიბრუნა ნამდვილი ადრიანო, რომელიც ლამის ერთი წლის მანძილზე დიდი დისკუსიის საგნად იყო ქცეული. დღეს „ნერაძური" შეუჩერებელი მანქანაა. გასაკვირი აღარაა, რომ ასეთ პოზიტიურ გარემოში ინდივიდუალიზმსაც დიდი გასაქანი ეძლევა, ხშირ შემთხვევაში ეს ინდივიდუალიზმი ვირტუოზობამდე აღწევს. რა საოცარი წყვილია იბრაჰიმოვიჩი-ადრიანო, თავისი ასაკითა და კლასით! დღეს მას მსოფლიოს ყველაზე ძლიერი თავდასხმის დუეტი შეიძლება ეწოდოს. იბრაჰიმოვიჩის მაგალითი განვიხილოთ. „იუვენტუსში" არასტაბილური იყო, დღეს კი სრულყოფილი მოთამაშეა, უფრო თანმიმდევრული და უფრო მობილური გახდა. იშვიათი ნიჭი და მონაცემები აქვს: ბურთის შენარჩუნების უნარი, ფიზიკური სიძლიერე და საოცარი ნომრები. მხოლოდ დიდი ვარსკვლავები ფლობენ ასეთ თვისებებს. ერთადერთი, ცოტა ანტიპათიურ და ინფანტილურ მოქმედებებს უნდა აარიდოს თავი. და ადრიანო? თუ არ დაავიწყდება, რომ პროფესიონალია და კორექტულად მოიქცევა, აუცილებლად გახდება ისევ ის ფენომენი, როგორსაც ჩემი, პარმაში, მუშაობის დროს ვიცნობდი. მისი წარმატება მხოლოდ მის ხელშია, თუ სერიოზულად იმუშავებს, ყველა საფეხბურთო მწვერვალს დაიპყრობს. დღეს კარგად თამაშობს, თანაგუნდელებზე ფიქრობს, დარბის, იბრძვის, მუდმივად ცდილობს გახსნას, გოლები გააქვს და 11-მეტრიანებიც მოაქვს თავისი გუნდისთვის.

რობერტო მანჩინის შეუძლია, კმაყოფილი იყოს. მან ბრწყინვალე სამუშაო ჩაატარა, გუნდს დიდი ტაქტიკური პროგრესი აქვს. თუკი რაიმე ლაქა გვინდა მოვნახოთ (იგულისხმება ბოლო შეხვედრა ტურინში, რომელიც „ინტერმა" 3:1 მოიგო), მაშინ ერთადერთი ეპიზოდის გახსენება შეიძლება, როცა მატერაცის არასწორი პოზიციის გამო „ინტერის" კარში ავტოგოლი გავიდა და ძაკერონის „ტოროს" გათანაბრების საშუალება მისცა. ეს არის ერთადერთი შენიშვნა, სხვა მხრივ კი მანჩინის გუნდს მხოლოდ ერთი საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს - უფრო მეტად ფიზიკურ სიძლიერეზე დაყრდნობა, ვიდრე ტაქტიკურ შესაძლებლობებზე. ბრწყინვალე გადაწყვეტილებაა ძანეტის ნახევარმცველად გამოყენება, სტანკოვიჩი ყველა შემთხვევაში დიდ საქმეს აკეთებს, იმისგან დამოკიდებლად, გამთამაშებლის პოზიციაზე თამაშობს თუ კლასიკურ ნახევარმცველად. ვიტყოდი, რომ სერბი ამ „ინტერში" ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელია. მშვენიერია ვიეირაც, დღეს მის მოქმედებებში მეტი სისწრაფე და სისხარტეც შეინიშნება, რისი დეფიციტიც „იუვენტუსში" ჰქონდა. საუცხოოდ გამოიყურება კუნთმაგარი და ამტანი მაიკონი: ასე კარგად აწყობილი და დაკომპლექტებული დაცვის ხაზი გაუვალი ჩანს. ფიგუ თამაშს კლასს და სილამაზეს მატებს, მიუხედავად იმისა, რომ სტაბილურობის მხრივ პრობლემები აქვს. ამ რეკორდული „ინტერის" წინააღმდეგ მეტოქეებს უბრალოდ უფლება არ აქვთ, რომ თუნდაც წუთით მოდუნდნენ, რადგან მილანელებს გოლის გატანის უამრავი ხერხი და საშუალება აქვთ. გარდა ამისა, თვალშისაცემია პროგრესი ბურთის ფლობის მხრივაც, გუნდის თამაში ჩემზე სიმსუბუქისა და ჰაეროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს, ამას კი საფუძვლად ყოველთვის თავდაჯერება და საკუთარი ძალების რწმენა უდევს. მრავალრიცხოვანი და კვალიფიციური შემადგენლობა იმის გარანტიაა, რომ ეს ერთი სეზონისთვის შექმნილი გუნდი არაა. მჯერა, რომ თუ ეს უძლეველი არმადა მონდომებასა და კონცენტრაციას შეინარჩუნებს, ევროპულ ასპარეზზეც დიდ წარმატებებს მიაღწევს.

გასულ შაბათს დავუბრუნდები და „მანტოვა"-„იუვენტუსის" (1:0) თამაშს გავიხსენებ. ამ შეხვედრაში ფორმიდან ამოვარდნილი და აშკარა სათამაშო პრობლემების მქონე „იუვენტუსი" ვიხილე. „მანტოვამ" დამსახურებულად გაიმარჯვა, იმიტომ, რომ გაბედულად, სწრაფად და გააზრებულად ითამაშა. ერთადერთი შენიშვნა მექნება მანტუელებთან: გოლის გატანის შემდეგ ძალიან ჩაიკეტნენ დაცვაში. „იუვენტუსმა" კი თამაში მთლიანად ჩააგდო და ის, რომ ბევრი ფეხბურთელი აკლდა, თავის გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება. ასე თუ ისე, მოედანზე რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონი და სანაკრებო დონეზე მოთამაშე რამდენიმე უცხოელი იყო. „იუვეს" პრობლემა მოთამაშეების არყოფნა კი არა, თამაშის ხარისხია. სამშაბათს ტურინში („ჩეზენასთან" 2:1) დეშამის გუნდი ისევ წამოდგა ფეხზე, დაიბრუნა თავისი სულისკვეთება, ბევრი იწვალა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა, მას შემდეგ, რაც ორი სწრაფი გოლი გაიტანეს დელ პიერომ და ტრეზეგემ – „იუვეს" ორმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ფეხბურთელმა, რომლებიც შაბათს მანტუაშიც მოედანზე იყვნენ.

დიდი ნუხილით ვადევნებ თვალს „პარმის" წარუმატებლობებს. ავტომატურად მებადება ერთი ასეთი შეკითხვა: რატომ მოხდა, რომ ბონდიმ (სახელმწიფოსგან დანიშნული დროებითი მმართველი) მხოლოდ ახლა გამოაცხადა აუქციონი კლუბის გაყიდვაზე? სამი წელია, რაც „პარმა" არსებობისთვის იბრძვის, დღიდან დღემდე გააქვს თავი და რა შედეგებიც მოჰყვა ამას, ყველა კარგად ვხედავთ. ალბათ შეიძლებოდა, რომ უფრო მეტი პატივისცემა გამოეჩინათ ქალაქისა და ტიფოზერიის მიმართ, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ სპორტული პრინციპების ერთგულებითა და გულშემატკივრობის მაღალი კულტურით. საშობაო პაუზის შემდეგ ჩატარებულმა ტურმა დაადასტურა, რომ „მილანი" კრიზისიდან გამოვიდა და აღმავლობის გზაზეა. ტური გამორჩეული იყო იმითაც, რომ ორივე რომაულ გუნდს ფეხი ისეთ შეხვედრებში დაუცდა, როცა ამის პირობა ერთი შეხედვით არ არსებობდა ("მესინა"-„რომა" 1:1, „ლაციო"-„სიენა" 1:1). დაბოლოს, პირდაპირ ეთერში ვნახე, როგორ დაითხოვა სპინელიმ არიგონი, როგორ ჩაერია საქმეში ამელია, როგორ ეწვია ფეხბურთელების დელეგაცია პრეზიდენტს და როგორ დააბრუნეს არიგონი „ლივორნოს" მწვრთნელის სკამზე. კომენტარი? საკომენტარო ბევრი არაფერია. ჩემი აზრით, თუ გვინდა, რომ იტალიური ფეხბურთი უფრო სერიოზული და ცივილური გახდეს, მაშინ ქცევის სტილი ასეთი ნამდვილად არ უნდა იყოს. ვფიქრობ, ფეხბურთს ასეთი უკულტურო და ვულგარული პიროვნებების საჭიროება აღარ აქვს.

**არიგო საკი**
**გაძეტა დელო სპორტი**



საკის ფავორიტი დუეტი: იბრაჰიმოვიჩი და ადრიანო

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მასკერანო: უფრო ლივერპულში

## ...მაგრამ საჭიროა ფიფას ნებართვა

"ლივერპული" **ხავიერ მასკერანოს** ტრანსფერზე მუშაობს. მერსისაიდელებს "ვესტ ჰემთან" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება უნდათ, მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა - ფიფას რეგლამენტი, რომელიც ფეხბურთელს ერთი სეზონის განმავლობაში, უფრო კონკრეტულად, 1 ივლისიდან 30 ივნისამდე, ორზე მეტ კლუბში თამაშს უკრძალავს. არგენტინელ ნახევარმცველს ამ პერიოდის განმავლობაში "კორინთიანსსა" და "ვესტ ჰემში" აქვს ნათამაშები. შესაბამისად, ის "ლივერპულს" ველარაფრით დაეხმარება. მაგრამ ლივერპულელები იმედს არ კარგავენ. კლუბმა ფიფაში წერილი გააგზავნა და მას გამონაკლისის დაშვება სთხოვა. გამონაკლისის საფუძველი შეიძლება გახდეს ის, რომ მასკერანომ ლონდონური კლუბის შემადგენლობაში მხოლოდ ექვსი წუთი ითამაშა - 22 ოქტომბერს "ტოტენჰემთან". ფიფას ფეხბურთელთა სტატუსის დეპარტამენტი ამ საკითხს იხილავს და გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს.

ამასობაში, დონეცკის "შახტიორის" მთავარმა მწვრთნელმა **მირჩა ლუჩესკუმ** განაცხადა, რომ "ლივერპულს" მისი გუნდის ხორვატი თავდამსხმელის **დარიო სრნას** შეძენა უნდა. 24 წლის სრნა უკრაინულ გრანდში ოთხი წლის წინ გადავიდა და მას მერე საგრძნობლად მოუმატა. სხვა და სხვა დროს ფეხბურთელის შეძენა "პარი სენ ჟერმენსა" და "მონაკოსაც" სურდათ, მაგრამ "შახტიორმა" სარფიან წინადადებებზე უარი თქვა. ამჯერად ის გარიგებაზე თანახმაა, თუ დაინტერესებული კლუბი 10 მილიონ ევროს გაიღებს. ლუჩესკუ იმაშიც დარწმუნებულია, სრნა რომ ევროპის რომელიმე მოწინავე პირველობაზე ასპარეზობდეს, მინიმუმ 15 მილიონი ეღირებოდა.

### მაკედონიას სანქცია ელის

შესაძლოა, ფიფამ მაკედონიის ნაკრები საერთაშორისო სარბიელიდან მოკვეთოს. საქმე ფეხბურთის ფედერაციაში მომხდარ სკანდალს ეხება. ცნობილი გახდა, რომ ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი **ლაზარ მიტროვსკი** თანამდებობაზე ყალბი დიპლომით მოხვდა. ამას გარდა, ფეხბურთის ფედერაცია თურმე ცდილობს, ამ სიყალბის შესანიღბავად წესდება შეცვლოს. ფიფა მაკედონიელთა რეაქციას ელოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სანქცია არ დააყოვნებს.

### ორი მცველი მანჩესტერიდან ტოტენჰემში?

"ტოტენჰემმა" "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველებს დაადგა თვალი. "მამლებმა" **გაბრიელ ჰაინცეს** სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გაამზადეს, **ვესლი ბრაუნს** კი, იმედი აქვთ, რომ უკომპენსაციოდ წაიყვანენ. ბრაუნის მანჩესტერული კონტრაქტი ივნისში იწურება.

ჰაინცე "პარი სენ ჟერმენიდან" 2004 წლის ზაფხულში, 6.9 მილიონად გადაიყვანეს. მას შარშანდელი სეზონის უმეტესი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა. ამ სეზონში **სერ ალექს ფერგიუსონმა პატრის ევრაზე** გააკეთა აქცენტი და არგენტინელი თადარიგში გამნესა. ჰაინცე კვლავინდებურად პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მარცხენა მცველად ითვლება, მაგრამ საუთჰემპტონელი **გარეთ ბეილის** 6 მილიონიანი ტრანსფერი, ფაქტობრივად, იმის ნიშანი იქნება, რომ გაბიმ ახალი სამსახური უნდა მოძებნოს.

ინტერი

# მანჩინი მორატის შეხვდა

## სამწლიანი კონტრაქტის პირობები შეთანხმებულია?



რობერტო მანჩინი

რამდენიმე დღის წინ **რობერტო მანჩინიმ** განაცხადა, "ინტერთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება მარტივი ფორმალობა არ იქნებაო: *"ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. ამ თემაზე საჯაროდ საუბარი არ მსურს. ჩემს სიტყვებს, შეიძლება, არასწორი ინტერპრეტაცია მიეცეს, თანაც ამ წუთში კლუბს სხვა პრიორიტეტები აქვს. მხოლოდ იმას ვამბობ, რომ მოლაპარაკებები არ იქნება მარტივი ფორმალობა. ელენიო ერერას მადარებენ? ეტყობა, ხუმრობის ხასიათზე ხართ. ერერა ლეგენდა იყო."*

"ინტერის" ხელმძღვანელობამ მანჩინის კომენტარი უყურადღებოდ ვერ დატოვა. გუშინ მწვრთნელს დახურულ კარს მიღმა შეხვედრა შესთავაზეს. შეხვედრას "ნერაძურის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** გაუძღვა. მისი დასრულების შემდეგ მორატიმ ჟურნალისტებს აუწყა, რომ საუბარი სამომავლო გეგმებს შეეხებოდა და აქცენტი ტრანსფერებზე იყო გაკეთებული: *"ნაყოფიერი საუბარი გამოვიდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. საორგანიზაციო საკითხები მიმოვიხილეთ. აგრეთვე, ვისაუბრეთ იმის შესახებ, საჭიროა, თუ არა შემადგენლობის გაფართოება. მწვრთნელმა ამიხსნა, თუ რატომ ანიჭებს ამა თუ იმ ფეხბურთელს უპირატესობას. დღევანდელი შემადგენლობა ამოუწურავი ნდობით სარგებლობს. გასაკვირი არ არის, რომ დროის უმეტესი ნაწილი პერსპექტიულ მოთამაშეებზე საუბარს დავუთმეთ. შევთანხმდით, რომ აქცენტს იტალიელ ყმაწვილებზე გავაკეთებთ, რომლებიც ჩვენს სარეზერვო გუნდში ირიცხებიან. ამის გაკეთება იმიტომაცაა სასურველი, რომ უეფა უცხოელ ფეხბურთელებზე ლიმიტის გამკაცრებას აპირებს... მანჩინის კონტრაქტი? პრობლემას ვერ ვხედავ, ხელშეკრულებას მაშინ გავაფორმებთ, როცა ამ თემაზე აღარავინ ილაპარაკებს."*

მართალია, მორატიმ მანჩინიზე სიტყვაძუნწი კომენტარი გააკეთა, მაგრამ "გაძეტა დელო სპორტმა" სანდო წყაროსაგან შეიტყო, რომ კონტრაქტზეც ბევრი ისაუბრეს და შეთანხმდნენ კიდეც. პოპულარული გამოცემის მტკიცებით, მანჩინი "ინტერში" კიდევ სამ სეზონს გაატარებს და დღევანდელზე უკეთეს ხელფასს მიიღებს.

რაც შეეხება ტრანსფერებს, "ინტერი" **ხუან რომან რიკელმეს** წარმომადგენლებს შეეხმიანა. არგენტინელ ნახევარმცველს "სან სიროზე" გადასვლა შესთავაზეს. რიკელმეს "ვილიარელის" მთავარ მწვრთნელ **მანუელ პელეგრინისთან** პრობლემები აქვს. კლუბმა ჩილელ სპეციალისტს დაუჭირა მხარი და მას ახალი კონტრაქტიც კი შესთავაზა. რიკელმეს სამსახურის შეცვლა მართებს. მილანურმა გრანდმა ის **ლუიშ ფიგუს** შემცვლელად შეიგულა და 7.5 მილიონი გირვანქა გაამზადა. რიკელმეს "ბოკა ხუნიორსში" დაბრუნებაც უწინასწარმეტყველეს, მაგრამ საეჭვოა, "ინტერმა" ის ბაირესელებს დაუთმოს. მანჩინი ხუან რომანით აღფრთოვანებას არ მალავს: *"მირჩევნია, ჩვენი სატრანსფერო გეგმები საიდუმლოდ შევინახო. ორი-სამი ფეხბურთელის დამატებაზე ვფიქრობთ, მაგრამ ამ საკითხებზე საფუძვლიანად ჯერ არ გვიმსჯელია. რიკელმე? ის, რა თქმა უნდა, დიდი ფეხბურთელია."*

### ინტერის სატრანსფერო საქმეები: გამოძიება დაიწყო

"ინტერის" სატრანსფერო საქმიანობას მილანის პროკურატურა შეისწავლის. უწყების შეფი **კარლო ნოჩერინო** აცხადებს, რომ არსებობს ეჭვი სერიოზულ დარღვევებზე 2002/03 წლების სეზონში განხორციელებული ოპერაციების დროს. ჟურნალისტებმა კომენტარისთვის უმალ **მასიმო მორატის** მიაკითხეს. "ინტერის" ბოსი პროკურორის განცხადებას მშვიდად შეხვდა:

*"ოდნავადაც არ ვნერვიულობ. სატრანსფერო დოკუმენტაციას ყოველ წელს ამოწმებენ და ეს მარტო ჩვენ არ გვეხება. გარწმუნებთ, ჩვენთან ყველაფერი წესრიგშია. კლუბი მზადაა, გამოძიებას ყოველმხრივ დაეხმაროს".*

მართალია მორატი, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური კომისია (COVISOC) სატრანსფერო საქმეებს რეგულარულად სწავლობს, მაგრამ საინტერესოა, რატომ მიდგა საქმე მაინცდამაინც 2002/03 წლების სეზონზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მადრიდული სკანდალი

# კალდერონმა შეურაცხყოფით დაიწყო და ბოდიშით დაასრულა

## რეალის პრეზიდენტი: ფლორენტინომ საბოტაჟი მოგვიწყო, ბექჰემმა ჰოლივუდზე გაგვცვალა, გუტი კი 31 წლის ასაკშიც პერსპექტიულ ფეხბურთელად რჩება...



რამონ კალდერონი

**რამონ კალდერონს** უცნაურმა ბზიკმა უკბინა. "რეალის" პრეზიდენტი უჩვეულოდ აღრენილი, აგრესიული და გადარეული იყო. მან ერთბაშად ყველას შეუტია. სამეფო კლუბის ამჟამინდელი უმაღლესი ხელისუფალი თავდაპირველად ყოფილ პრეზიდენტს, **ფლორენტინო პერესს** დაესხა თავს. სენიორ კალდერონის მტკიცებით, მისმა კოლეგამ **კაკას** გადაბირებაში შეუშალა ხელი: *"ფლორენტინომ სამეფო კლუბს საბოტაჟი მოუწყო. დიახ, ამ კაცის უარყოფითი როლი რომ არა, ბრაზილიელი დღეს "სანტიაგო ბერნაბეუზე" ითამაშებდა. პერესმა სილვიო ბერლუსკონის პირადად დაურეკა და უთხრა, კაკა ცოცხალი თავით არ გაყიდოთო. "მილანმა" ამ საუბრის შემდეგ საკუთარ ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივება გადაწყვიტა. უმცირეს დროში იურისტებმა ახალი ხელშეკრულება მოამზადეს და ამით ჩვენ ყველა გზა მოგვიჭრეს."*

გაოგნებულ ჟურნალისტებს კითხვა გაუჩნდათ, **ბერლუსკონი** პერესის გავლენის ქვეშ რატომ უნდა მოქცეულიყო. კალდერონს ამ საკითხთან დაკავშირებით ორიგინალური პასუხი აღმოაჩნდა: *"ცნობილია, რომ "მილანის" მეპატრონე და ფლორენტინო დიდი მეგობრები არიან. ამას ორივე მათგანი დაადასტურებს. ყოფილ პრეზიდენტს ჩემი კომპრომეტირება სურდა. როგორც იცით, ჩვენი გუნდის წინასაარჩევნო დაპირება კაკას ტრანსფერი გახლდათ. რა უნდა იყოს იმაზე დიდი საშინელება, როცა სერიოზული ადამიანები სიტყვას ვერ ასრულებენ? პერესი ყველაფერს კარგად ხვდებოდა და ბოროტი გეგმა აამუშავა. ბერლუსკონიმ მეგობარს უარი, რა თქმა უნდა, არ უთხრა. შედეგად კალდერონი საზოგადოების წინაშე სრულ იდიოტად წარსდგა. მე ვსვამ კითხვას, რამდენად მორალური და სამართლიანია პერესის ქმედება? გასაგებია, რომ მას უფერული მოღვაწეობის გამო, თანამდებობიდან ვადაზე ადრე წასვლა აიძულეს. შურისძიებისთვის საუკეთესო საშუალება ცხადია, ხალხის ახალი რჩეულის დაკნინება იქნებოდა. ვერაგული გეგმა წარმატებული აღმოჩნდა. "მილანმა" კაკა არ დაგვითმო. იტალიელებმა ყველა წინასწარი შეთანხმება დაარღვიეს და მოლაპარაკებები შეაყვიტეს. გიჟი არ ვიყავი, რომ კაკას ტრანსფერი სასპეკულაციოდ გამომეყენებინა. ახლა ვისაც არ ეზარება, მახსენებს, რომ გულშემატკივრებისთვის მიცემული პირობა პირობად დარჩა. იმედია, საზოგადოება სწორ დასკვნებს გამოიტანს. ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ არის ნამდვილი მადრიდისტი და ვინ, შურისმაძიებელი ავანტიურისტი."*

ღმერთმანი, სერიოზული ბრალდებაა. პრეზიდენტის ეს განცხადება, ბუნებრივია, დიდი გამოხმაურებისა და აჟიოტაჟის გარეშე ვერ ჩაივლიდა. ესპანელმა ჟურნალისტებმა დაუყოვნებლივ ფლორენტინო პერესის მობილურზე დარეკეს. სამეფო კლუბის ყოფილი თავკაცი პრესკონფერენციას უყოყმანოდ დათანხმდა. ამ სიტუაციაში საზოგადოებისთვის ხმის მიწვდენა, პირველ რიგში, მის ინტერესებში შედიოდა. საბოტაჟში დადანაშაულებულმა ფუნქციონერმა, რა თქმა უნდა, ყველა ბრალდება უარყო: *"ის რაც კალდერონმა მოჩმახა, წმინდა წყლის სიყალბე და ცილისწამებაა. დონ სილვიო ბერლუსკონისთან საერთოდ არ მისაუბრია. მით უმეტეს, კაკას ან რომელიმე სხვა ფეხბურთელის ტრანსფერის ჩაშლის შესახებ. თავისთავად უდიდესი ინფანტილიზმია იმაზე ფიქრი, რომ ჩემს თხოვნას შეიძლებოდა შედეგი გამოეღო. ეს ხომ იდიოტიზმია და სხვა არაფერი? თუ "მილანის" კომერციულ ინტერესებში კაკას გაყიდვა შედიოდა, ისინი მას აუცილებლად გაასხვისებდნენ და ჩემი ხათრით ათეულობით მილიონ ევროზე უარს არ იტყოდნენ. როგორც ჩანს, კალდერონს ყოვლისშემძლე ვგონივარ, ან უბრალოდ თაღლითობს და ფლორენტინო პერესზე თავდასხმით შელახული რეპუტაციის აღდგენას ცდილობს."*

ფლორენტინოს გამოსვლის მომდევნო ფრაგმენტებს თუ გაეცნობით, ალბათ დაგვეთანხმებით, რომ მისი სიტყვები უფრო დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ჟღერს: *"რეალში" ექვსი წელი ვიმუშავე. ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ საყოველთაო პატივისცემა დამემსახურებინა. მოღვაწეობის განმავლობაში უამრავი კრიტიკოსი და მტერი შევიძინე. ათასი სირთულის მიუხედავად პასუხისმგებლობას არასოდეს გავურბოდი და დამნაშავეს სხვაში არ ვეძებდი. შეცდომებს ყოველთვის ვაჟკაცურად ვაღიარებდი. ჩემი გადადგომა ამის ნათელი დადასტურებაა. რამდენიმე მწვრთნელის შეცვლამ შედეგი არ გამოიღო. ამის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ პრობლემა პრეზიდენტში იყო. კალდერონი კი სულმოკლე კაცი აღმოჩნდა. მან პატივისცემის რამდენიმე თვეში მოპოვება გადაწყვიტა და როცა ხელი მოეცარა, უმალ მტრის ხატი შექმნა. თუ მართალია, ოფიციალურად და დოკუმენტალურად დაამტკიცოს კაკას ტრანსფერის ჩაშლაში ჩემი მონაწილეობა. მუდამ ვამბობდი, ყველაზე მთავარი "რეალის" იმიჯია-მეთქი. ამ მსოფლმხედველობით ვცხოვრობდი და არ ვუშვებდი, რომ კლუბი ინტრიგებისა და პირადი ანგარიშსწორების საშუალება გამხდარიყო. თქვენ ერთ შემთხვევასაც ვერ გაიხსენებთ, როცა თუნდაც ყველაზე დაუძინებელ მტრებზე ასეთი გაწყობითა და ტონით მესაუბროს. უბრალოდ, მამაკაცები ვართ და არ გვეკადრება."*

პრესკონფერენციის დასკვნით ნაწილში ბატონ პერესს გუნდში მიმდინარე პროცესების შეფასება სთხოვეს. ის დიდხანს ჭოჭმანობდა, მაგრამ შეუპოვარმა ჟურნალისტებმა მაინც დაითანხმეს: *"თანამდებობიდან გადადგომის დღიდან ხმა არ ამომიღია. არადა, უამრავი რამ არ მომწონდა. ჩუმად ვიყავი, რადგან არ მინდოდა, სიტუაცია კიდევ უფრო დამეძაბა და ამით ჩვენი სათაყვანებელი "რეალის" რეპუტაცია შემელახა. იძულებული გავხდი, დუმილი დავარღვიო. კალდერონი შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მას კაკას ტრანსფერზე არანაირი წინასწარი შეთანხმება არ ჰქონდა მიღწეული. უბრალოდ, უნდა ეთქვა მსოფლიო დონის ვარსკვლავს ვყიდულობო. სამარცხვინო საქციელია. კალდერონმა იცოდა, ადრე თუ გვიან პასუხს მოთხოვდნენ და მართლაც ინფანტილური, ამავდროულად ამაზრზენი, უზნეო არგუმენტით სცადა თავის გამართლება. დასასრულს, მსურს მოგახსენოთ, მიუხედავად ყველა ცილისწამებისა, შეტევისა და სიბინძურისა, კონფრონტაციას არ გავაღრმავებ. სამეფო კლუბის პრეზიდენტი აღარ ვარ, მაგრამ მე მის რიგით გულშემატკივრად ვრჩები. ნამდვილი ინჩასი კი "რეალზე" წინ არაფერს აყენებს."*

### ვარსკვლავებს შინაგანი კულტურა აკლიათ

კალდერონი ფლორენტინოზე თავდასხმითაც არ დაკმაყოფილდა და ფეხბურთელებსაც მისწვდა. რბილად რომ ვთქვათ, პრეზიდენტმა რამდენიმე მოთამაშე მასხრად აიგდო. პირველ რიგში, სენიორ რამონი რა თქმა უნდა, **დევიდ ბექჰემის** საკითხს შეეხო: *"ინგლისელის კონტრაქტი ბოლო დღეების წამყვან თემად იქცა. მან "გალაქსიში" თამაში გადაწყვიტა. თუ ნებას დამრთავთ, საამისო ორ მიზეზს დავასახელებ. ბექჰემს სხვა ვარიანტი უბრალოდ არ ჰქონდა. ის ამას მიხვდა და გადაწყვიტა, რომ დამნაშავეებად ჩვენ გამოვეყვანეთ. მეორე მიზეზი კიდევ უფრო კომიკურია. დევიდი კალიფორნიაში მიდის, რათა ჰოლივუდის მსახიობი გახდეს. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ფეხბურთი და გადასაღები მოედანი ერთმანეთთან ვერ თანხმდება. დასანანია, რომ ყველაფერი ასე ცუდად დასრულდა. მერწმუნეთ, დირექტორატსა და სამწვრთნელო შტაბს მისი მისამართით სითბოსა და სიყვარულის მეტი არაფერი გამოუხატავს. უმადურება ხასიათის ის თვისებაა, რომელსაც ყველაზე მეტად ვერ ვიტან."*

**ბექჰემისადმი** გამოხატული აგრესია არავის გაჰკვირვებია. აი, **გუტისა** და **კასილიასზე** იერიშის მიტანა კი უდიდესი სიურპრიზი გახლდათ: *"რეალი" ზოგჯერ ეგოისტების ხუშტურებით დამძიმებულ გუნდს ჰგავს. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ შეუცვლელები და უნიკალურები არიან. სინამდვილე კი ხშირად რადიკალურად განსხვავებულია. მაგალითად გუტი ავიღოთ, კარიერა მანაც ისევე დაიწყო, როგორც რაულმა, მაგრამ 31 წლის ასაკშიც პერსპექტიულ ყრმაწვილად რჩება. ახლა მისი ხელფასი იკითხეთ... ვგონებ, ბევრი რამაა გასახედი. იკერ კასილიასი წლიურად 9 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. მისი დუბლიორის, დიეგო ლოპესის ხელფასი კი წლიურ 300 ათას ევროს არ აღემატება. ჩვენს შეხვედრას მრავალი სტუდენტი ეხება. ისინი ჯერაც ძალიან ახალგაზრდები არიან, მაგრამ შინაგანი კულტურა და პასუხისმგებლობა უკვე ჩამოყალიბებული აქვთ. "რეალის" მილიონერ ფეხბურთელთა უმრავლესობას კი საამისო სერიოზული დეფიციტი შეექმნათ."*

სულ ბოლოს კალდერონმა გულშემატკივრებსაც მიაყენა შეურაცხყოფა: *"ჩვენი ინჩადა ყველასგან განსხვავებულია. გამიგია, რომ გულშემატკივარმა სტადიონზე მხარი უნდა დაგიჭიროს და გიქომაგოს. აქ კი რა ხდება, თუ ფეხი აგვიცდება, სტვენა, გინება და დავიდარაბა იწყება. დამეთანხმებით, ინგლისსა და იტალიაში სრულიად განსხვავებული ატმოსფეროა. იქ ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან."*

### ფეხბურთელები პრეზიდენტს არ შეუშინდნენ, კალდერონმა ბოდიში მოიხადა

პრეზიდენტის გამაოგნებელმა გამოსვლამ მთელი გუნდი შოკში ჩააგდო.

ფეხბურთელები ერთსულოვნებისა და სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, ერთ-ერთ მადრიდულ რესტორანში შეიკრიბნენ. სხვადასხვა მიზეზის გამო სადილს **რობინიო, რონალდო, კასანო, ემერსონი, მარსელო** და **სისინიო** არ ესწრებოდნენ. სისინიოს არ მისვლის მიზეზი ყველასთვის ნათელია. ის მძიმე ტრავმას ბრაზილიაში მკურნალობს. დანარჩენებს კი არ დაუკონკრეტებიათ, რატომ ვერ მივიდნენ რესტორანში.

სამი კაპიტანი, **რაული**, გუტი და **რობერტო კარლოსი** კოლეგების სახელით საუბრობდნენ და პრეზიდენტისგან ახსნა-განმარტებებს ითხოვდნენ. ისინი არ მალავენ, რომ კალდერონისგან მსგავს გამოხდომას არ ელოდნენ. მათ პროტესტი ღიად გამოთქვეს და იმედი დაიტოვეს, რომ პრეზიდენტი პასუხს მალე გასცემდა.

სენიორ კალდერონი ასეც მოიქცა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, რამდენიმე საათის შემდეგ "რეალის" უმაღლესმა ხელისუფალმა ტონი რადიკალურად შეცვალა და ბოდიში მოიხადა: *"ბოდიში მინდა მოვიხადო. საზოგადოებასა და შემადგენლობას პატიებას ვთხოვ. მეტისმეტად გავცხარდი. ემოციების მოთოკვა ხშირად შეუძლებელი ხდება. მსურს, ყველამ იცოდეს, რომ ჩემი ყოველი დღე სამეფო კლუბზე ფიქრით იწყება და მთავრდება."*

### კაპელოს სასჯელი ემუქრება

გასულ კვირას, პრიმერა დივიზიონის მე-18 ტურში **ფაბიო კაპელომ** აბეზარ გულშემატკივრებს თითი უჩვენა. ამის შესახებ ამომწურავად გესაუბრეთ. ახლა კი იმასაც გამცნობთ, რომ დირექტორთა საბჭომ ინციდენტი საგულდაგულოდ განიხილა და ფრიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. სამეფო კლუბი კაპელოს ხელფასის დაქვითვით დასჯის. მოულოდნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პრეზიდენტი იტალიელ სპეციალისტს კბილებით დაცვას ჰპირდებოდა.

**ილია ნიკოლაიშვილი**



დიდიე დეშამი

იუვენტუსი

# სენსაციური გარიგება მანჩესტერთან?

## ტუტოსპორტი: კრისტიანო რონალდო ტრეზეგესა და პალადინოს ნაცვლად. დეშამი კონტრაქტს სამი წლით გააგრძელებს...

გასულ უქმეებზე "იუვენტუსმა" "მანტოვასთან" სენსაციური მარცხი იწვნია (0:1). ტურინელებმა რეაბილიტირება სწრაფადვე შეძლეს. სამშაბათს ქალბატონმა "ჩეზენა" 2:1 დაამარცხა, "ნაპოლის" წამოეწია და კვლავ სერია B-ს ლიდერი გახდა. **დიდიე დეშამმა** ბოლოსწინა ტურის ჩავარდნა ტრანსფერების გამო ატეხილ აჟიოტაჟს მიაწერა, ფეხბურთელებმა თამაშზე კონცენტრირება ველარ მოახერხესო: *"თავის მართლებას არ ვცდილობ, მაგრამ ფაქტია, რომ სატრანსფერო ხმაური ყურადღებას გვიფანტავს. შემადგენლობის გაძლიერება კი გარდაუვალია. ტრავმებმა და დისკვალიფიკაციებმა პრობლემები შეგვიქმნა. "იუვენტუსს" გამუდმებულ მზადყოფნის პიკში ყოფნა მართებს, რადგან სერია A-ს საგზურის ბედი წყდება."*

გუშინ "გაძეტა დელო სპორტმა" ვიდეოჩეთში მიიწვია "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო**. ის ონლაინ რეჟიმში ესაუბრა ტურინელ გულშემატკივრებს და შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა. სინიორ სეკომ ერთ საიდუმლოსაც ახადა ფარდა. მან თქვა, რომ "იუვე" დეშამის კონტრაქტს (რომელიც 2008 წელს იწურება) სამი წლით გააგრძელებს და ზაფხულში სამი დიდი ფეხბურთელის შეძენას ეცდება. ერთი მათგანი, შეიძლება, "მანჩესტერ იუნაიტედის" გარემარბი **კრისტიანო რონალდო** აღმოჩნდეს. "ტუტოსპორტი" წერს, რომ "იუნაიტედმა" "ქალბატონს" თვითონ შესთავაზა რონალდოს გაცვლა **დავიდ ტრეზეგესა** და **რაფაელე პალადინოში**. ამ სპეკულაციებს ოფიციალური გამოხმაურება არც ტურინიდან და არც მანჩესტერიდან არ მოჰყოლია.

აიაქსელი **ზდენეკ გრიგერას** შემდეგ, "იუვემ" ამსტერდამელთა კიდევ ერთ ვარსკვლავს დაადგა თვალი. "ქალბატონმა" **კლაას იან ჰუნტელაარის** ტრანსფერზე მუშაობა დაიწყო. გრიგერას შემთხვევაში საკითხი მარტივად გადაწყდა. ჩეხ მცველს კონტრაქტი უმთავრდება და იტალიაში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა. ჰუნტელაარი კი 15 მილიონი გირვანქა ღირს. "იუვე" ამ თანხის გადასახდელად მზადაა.

"ტუტოსპორტის" ცნობით, ტურინელები ბრაზილიურ "ფლამენგოსაც" შეეხმიანნენ. საუბრის საგანი ამ შემთხვევაშიც თავდამსხმელი იყო - 23 წლის **ობინა**, რომლის სრული სახელია **მანუელ დე ბრიტო ფილიო**. ობინას ინტერელ **ადრიანოს** ადარებენ. ის "ფლამენგოში" ორი სეზონია, თამაშობს. იქამდე კი საუდის არაბეთის "ალ იტიჰადში" აგორებდა ბურთს.

"იუვე" ფლორენციელ მცველ **ალესანდრო გამბერინისაც** ეპატიჟება. "ქალბატონი" მას ექვსთვიან საიჯარო კონტრაქტს სთავაზობს. გამბერინის კი "ფიორენტინაში" დარჩენა უნდა. მისი კონტრაქტი 2009 წელს იწურება. ფეხბურთელს ახალი ხელშეკრულების გაფორმება და **ჩეზარე პრანდელისთან** თანამშრომლობის გაგრძელება სურს.

დაბოლოს, შეიძლება, "იუვეში" დაბრუნდეს **ალესიო ტაკინარდი**. "ვილიარეალთან" გაფორმებული საიჯარო კონტრაქტი ივნისში იწურება. მან ესპანეთს ერთი წლის წინათ, ფაბიო კაპელოსთან დაპირისპირების გამო მიაშურა. თუ "ქალბატონი" სერია A-ში დაბრუნდება, ტაკინარდი სიამოვნებით მოირგებს მის მაისურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტრიხები პორტრეტისთვის

# რატომ პრანდელი...

**იტალიაში ყოველწლიურად ტარდება რეფერენდუმი, რომელიც სერია A-ს საუკეთესო მწვრთნელს ასახელებს. გასული წლის შედეგების მიხედვით, ამ ტიტულის (სიმბოლურად "ოქროს სკამი" ჰქვია) მფლობელი გახდა "ფიორენტინის" დამრიგებელი ჩეზარე პრანდელი. წოდება მნიშვნელოვანი და ფასეულია იმდენად, რამდენადაც მას ერთმანეთს კოლეგები ანიჭებენ. შესაბამისად, პრანდელი საუკეთესოდ სცნეს სწორედ იმ მწვრთნელებმა, რომლებიც, ყველაფერთან ერთად, მისი უშუალო კონკურენტებიც არიან. მოდით, ჩავწვდეთ ამ არჩევანის ლოგიკურობას...**



ჩეზარე პრანდელი

გასულ სეზონში "ფიორენტინა" მე-4 ადგილზე გავიდა. მაგრამ ამან ვერ შეუშალა ხელი **ჩეზარე პრანდელის**, უკან ჩამოეტოვებინა თვით **ფაბიო კაპელო, კარლო ანჩელოტი, რობერტო მანჩინი** და **ლუჩანო სპალეტი**, რომლებმაც ასევე სერიოზულ შედეგებს მიაღწიეს. **მარჩელო ლიპი** კი, ვინც შარშან იტალიას მუნდიალი მოაგებინა, ობიექტური მიზეზების (გამოკითხვას საუკეთესო საკლუბო მწვრთნელი უნდა გამოევლინა) გამო, "იების" თავკაცს კონკურენციას ვერ გაუწევდა.

49 წლის პრანდელის ბიოგრაფია ტიპიური მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება საშუალო დონის ფეხბურთელი მაღალი კლასის მწვრთნელი. თუმცა მის საფეხბურთო კარიერასაც მთლად ნუ გადავუსვამთ ხაზს. პრანდელის, როგორც მოთამაშეს, ჰქონდა მიზეზები, ამითაც ეამაყა. ის გახლდათ წევრი 80-ანი წლების ლეგენდარული "იუვენტუსისა", თუმც კი არაპირველხარისხოვანი როლით. ჩეზარე, დაახლოებით, საჩემპიონატო მატჩების ნახევარში მონაწილეობდა და ამიტომ, 1981 წლიდან 1985-მდე მოპოვებულ სამ სკუდეტოში მისი გარკვეული წვლილიცაა. ამას გარდა, იმ წლებში "იუვემ" ჩემპიონთა თასიც მოიგო, თასების თასიც, სუპერთასიც, იტალიის თასიც და ზედ საკონტინენტთაშორისო თასიც დააყოლა.

პრანდელიზე, როგორც მწვრთნელზე, ხმამაღლა დაიწყეს საუბარი 2000 წელს, როცა მისმა მოკრძალებულმა "ვერონამ" შთამბეჭდავი წაუგებელი სერია გამოაცხო. მოდით, ფაქტებს მოვუხმოთ. 1999/2000 წლების სეზონის პირველ 19 ტურში ვერონელები 16 ქულით (4 მოგება, 4 ფრე, 11 წაგება) მე-16 ადგილზე იყვნენ. ანუ, იმ მომენტისთვის გუნდს ერთადერთ მიზნად გადარჩენა ჰქონდა დასახული. ხოლო ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, მხოლოდ სიზმარში თუ შეიძლებოდა, ენახათ თავად ფეხბურთელებს, აღარაფერს ვამბობთ ქომაგებზე. დარჩენილ 15 ტურში "ვერონამ" 6 თამაში მოიგო, 9 ფრედ დაასრულა (ანუ, არცერთი მარცხი!), დააგროვა 43 ქულა და ფინიშთან მეცხრე მივიდა. ისიც გავიხსენოთ, რომ პრანდელის კრებულთან ვერაფერი გააწყვეს თვით მომავალმა ჩემპიონმა "ლაციომ" (1:0) და ვიცე-ჩემპიონმა "იუვენტუსმა" (2:0), ხოლო "მილანს" დიდი ძალისხმევა დასჭირდა საიმისოდ, რათა "ვერონასთან" შინ როგორმე ფრედ (3:3) ეთამაშა.

"ვერონამდე" პრანდელი "ლეჩესა" და "ატალანტაში" მუშაობდა. 80-ანების ბოლოს, ფეხბურთს თავი სწორედ ბერგამოში დაანება და იქვე, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ გუნდებს ჩაუდგა სათავეში. მან უმალ დაიგდო ნიჭიერი და იმედისმომცემი მწვრთნელის სახელი. 1993 წელს, "ატალანტის" ახალგაზრდულმა გუნდმა ("პრიმავერა") ვიარეჯოს ტრადიციული და ერთობ პრესტიჟული ტურნირი მოიგო. შეიძლება, ეს დამთხვევაა, მაგრამ სწორედ პრანდელის დროიდან იღებს სათავეს ბერგამოული სკოლის (იგივე "ატალანტის") აღმავლობა. აპენინებზე, ფეხბურთში ოდნავ მაინც ჩახედული კაცი აუცილებლად დაგეთანხმებათ იმაში, რომ ქვეყნის მასშტაბით ეს სკოლა ყველაზე სახელიანი და პროდუქტიული იყო. ხოლო თავად პრანდელი სრულიად სამართლიანად ითვლება ამ პროდუქტიულობის მთავარ შემოქმედად.

2002 წლის ზაფხულში პრანდელიმ "პარმის" წინადადება მიიღო და საქმეს დიდი ენთუზიაზმითაც შეუდგა. ეს იყო მცდელობა და შანსი, ფრთები შეესხა თავისი საფეხბურთო კრედოსთვის. აქაც მაგალითებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. 2002/03 წლების სეზონში იტალიამ **დანიელე ბონერა, მარკ ბრეშანო** და **ალბერტო ჯილარდინო** "აღმოაჩინა". ერთი წლის შემდეგ ეს სია **მარკო მარკიონიმ, ალესანდრო როზინამ** და **მარკო დონადელმა** შეავსეს. პარადოქსია, მაგრამ კლუბის ფინანსურმა კრახმა, რამაც იძულებული გახადა "პარმის" ხელმძღვანელობა, ძვირადღირებული ვარსკვლავები გაეყიდა, ხელი შეუწყო ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშეების დაწინაურებას, რაც პრანდელის სტიქია იყო. სწორედ ამ კაცის ხელში გაიბრწყინეს **ადრიანომ, მატეო ფერარიმ** და **ადრიან მუტუმ**, ფეხბურთელებმა, რომელთაც ადრე, უბრალოდ, იმედისმომცემ ტალანტებს უწოდებდნენ (შეგახსენებთ, რომ მუტუ და დონადელი მასთან ერთად ახლა "ფიორენტინაში" არიან).

უფრო ადრე კი, "ვერონაში", პრანდელიმ გზა გაუხსნა მეკარე **სებასტიან ფრეის, აიმო დიანას**, რომელიც დღეს "პალერმოშია" და იტალიის ნაკრების წევრიც გახლავთ, ასევე **მარტინ ლაურსენსა** და **კრისტიან ბროკის**, რომლებმაც მერე "მილანთან" ერთად სკუდეტო მოიგეს. იმ დროს, ეს ფეხბურთელები 20-22 წლისანი იყვნენ...

ცალსახაა, რომ პრანდელის არასოდეს ჰყოლია ცუდი გუნდი. თითოეულ მათგანს ახასიათებდა და დღესაც გამოარჩევს, ასე ვთქვათ, თამაშის ინტელექტუალური მანერა, რომელიც თვალს ახარებს. მწვრთნელი ეყრდნობა ტექნიკურ და დახვეწილ შემსრულებლებს. სწორედ ასეთი ბიჭებითაა დაკომპლექტებული დღევანდელი "ფიორენტინის" მინიმუმ ნახევარი მაინც. იგივე მუტუ, როცა ყველას ეგონა, რომ მან კარიერის მწვერვალი გაიარა, ახლა უდავოდ საუკეთესო ფორმაშია და სერია A-ს ბომბარდირობისთვის იბრძვის. აქვე, 2002/03 წლების სეზონიც უნდა გავიხსენოთ, როცა რუმინელმა, "პარმაში", და სწორედ პრანდელის ხელში, 18 ბურთი გაიტანა და 16 საგოლე გადაცემა გააკეთა. ფაქტია, ეს ორი სეზონი მისთვის სრულიად გამორჩეულია.

პრანდელის შემოქმედების შტრიხებზე რომ ვსაუბრობთ, უთუოდ უნდა ვთქვათ... უნიკალურ ცინიზმზეც. როგორც წესი, მისი გუნდები სტაბილურად იღებენ, როგორც იტყვიან ხოლმე, "თავის" ქულებს და ქომაგებს უკმაყოფილების საბაბს ნაკლებად აძლევენ.

პიროვნული მომენტებიც ვახსენოთ. მის კარიერაში იყო ერთი უცნაური და დრამატული ზაფხული. 2004 წელს, წარმატებული და უკვე სახელიანი მწვრთნელი "რომამ" კაპელოს შემცვლელად მიიწვია. პრანდელიმ სულ რაღაც თვენახევარი დაჰყო პოსტზე და... გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე დატოვა. მიზეზი, მისი მეუღლის მძიმე ავადმყოფობა იყო. ამის გამო, პრანდელის საქმისადმი არაპროფესიული მიდგომა წამოაძახეს, თუმცა ბევრიც გაგებით შეხვდა მის გადაწყვეტილებას, საყვარელი ადამიანისადმი უსაზღვრო ერთგულებასა და მარადიული ღირებულებების დემონსტრირებას...

ასეა თუ ისე, დღეს მისი "ფიორენტინა" სერია A-ს ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია და რომ არა კოშმარული ჯარიმა (თავიდან 19 ქულა, მერე 4 აპატიეს), დღეს მეოთხე ადგილზე იქნებოდა. ქულების დაკლებამ "იები" თითქმის ყველა მატჩის მოგების აუცილებლობის წინაშე დააყენა და ამან, გარკვეულწილად, სერიოზული დარტყმა მიაყენა გუნდის ფსიქიკას. სხვა შემთხვევაში, შეიძლება, "ფიორენტინას" თვით "ინტერისთვისაც" გაეწია საჩემპიონო კონკურენცია. კონტინგენტის სრულყოფილებით ის ნამდვილად არ ჩამოუვარდება "რომას", მით უმეტეს, "პალერმოს". მაგრამ რაც იყო, იყო - ამ სეზონში "სკუადრა ვიოლასა" და მის გენიალურ მწვრთნელს ჩემპიონთა ლიგის საგზურიც ეყოფათ...



როი მაკაი და მარკ ვან ბომელი

ერთობლივი ინტერვიუ როი მაკაისა და მარკ ვან ბომელთან

# ვან ბასტენი არ გაგვაგონოთ!

## რეკორდმაისტერის ჰოლანდიელი ლეგიონერები მოსამზადებელი შეკრებით კმაყოფილნი არიან...

**"ბაიერნის" ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა, როი მაკაიმ და მარკ ვან ბომელმა, დუბაიში "კიკერს" ერთობლივი ინტერვიუ მისცეს. ისინი არაერთ საინტერესო თემას ეხებიან და საუბრობენ კონკურენტებზე. მაკაი არ მალავს, რომ მას მერე, რაც ვან ბომელი "ბაიერნში" გადავიდა, მუდმივად კარგ ხასიათზეა...**

**- ჰერ მაკაი, ჰერ ვან ბომელ, რამდენად კარგად მოემზადა "ბაიერნი" დიდი ბრძოლებისთვის ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში?**

ვან ბომელი: კარგად მოვემზადეთ. ვარჯიშები არც ძალიან მძიმე იყო და არც მსუბუქი. ვფიქრობ, ზუსტად იმდენი გავაკეთეთ, რამდენიც საჭირო იყო.

მაკაი: თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორ გზას ვადგავართ. ამჯერად, მოსამზადებელი პროგრამა განსხვავებული და ძალიან საინტერესო იყო.

**- როგორ გგონიათ, "ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი გახდება?**

ვან ბომელი: ფაქტია, რომ "ვერცხლის სინის" მოპოვება ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ თუ სატურნირო ცხრილს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ამაში არარეალური არაფერია.

მაკაი: მთავარია, რომ სულელური გოლები აღარ გავუშვათ. პირველ წრეში სუსტ მეტოქეებთან ძალიან სულელურად დავკარგეთ ქულები. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. ეს "ბაიერნს" არ შეეფერება.

**- იქნებ, ვან ბომელმა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე უნდა გადაინაცვლოს?**

მაკაი: მარკი ძალიან სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს და მზაკვრული პასების ჩამორიგება შეუძლია. მე მირჩევნია, რომ შემტევი ნახევარმცველი იყოს.

ვან ბომელი: საბოლოო ჯამში, ეს მაინც მწვრთნელის გადასაწყვეტია. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, სად გამამწესებს ფელიქს მაგათი. მარჯვნივ, ცენტრში, საყრდენად, თუ მარცხნივ.

**- სჭირდება თუ არა "ბაიერნს" გამთამაშებელი?**

მაკაი: თანამედროვე ფეხბურთში კარგი ფლეიმეიქერი ძალიან იშვიათია. ალბათ იმიტომ, რომ ფეხბურთში ისინი საჭირო აღარ არიან. მაგალითად, კაკა გენიალურია. "ვერდერს" დიეგო ჰყავს. ჩვენთან ამ პოზიციაზე ბოლოს შვაინშტაიგერი თამაშობდა, მაგრამ ბასტიანი მაინც არ არის ტიპური ათიანი, რადგან უკანაც იხევს და ზოგჯერ საყრდენ შუამარბად გვევლინება.

ვან ბომელი: შვაინის შეუძლია, გახდეს მაღალი კლასის გამთამაშებელი. მაგრამ მას დრო სჭირდება.

**- ჰიონესმა შვაინშტაიგერი უმძიმესი წნეხის ქვეშ მოაქცია და მაგრად გააკრიტიკა...**

ვან ბომელი: შვაინიმ პირველ წრეში ნორმალურად ითამაშა. არც ძალიან კარგად და არც ცუდად.

მაკაი: მართალია. მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლი და გამოსასწორებელი.

**- მოგწონთ, როცა როკე სანტა კრუსი ნახევარდაცვაში თამაშობს, მის უკან კი ორი საყრდენია ხოლმე გამწესებული?**

მაკაი: არცთუ ურიგო ტაქტიკაა, რადგან როცა სასტარტო შემადგენლობაში ორი საყრდენი გვყავს, გამოდის, რომ ორი ფეხბურთელი მყარადაა ფლანგზე. თანაც, ერთ-ერთ საყრდენს ყოველთვის შეუძლია, თამამად ჩაერთოს შეტევაში.

ვან ბომელი: ვერ ვიტყვი, რომ გამთამაშებელი აუცილებლად სანტა კრუსი უნდა იყოს, მაგრამ მე ყოველთვის მირჩევნია, რომ გუნდმა ორი საყრდენით ითამაშოს. იმიტომ, რომ ერთს ძალიან უჭირს ხოლმე.

**- არსებობს თუ არა იდეალური ტაქტიკა?**

მაკაი: ჰოლანდიის ნაკრები 4-3-3-ით თამაშს ამჯობინებს, სადაც მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდია. პირადად მე მირჩევნია, რომ გუნდი ორი ცენტრალური თავდამსხმელით ასპარეზობდეს. იმიტომ, რომ ყოველთვის ასე უფრო მიადვილდებოდა გოლების გატანა.

**- "ბაიერნი" სწორედ ორი ფორვარდით თამაშობს ხოლმე. ლუკას პოდოლსკი, როგორც მეწყვილე მოგწონთ?**

მაკაი: მე ასე ვიტყოდი: გულშემატკივრები და ჟურნალისტები პოდოლსკის უკვე ძალიან ბევრს სთხოვენ. ზედმეტად ბევრსაც კი.

ვან ბომელი: ლუკასმა სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს. აი, ეს არის მთავარი. მას ნამდვილად აქვს იმის შანსი, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მაკაისა და პისაროს სასტარტო შემადგენლობიდან ასე იოლად ვერ ამოაგდებს. ეს თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინა. პოდოლსკისაც ძალიან ბევრი რამ აქვს სასწავლი.

მაკაი: დარწმუნებული ვარ, რომ მისი დრო აუცილებლად მოვა.

**- და ვის ამოაგდებს სასტარტო შემადგენლობიდან?**

მაკაი: ბოლო თამაშებში მე და პისარო მოედანს უგოლოდ თითქმის აღარ ვტოვებდით. პოდოლსკიმ უნდა დაამტკიცოს, რომ ორივეს გვჯობია.

**- როგორც ირკვევა, "ბაიერნს" არიენ რობენის ყიდვა უნდა.**

ვან ბომელი: ეს ხელმძღვანელების საქმეა.

მაკაი: რა თქმა უნდა. ერთი რამ ფაქტია: დარწმუნებული ვარ, რომ თუ სასტარტო შემადგენლობაში თამაშის ღირსი ვიქნები, აუცილებლად ვითამაშებ. მე არაფერი მაქვს დასამტკიცებელი: ეს გასულ წლებში გავაკეთე. მაგრამ ცხადია, რომ მწვრთნელი ყოველდღე უნდა დავაჯერო იმაში, რომ თამაშის ღირსი ვარ.

**- ჰიონესმა თქვა, ზაფხულში უმაღლესი კლასის ოსტატს შევიძენთო და ამისთვის 30 მილიონი ევრო გაამზადა. არის თუ არა ეს საჭირო?**

მაკაი: რა თქმა უნდა, საჭიროა. გუნდს ყოველი სეზონის შემდეგ სჭირდება ახალი სისხლი.

ვან ბომელი: კარგი ფეხბურთელის ყიდვა 5 ან 6 მილიონადაც შეიძლება. 30-ის ან 40 მილიონის გადახდა სულაც არ არის საჭირო.

**- ჰერ მაკაი, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ის, რომ გვერდით მარკ ვან ბომელი გყავთ. როგორც ჩანს, ერთმანეთს ძალიან კარგად უგებთ...**

მაკაი: თავად განსაჯეთ, როგორ მიხარია ის, რომ "ბაიერნში" ჩემთან ერთად თამაშობს ფეხბურთელი, რომელთან ერთადაც ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებში ვასპარეზობდი. გვერდით მყავს თანამემამულე და ახლო მეგობარი. შარშან ამ დროს ყველა მეკითხებოდა, რა გჭირს, კარგ ხასიათზე იშვიათად რატომ ხარო. ახლა ასეთ კითხვას აღარავინ მისვამს. ეს ვან ბომელის "ბრალია". ახლა სულ კარგ ხასიათზე ვარ. პირველი წრით უაღრესად კმაყოფილი გახლავართ. მინდა, რომ ამ სეზონში 20-ზე მეტი გოლი გავიტანო.

ვან ბომელი: გოლის გატანა შენთვის პრობლემას არასდროს წარმოადგენდა. მთავარია, პასის მომცემი გყავდეს.

**- არის თუ არა მარკ ვან ბომელი "ბაიერნის" შეფი?**

მაკაი: ვიცი, რომ "ბაიერნის" ბოლო ნამდვილი შეფი შტეფან ეფენბერგი იყო. თქვენს მიერ დასმულ კითხვას კი პასუხს ვერ გავცემ. იმიტომ, რომ ეს მე არ უნდა შევაფასო. ჩვენთან ამჟამად ბუნებრივი იერარქიაა ჩამოყალიბებული და მარკიც ამ იერარქიის ნაწილია. ჩვენ არ გვყავს ერთი კონკრეტული შეფი. ჰო, ოლივერ კანი არ უნდა დამავიწყდეს. ის "ბაიერნისთვის" უმნიშვნელოვანესი ფიგურაა.

ვან ბომელი: მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება შეფი. მთავარი ის არის, რომ ყველა ფეხბურთელმა მაქსიმუმი უნდა გაიღოს.

მაკაი: შეფი მწვრთნელია.

**- როგორ ფიქრობთ, დაავიწყა თუ არა ვან ბომელმა "ბაიერნის" გულშემატკივრებს მიხაელ ბალაკი?**

მაკაი: არ ვიცი, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ მარკმა "ბაიერნში" თავისი ადგილი იპოვა.

**- ბალაკის დარად, ოუენ ჰარგრივსსაც ინგლისში გადასვლა უნდა...**

ვან ბომელი: "მანჩესტერ იუნაიტედზე" ხშირად ვეხუმრებით ხოლმე.

მაკაი: იმისთვის, რომ ინგლისური ნორმალურად ისწავლოს (იცინის).

ვან ბომელი: ჰარგრივსი ხომ ისედაც უცხოეთშია.

**- მას სახლში უნდა...**

მაკაი: (იცინის) მაშინ კანადაში უნდა წავიდეს. ხუმრობის გარეშე: იმედი მაქვს, რომ ჰარგრივსი "ბაიერნში" დარჩება.

**- "ბაიერნი" მეორე წრეში უფრო ლამაზ ფეხბურთს ითამაშებს?**

მაკაი: გრანდებისგან, პირველ რიგში, ტიტულებს ითხოვენ ხოლმე. ლამაზად რომ ვითამაშოთ და ზედიზედ 4 თამაში წავაგოთ, კარგად ვიცი, რაც მოხდება (იცინის) - ყველას გაგვყრიან.

**- ჰოლანდიის ნაკრებში როდის გიხილავთ?**

ვან ბომელი: ჩათვალეთ, რომ ეს კითხვა არ გამიგონია.

მაკაი: მარკმა ხომ თქვა, რომ სანამ ჰოლანდიის ნაკრების დამრიგებელი ვან ბასტენი იქნება, ნარინჯისფრებში არ ითამაშებს. ნაკრებზე არც მე ვფიქრობ. თუ მწვრთნელს მიაჩნია, რომ სხვები უკეთესები არიან, დაე მიაჩნდეს.

**- და ვან ბასტენი რომ გადადგეს?**

ვან ბომელი: ცხადია, მზად ვიქნები ჰოლანდიის ნაკრებში დასაბრუნებლად.

**- სხვათა შორის, ვან ბასტენის გვარმა "ბაიერნთან" მიმართებაშიც გაიჟღერა...**

ვან ბომელი: რას ამბობთ? მაშინვე მოვითხოვ, რომ ტრანსფერზე დამაყენონ!

მაკაი: ასეთ შემთხვევაში "ბაიერნს" ორივე ჰოლანდიელი დატოვებს!

**გოტფრიდ ლენცი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭიდაობა



გიორგი გოგშელიძე



ლუკა კურტანიძე

საქართველოს ჩემპიონატი. ბათუმი. 19-22 იანვარი

# საუკუნის შერკინება

## რაღა გოგშელიძე-კურტანიძე და რაღა ესებუა-გლდანელი!

ხვალ ბათუმში საქართველოს ყველა კუთხისა და ორივე სტილის მოჭიდავეები შეიკრიბებიან და ოთხი დღის განმავლობაში ქვეყნის ჩემპიონებს გამოავლენენ. ბათუმში ასეთი რანგის ტურნირი მრავალი წლის განმავლობაში არ ჩატარებულა, დღეს კი ნავსი გატყდა, რაც სასიხარულოა. სამწუხარო კი ისაა, რომ აჭარა თავისი საუკეთესო ფალავნის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორის, **დავით ბედინაძის** ჭიდაობას ვერ იხილავს, თუმცა, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

განსაკუთრებულ ინტერესს, ცხადია, თავისუფალი ჭიდაობის ქვემძიმე წონაში, **გიორგი გოგშელიძისა** და **ლუკა კურტანიძის** დაპირისპირება იწვევს. ქალაქში ეს მოვლენა უკვე საუკუნის შერკინებად მონათლეს. როგორც ამბობენ, საქართველოს ასეთი რანგის ერთბაშად ორი ფალავანი, ერთ წონაში, არასოდეს ჰყოლია. თუმცა, ჭიდაობის ვეტერანები დიდ **კულა გლდანელსა** და **ნესტორ ესებუას** იხსენებენ და ქართველ მსოფლიო ჩემპიონებს მათ ღირსეულ მემკვიდრეებადაც მიიჩნევენ.

ახლა კი იმის შესახებ, როგორ ემზადებიან ტურნირისთვის მასპინძლები.

**გოჩა შავაძე,**
**აჭარის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი**

- უპირველესად ის უნდა ვთქვა, როგორც იქნა, ბათუმსაც ეღირსა ევროსტანდარტების საჭიდაო დარბაზი. მანამდე არავითარი პირობა არ გვქონდა, რომ ასეთი მასშტაბის ტურნირისთვის გვემასპინძლა - მოკლედ რომ გითხრათ, დარბაზი არც არსებობდა. დიდ დარბაზში სამი ხალიჩაა დაგებული, ტრიბუნები 800 მაყურებელს დაიტევს. გარდა ამისა, შენობის მეორე სართულზე გვაქვს კიდევ ერთი, ე.წ. გასახურებელი დარბაზი ორი ხალიჩით. ტურნირის დროს სამივე ხალიჩასთან ვიდეოკამერები დამონტაჟდება, ყოველი მსაჯის მაგიდაზე კი დაიდგმება მონიტორი, სადაც ამა თუ იმ სადავო ეპიზოდის განხილვა იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, გასახურებელ დარბაზშიც ტელევიზორები დაიდგმება და მომზადების დროს ფალავნებს თავიანთი მეტოქეებისთვის თვალ-ყურის დევნება შეეძლებათ.

**- როგორც ვიცი, დარბაზში გათბობის პრობლემა იყო და არც ტაბლოებია დადგმული...**

- ორივე საკითხი მოგვარებულია. გათბობის სისტემა უკვე დავამონტაჟეთ, რაც შეეხება ტაბლოებს, მათ თბილისიდან ჩამოვიტანთ და პრობლემაც არ იქნება. აჭარის მთავრობისა და აჭარის ჭიდაობის ფედერაციის ძალისხმევით, საქართველოს ჩემპიონატს ღირსეულად ვუმასპინძლებთ. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა აჭარის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ჯემალ კილაძის დამსახურება ტურნირის ორგანიზების საკითხში. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ბათუმის №1 კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორს მუხრან ვახტანგაძეს, რომელიც ძალღონეს არ იშურებს, რათა ტურნირმა საუკეთესოდ ჩაიაროს. ერთი სიტყვით, ჩვენ მზად ვართ და ჯერი თავად ფალავნებზეა.

**გელა ჯანელიძე,**
**აჭარის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ანტიური ჭიდაობა:**

- ასეთი რანგის ტურნირი ბათუმში უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში პირველად იმართება. სამწუხაროა, რომ მასში ჩვენი საუკეთესო მოჭიდავე დავით ბედინაძე ვერ იასპარეზებს, დათოს საქართველოს ნაკრებში ადგილი დაბევებული აქვს და ნაკრების ხელმძღვანელობამ იგი ამ ტურნირიდან გაათავისუფლა, რადგან სულ მალე საერთაშორისო ტურნირები, ევროპის ჩემპიონატი და მსოფლიო თასი ელოდება - ამ ეტაპზე მისი დასვენება გადავწყვიტეთ. დანარჩენებს რაც შეეხება, ჩამოგითვლით იმ ფალავანთა გვარებს, ვისიც გვეიმედება. 55-კილოგრამში სოლომონიძე, გვენეტაძე და თურმანიძე იჭიდავებენ, დათო ბედინაძის წონაში (60) ხუთი ფალავანი მოსინჯავს ძალებს. ამათ გარდა - მუხრან მაჭუტაძე (66), ოთარ ფევაძე და მამუკა ხიმშიაშვილი (74), ზაზა შავაძე (84), გელა ჩხაიძე (96), გურამ ფერსელიძე (120). ამათ მედლის მოპოვება რეალურად შეუძლიათ. აქვე მინდა აღვნიშნო იმ მწვრთნელთა დამსახურება, რომლებმაც აჭარის ნაკრები მოამზადა. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ილია ტულუში, ლევან შავაძე და თქვენი მონა-მორჩილი, გელა ჯანელიძე. შეკრებაც სათანადო გავიარეთ, მზად ვართ, ჭიდაობის მოყვარულები დაძაბულ და საინტერესო შერკინებებს იხილავენ!

**ჯემალ კილაძე,**
**აჭარის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, თავისუფალი ჭიდაობა:**

- რამდენიმე ფალავანი გვყავს, ვისაც მედლის მოპოვება შეუძლია. კობა კაკალაძე და ჯონი ჯინჭარაძე (ორივე 66), კახა კუნჭულია (60) და მარად ზოიძე (74). დანარჩენები ახალგაზრდები არიან და შეიძლება ითქვას, მათთვის ეს პირველი სერიოზული გამოცდა იქნება. შეკრება გავიარეთ, ინტენსიურად ვვარჯიშობთ და იმედია, სხვადასხვა სინჯის მედალს ბათუმში დავტოვებთ.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

2006 წლის ლაურეატები

# მთელი ქართლი შეაჯერეს...



გიორგი გოგშელიძე და ოთარ თუშიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შიდა ქართლის მხარის ორგანიზაციამ და გორის რაიონის კულტურისა და სპორტის სამსახურმა, ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთის" საინფორმაციო მხარდაჭერით, ჩაატარა გამოკითხვა 2006 წლის ლაურეატების გამოსავლენად.

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ სპორტის სპეციალისტები, რეგიონული გაზეთების რედაქტორები, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელები. გამოკითხვის ანკეტა 58 რესპოდენტს გაეგზავნა.

საუკეთესო სპორტსმენები გახდნენ **გიორგი გოგშელიძე და ოთარ თუშიშვილი** - თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები. რასაკვირველია, საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაშიც მათმა აღმზრდელმა გაიმარჯვა - **ნუგზარ სხირელმა.**

## კალათბურთი

ლეგიონერები

# ისევ ძველი ვატოა

16 იანვარს ევროტურნირებზე სამი ქართველიდან კარგად მხოლოდ **ვატო ნაცვლიშვილმა** ითამაშა, მაგრამ მხოლოდ მისმა "დიჟონმა" წააგო - შინ ესპანურ "ხირონასთან" - 89:90. **ვიქტორ სანიკიძის** "ესტუდიანტესმა" სტუმრად ლიტვის "შიაულიაი" დაამარცხა, **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკიმ" - სიენაში ბელგიური "ოსტენდე" - 73:62.

უფრო კონკრეტული საუბარი ევროთასით დავიწყოთ, სადაც 16 გუნდი 4 ჯგუფადაა გაყოფილი და მეოთხედფინალში მოხვედრისთვის იბრძვის. ვახტანგ ნაცვლიშვილის "დიჟონი" რთულ ჯგუფში მოხვდა: პირველ ტურში იტალიურ "სკიპერს" დაუპირისპირდა (და წააგო), მეორეში ესპანურ "ხირონას" უმასპინძლა.

მთელი მატჩის განმავლობაში მცირე უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ ფრანგებს 10-ზე მეტი ქულით დაწინაურების უფლება არ მიუციათ. მესამე პერიოდიდან ვატოს წინამძღოლობით დიჟონელებმა უპირატესობა მოიპოვეს და 27-ე წუთიდან (ნაცვლიშვილის ორქულიანის შემდეგ 52:62 დაფიქსირდა) ანგარიშში სხვაობის შემცირება იწყეს. ეს პროცესი ბოლო წამებამდე გაგრძელდა და საფინალო სირენამდე 29 წამით ადრე ფრანგები სკიარამ (6 ქულა ბოლო წუთზე) პირველად დააწინაურა - 87:86. მაგრამ დარჩენილ დროში ჟირონელთა მხრიდან ჯერ ირონტონმა სტყორცნა საჯარიმოები უშეცდომოდ, შემდეგ მაკდონალდმა და "ხირონამ" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო.

ვახტანგ ნაცვლიშვილმა წელს პირველად ითამაშა 30 წუთზე მეტი: 32 წუთი, 17 ქულა (8-დან 7 ორქულიანი, 6-დან 3 საჯარიმო, 9 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 4 ფოლი... დიჟონელთა სნაიპერი, 20 ქულით ლუქსი გახდა, ხოლო მატჩის ბომბარდირობა ჟირონელმა თორნტონმა არავის დაუთმო - 22 ქულა.

ვიქტორ სანიკიძის "ესტუდიანტესმა" ლიტვაში "შიაულიაი" 81:72 რომ დაამარცხა, უკვე გითხარით. ის კი არ აღვინიშნავს, რომ ესპანელები მესამე პერიოდში მეტოქეს 9 ქულით ჩამორჩებოდნენ. მარტინესისა და იტურბეს შორეული ტყორცნების წყალობით, "ესტუმ" 12:0 სპურტი მოაწყო და მეტოქეს მესამე ათწუთეულშივე გადაასწრო - 60:57. მეოთხე პერიოდში ლიტველებს ათამაშებული სტუდენტების შეჩერება გაუჭირდათ...

ვიქტორი მატჩში პირველი მეოთხედის მერვე წუთზე ჩაერთო, მეორე მეოთხედი ხუთეულში დაიწყო, მაგრამ მეორე ტაიმში მოედანზე აღარ გამოჩენილა., სანიკიძემ 7 წუთში თითო პასისა და დაცვითი მოხსნის გაკეთება მოასწრო.

ევროთასი, II ტური. I ჯგუფი: **1. ესტუდიანტესი (ესპანეთი) - 2 მოგება,** 2. ლიეჟი (ბელგია ) - 1 / 3. აელ (კვიპროსი) - 1, 4. შიაულიაი (ლიტვა) - 0; L ჯგუფი: 1. ვირტუსი (იტალია) - 2, 2. ჟირონა (ესპანეთი) - 2 / **3. დიჟონი (საფრანგეთი) - 0,** 4. კალევი (ესტონეთი) - 0.

ულების თასზე ვლადიმერ ბოისას "მონტეპასკიმ" ჯგუფის აუტსაიდერ ბელგიურ "ოოსტენდეს" უმასპინძლა და იოლად გაიმარჯვა - 73:62. იტალიელთა მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** 2007 წელს ჩამოყალიბებულ ტრადიციას არ უღალატა და ბოისას არც ამჯერად არგუნა 20-ზე მეტი წუთი. ვლადომ 15 წუთში ორი სამქულიანი ააცილა და ზუსტად იგივე გაიმეორა, რაც ვიქტორ სანიკიძემ - 1 მოხსნა და 1 პასი. ერთი ფოლის მიღებაც მოასწრო.

ბელგიელებთან მატჩით "მონტეპასკიმ" ულების თასის ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა და ბრძოლას განაგრძობს მეთექვსმეტედფინალიდან, რომლის წილისყრა 19 იანვარს გაიმართება.

ულების თასი. C ჯგუფი, საბოლოო მდგომარეობა. **1. მონტეპასკი (იტალია) - 8 მოგება,** 2. ხიმკი (რუსეთი) - 5, 3. ჰაპოელი (ისრაელი) - 5, 4. ალბა (გერმანია) - 4 / 5. ლუკოილი (ბულგარეთი) - 4, 6. ოოსტენდე (ბელგია) - 4.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვახტანგ ნაცვლიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ფარიკაობაში ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმერ აფციაურის დედის

ნათელა პაპუნაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### დღიური

## პარტიზანი და პრეზიდენტი



სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "პრეზიდენტში" გავჩერდით. "პარტიზანთან" მატჩის წინა სალამოს ერთი ვარჯიში გვქონდა და უმთავრესად ტაქტიკას ეხებოდა. გუშინაც დავწერე და ახლაც ვერ ავუვლი გვერდს კაპიტნის, მარკო მილიჩის "ოლიმპიადან" წასვლას. იგი გუნდისთვის დიდი ძალა იყო, დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობისა, რაც ვლადიმერ ბოისა იტალიურ "მონტეპასკიში" გადასვლამდე. აქედან გამომდინარე, "პარტიზანთან" შეხვედრის წინ გუნდში სერიოზული ტაქტიკური გადაადგილებები განხორციელდება. სწორედ მილიჩის გამოკლების შემდეგ წარმოშობილი სიცარიელის ამოფხვრას დაეთმო სერბეთში ჩატარებული პირველი ვარჯიში.

დარბაზიდან პირდაპირ სასტუმროსკენ გავემართე, რადგან ნამგზავრსა და ვარჯიშით დაღლილს ძალის აღდგენა აუცილებლად მჭირდებოდა. ენერგიის განახლების უებარი წამალი კი ძილია. მწვრთნელს მკაცრი მოთხოვნა აქვს - ოფიციალური თამაშის წინა ღამით, 24 საათზე ყველა საკუთარ ოთახში უნდა იყოს. ამის მოსმენისთანავე ნებისმიერ ქართველს გაუჩნდება კითხვა - როცა აგვიანებთ, მაშინ რა ხდება? პროფესიონალები ვართ და მწვრთნელის მითითების გარეშეც გვესმის, რომ ღამის გათენება არაფერს გვარგებს. რადგანაც დაგვიანების ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, არც სასჯელის ფორმაზე მაქვს წარმოდგენა. თუ საპატიო მიზეზი გაქვს, შეგიძლია გუნდის თავკაცს უთხრა და უთუოდ გაგიგებს.

მოკლედ, ღამით გემრიელად გამოვიძინე და დილით ენერგიით აღვსილმა გავიღვიძე. საბრძოლო შემართება არ მაკლია, მაგრამ ერთი ფრაზა თავიდან არ მშორდება: როგორ ვითამაშებთ კაპიტნის, მარკო მილიჩის გარეშე?

როგორც გუნდის კრებაზე გავარკვიე, ეს კითხვა ჩემზე მეტად ტვინს მთავარ მწვრთნელს უღრღნის. გასპარ ოკორნმა კრება ასე გახსნა: წაგება არ შეიძლება, მეტოქის არ უნდა გვეშინოდეს. "პარტიზანის" დამარცხების ერთი მარტივი ფორმულა მაქვს - დაცვა! შეიძლება მილიჩის დაკლებამ ბევრი დააფიქროს, მაგრამ მისი არყოფნა გამარჯვებისთვის დამატებით სტიმულად უნდა გამოდგესო.

კრებას მორიგი მსუბუქი ვარჯიში მოჰყვა და დასასვენებლად სასტუმრო "პრეზიდენტში" დავბრუნდით. როგორც ყოველთვის, ამ მატჩის წინაც 2 საათი გამოვნახე დასაძინებლად და ახლა ჩემს თანაოთახელ, თურქ ენდერ არსლანთან ერთად სათამაშო ატრიბუტიკას ჩანთაში ვალაგებ...

...ჰო, მართლა, ერთი კვირაა დღიურებს ვწერ და ჩემს მეგობრებზე ბევრი არაფერი მითქვამს. ვინც კარგად მიცნობს, მოეხსენება, რომ უკონფლიქტო პიროვნება ვარ და ვცდილობ, ყველასთან კარგი ურთიერთობა დავამყარო. "ოლიმპიაში" ეს კარგადაც გამომდის - უკლებლივ ყველა კალათბურთელთან ვმეგობრობ. თუმცა, ქართული მენტალიტეტი არც ერთს არა აქვს და გადაჯაჭვული არავისთან ვარ, მაგრამ უფრო ლეგიონერებს, ფინელ ტეემუ რანიკოსა და ენდერ არსლანს ვუგებ. მათთან ერთად კინოშიც ხშირად დავდივარ...

დღეს ამით დავასრულებ, ხვალ უშუალოდ ევროლიგის მატჩსა და ბელგრადზე დავწერ, იმედია, ქალაქის დასათვალიერებლად დრო თამაშის მერე მაინც დამრჩება.

**მანუჩარ მარკოიშვილი**

---

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

# ვისია 84 ქულა და 29 მოხსნა? რიჩარდისა და შერმადინის!

**17 იანვარი, რუსთავი**

**B ჯგუფი**

**თსუ-მაკაბი 98:88**

23:15, 24:20, 24:29, 27:24

თსუ: არწივიძე, ბ. ბერიშვილი (4 ქ), ფანჩულიძე (13 ქ. 4 პ), ლეჟავა (15 ქ. 4 პ), ვეფხვაძე (7 ქ. 6 პ. 6 მ), შანიძე (9 ქ. 3 ჩ), მათიაშვილი (30 ქ. 13 მ. 3 ჩ. 2 დ), სანიკიძე (4 ქ), იმნაძე (9 ქ. 5 ფ), მ. ბერიშვილი (7 ქ), ტყეშელაშვილი, მარხვაშვილი

მაკაბი: დოლიძე (5 ქ. 6 პ. 5 ფ), ნინუა (4 პ), ენუქიძე, გ. შერმადინი (54 ქ. 16 მ. 3 დ), ვაშაკიძე (9 ქ. 3 პ), კორკოტაძე (6 ქ. 3 ჩ), ს. შერმადინი (6 ქ. 5 ფ), პირველაშვილი (8 ქ. 5 მ. 4 პ. 4 ჩ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ანდღულაძე, გ. მიქელაძე

დღეს. 15:00. **ავიამშენი-თსუ**

**A ჯგუფი**

**დინამო-სტუ 84:74**

32:15, 25:23, 16:18, 11:18

დინამო: გულისაბედაშვილი (3 ქ. 3 პ. 5 ჩ), ბადრიძე (20 ქ. 4 პ), ლაფანაშვილი (11 ქ. 3 პ), სიგუა (3 ქ. 3 პ), წერეთელი (2 ქ), ბოლქვაძე (4 ქ), მურჯიკნელი (7 ქ), კეშელავა (16 ქ. 5 პ. 4 ჩ), ფაიქრიძე (5 ქ), გაბაშვილი (3 ქ), ნ. ნოზაძე (8 ქ. 6 პ), კოლუაშვილი (2 ქ)

სტუ: ბაბუნაშვილი (6 ქ), ეძგვერაძე, ბერაია (27 ქ. 6 მ. 4 პ. 3 ჩ), კოხრეიძე (3 ქ. 6 პ. 6 ჩ), მაისურაძე (9 ქ. 11 მ. 4 პ. 3 ჩ), დევიძე (2 ქ), ახალკაცი (10 ქ), ბარბაქაძე (9 ქ. 3 პ. 3 ჩ), ლ. ნოზაძე (8 ქ. 5 მ),

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

დღეს. 17:00. **აზოტი-დინამო**



გიორგი შერმადინი



რიჩარდ მათიაშვილი (მარჯვნივ)

1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონების, მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალის პირველმა დღემ სენსაციების გარეშე, მაგრამ საინტერესოდ ჩაიარა. სენსაციასთან ახლოს იყო "მაკაბი", თუმცა თსუსთან ბოლო წამებზე წააგო - 88:89, ხოლო სტუ-მ "დინამოს" 20-ქულიანი ჩამორჩენა ექვსამდე შეუმცირა, მაგრამ მაინც "დინამომ" იმარჯვა - 84:74. პირველ ტურში დაისვენა ტურნირის ორმა ფავორიტმა - რუსთავის "აზოტმა" და თბილისის "ავიამშენმა". ამისდა მიუხედავად, პირველი დღე მაინც საინტერესო გამოდგა - ვიხილეთ თანაბარი თამაშები, გაძევება და ერთი კალათბურთელის მიერ მოპოვებული 54 ქულა!



სტუ-დინამო. გულივერ ახალკაცი და ნიკო ჩერქეზიშვილი საქმის გარჩევისას

**მ**ემორიალი თსუ-"მაკაბის" მატჩით გაიხსნა. შეხვედრა ორი ცენტრის დუელად იქცა - "მაკაბის" მხრიდან **გიორგი შერმადინი** აქტიურობდა, თსუდან **რიჩარდ მათიაშვილი**. პირველი ტაიმის შემდეგ რიჩარდს 15 წუთში 17 ქულა და 6 მოხსნა ჰქონდა, ხოლო გიორგის 20 წუთში 24 ქულა და 9 მოხსნა.

პირველ ტაიმში მოპოვებული ათქულიანი უპირატესობა თსუ-მ ბოლო მეოთხედში გაფლანგა და სირენამდე 7 წუთით ადრე "მაკაბიმ" **კორკოტაძის** შორეული ტყორცნით 3-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა (76:73). ამ ეპიზოდმა ლიდერები გამოაცოცხლა. ერთ მხარეს შეტევებს შერმადინი აგვირგვინებდა, მეორეს - მათიაშვილი. თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა, ვიდრე რიჩარდს **ლუკა შანიძე** არ მიეხმარა და ბოლო წუთზე 6 ქულა არ მოიპოვა. 98:88 - თსუ-ს სასარგებლოდ. საფინალო სირენამდე სეზონის პირველი რეკორდი დააფიქსირა მაკაბელმა გიორგი შერმადინმა - 54 ქულა მიითვალა და ზედ 16 მოხსნა მიიმატა. რიჩარდ მათიაშვილის ანგარიშზე კი 30 ქულა და 13 მოხსნაა. დღეს სტუდენტებს გადამწყვეტი მატჩი ელით - სწორედ თსუ-ავიამშენის მატჩში უნდა გაირკვეს ერთი ფინალისტის ბედი.

თანაბარი გუნდების, სტუ-სა და "დინამოს" დაპირისპირება არათანაბრად დაიწყო. დინამოელებმა საწყის 12 წუთში მეტოქე აშკარად დაჯაბნეს - 40:15. სწორედ ამ დროს მოედანზე შექრისთვის სტუ-ს მწვრთნელ **ნიკო ჩერქეზიშვილს** მსაჯებმა ტექნიკური შენიშვნა მისცეს, რასაც მისი გაცხარება მოჰყვა და არბიტრებმა მალე არც დისკვალიფიკაცია დაიშურეს...

*"მსგავსი შემთხვევები კაცგაგდებულ გუნდზე ყოველთვის დადებითად მოქმედებს. ასე მოხდა სტუ-ს შემთხვევაშიც და გუნდი მას მერე გამოფხიზლდა, რაც მწვრთნელი გააძევეს. თუმცა, შედარებით გამოცდილმა დინამოელებმა საჭირო მომენტში თამაში საკუთარ თავზე აიღეს (ბადრიძემ ბოლო წუთებზე ორი სამქულიანი ჩააგდო) და დამსახურებულად გავიმარჯვეთ"*. - მატჩის მოკლე ანალიზი "დინამოს" მწვრთნელმა, **ზაზა ცაგარეიშვილმა** მოგვცა.

**ვაჟა სიმონიშვილი**
რუსთავი-თბილისი
ნუგზარ სუარიძის ფოტოები

---

ქართველები NBA-ში

# ფაჩულია რაიტის შემცვლელი იქნება!

**"ატლანტა ჰოქსის"** მთავარმა მწვრთნელმა, **მაიკ ვუდსონმა** "ატლანტა ჯერნელს" განუცხადა, რომ მას ძალიან მოსწონს ბოლო მატჩში დაყენებული სასტარტო ხუთეული და რომ ამ შემადგენლობით გუნდი აშკარად უკეთ იწყებს თამაშს. ეს კი **ზაზა ფაჩულიას** პირდაპირ ეხება - ტრავმის შემდეგ პირველივე მატჩში ზაზა თავიდან სწორედ სათადარიგოთა სკამზე იჯდა. **"ფაჩულია კვლავ სათადარიგო იქნება და კლუბს ასე უფრო დაეხმარება, სასტარტოში კი ლორენცენ რაიტი ითამაშებს"**. - განაცხადა მაიკ ვუდსონმა. უკანასკნელ მატჩში "ატლანტამ" შინ 100:96 დაამარცხა, **ლორენცენ რაიტმა** სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 19 წუთში 5 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა, ფაჩულია შეცვლაზე შევიდა და 18 წუთში გუნდს 12 ქულა და 3 მოხსნა მოუტანა. სწორედ ქართველმა ჩააგდო მატჩის დასრულებამდე 2 წამით ადრე გადამწყვეტი ორი საჯარიმო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლორენცენ რაიტი

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

# ორმა უკვე გაინაღდა

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე ორი ტური დარჩა. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის საგზური გაინაღდეს **ქეთი წაწალაშვილმა** და **გაიოზ ნიგალიძემ**, ორივეს 6.5 ქულა აქვს.

ნიგალიძეს უახლოესი მდევარი, **თამაზ მგელაძე** ნახევარი ქულით ჩამორჩება. დღეს, ბოლოსწინა ტურში მგელაძე თეთრებით ხვდება ნიგალიძეს და ალბათ ბრძოლა გაიმართება, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ყაიმზეც შეთანხმდნენ - საქმე ისაა, რომ მთავარი ამოცანა პირველი ლიგის საგზურის მოპოვებაა, სხვა რამ ჯილდო გათვალისწინებული არაა. საგზურს კი პირველი ათეული იღებს, ცალკე გამარჯვებულს არაფერი შეხვდება. სხვათა შორის, ეს მნიშვნელოვანი მინუსია ტურნირისა და ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ამაზე უნდა იფიქროს.

ქეთი წაწალაშვილმა კი გაინაღდა პირველ ლიგაში ასპარეზობა, მაგრამ არა მგონია, დღეს მშვიდად მოუწიოს თამაში - მის მეტოქეს **მარიამ ბაიაძეს** 4.5 ქულა აქვს და გამარჯვების შემთხვევაში ათეულში მოხვედრის დიდ შანსს იღებს. ქალებში ბევრად ნაკლები მონაწილეა და აქ გამსვლელი, ალბათ, 6 ქულა იქნება, არაა გამორიცხული 5.5-იანიც კი მოხვდეს ათეულში.

წაწალაშვილი მეორეადგილოსან **ანა ბუცხრიკიძეს** ერთი ქულით უსწრებს. ანა დღეს თეთრებით 10 წლის **თეკლა მაჭარაშვილს** ხვდება - თეკლას 4.5 ქულა აქვს და თუკი პირველი ლიგის საგზურს მოიპოვებს, მართლაც სენსაცია იქნება.

**ზვიად შათირიშვილი**



ქეთი წაწალაშვილი

# კარგი ნაბიჯი დიდი ჭადრაკისკენ



იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით, ახლახან ქუთაისში საჭადრაკო სკოლა დაარსდა - რეზო თაბუკაშვილის ქუჩაზე, საჭადრაკო კლუბ "მაიას" შენობაში. დირექტორი იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი **ალექსანდრე არსენიძე** გახლავთ.

სპონსორი თუ მხარდამჭერი უამრავი გამოჩნდა: ქალაქის თითქმის ყველა მუნიციპალური სამსახური, სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციები. შენობა კაპიტალურად გარემონტდა და საფუძვლიანად აღიჭურვა.

დღეისთვის სკოლაში 120 ბავშვი სწავლობს, მათ შორის ბევრია იმერეთის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული მოჭადრაკე. მათი დიდი ნაწილი საქართველოსა და იმერეთის ჩემპიონატების ჩემპიონი და პრიზიორია. მაგალითად, ევროპისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, სამტრედიელი **მერი არაბიძეც** გამოდგება. ამ უნიჭიერეს გოგონას მაია ჩიბურდანიძის დარ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ცხადია, თუ სათანადო ხელშეწყობა ექნა. ახალ საჭადრაკო სკოლაში სწავლაც საკმაოდ სერიოზული ნაბიჯია ამ გზაზე.

რა თქმა უნდა, ყველას, ვინც კი მცირედი წილი მაინც დაიდო საჭადრაკო სკოლის ამოქმედებაში, დიდი მადლობა ეკუთვნის. კარგი იქნება, თუ ქუთაისური მაგალითი სხვა ქალაქებისთვისაც გადამდები გახდება.

კრივი

## აფრიკაში, საფრანგეთსა და პოლონეთში

საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაცია ახალი სეზონისთვის გამალებული ემზადება და სეზონის გახსნას 8 თებერვალს გეგმავს. ამ დღეს, საღამოს 6 საათზე, ვერის ბაღის კრივის დარბაზში მორიგი სარეიტინგო პროფესიული ორთაბრძოლები გაიმართება.

როგორც იცით, ჩვენი კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა სომხებთან, უკრაინელებთან, რუსებთან და აზერბაიჯანელებთან, მაგრამ გადაწყვეტილი ამბავია, რომ 8 თებერვალს კვლავ მხოლოდ ქართველ მოკრივეებს ვიხილავთ რინგზე. მეზობლებთან მოლაპარაკებები დროებით იმიტომ შეჩერებულა, რომ რამდენიმე წამყვანი ქართველი მოკრივე თებერვალ-მარტში საერთაშორისო შეხვედრებს მართავს საზღვარგარეთ და იქ წასვლამდე არ იჩხუბებს. მათ გარეშე კი კრივის ფედერაციას მეზობლების ჩამოყვანა არ უნდა.

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კიკნაველიძემ** გუშინ გვაცნობა:

- ადრე თუ უცხოელებს ვეხვეწებოდით, რომ ჩვენი მოკრივეები საზღვარგარეთ წაეყვანათ საერთაშორისო ბრძოლების ჩასატარებლად, ახლა უკვე აქეთ გვეხვეწებიან. სასიამოვნოა, რომ ქართველ მოკრივეებზე მოთხოვნამ ბოლო ხანს საგრძნობლად იმატა. თებერვალსა და მარტში ჩვენი სპორტსმენები სამხრეთ აფრიკაში, პოლონეთსა და საფრანგეთში გაემგზავრებიან.

აფრიკაში IBF-ის ქამრისთვის იბრძოლებს რომელიმე ჩვენი მოკრივე. ორგანიზატორებს რამდენიმე კანდიდატურა შევთავაზეთ. ახლა გადახედავენ მათ მონაცემებს და საუკეთესოს შეარჩევენ. ანალოგიური ქამრისთვის საფრანგეთში იბრძოლებს ნუგზარ მარგველაშვილი (62 კგ). რაც შეეხება 79 კილოგრამი წონითი კატეგორიის წარმომადგენლებს - არმენ აზიზიანსა და ალექსანდრე სიფრაშვილს, ისინი პოლონეთში სარეიტინგო ბრძოლებს გამართავენ.

**კობა ხატისაშვილი**

ველოსპორტი

პრობლემა

# პერსპექტივა თუ გადაშენება?

**15 წლის ნიჭიერ ველომრბოლს დავით ასკურავას სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მათი თქმით, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ასკურავა ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრის კანდიდატია. მოდით, გავიცნოთ ეს პერსპექტიული ახალგაზრდა. გთავაზობთ ინტერვიუს დავით ასკურავასთან.**

- ველოსპორტი პატარაობიდანვე ძალიან მიყვარს, რადგან ამ სახეობაში ბაბუაჩემიც ვარჯიშობდა და ტელევიზორიდანაც საკმაოდ მიმზიდველად მეჩვენებოდა. ვარჯიში 12 წლისამ დავიწყე. უფრო ადრეც მინდოდა, მაგრამ, სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშის დასაწყებად 11-12 წლის ასაკია უფრო მისაღები - იქამდე ორგანიზმი კარგად არაა ჩამოყალიბებული. 12 წლამდე ფეხბურთზე დავდიოდი ფიზიკურად მოსაძლიერებლად.

**- რა წარმატებები გაქვს ამ სამი წლის განმავლობაში?**

- შარშან საქართველოს ჩემპიონატზე ვიასპარეზე. საგზატკეცილო რბოლაში ავადმყოფობის გამო ვერ გამოვედი, ტრეკზე კი პირველი ვიყავი და ჩემზე უფროსებს მოვუგე. 2005 წელს სომხეთში, საერთაშორისო ტურნირზე მეშვიდე ადგილი დავიკავე, ხოლო მოსკოვში, რუსეთის ღია პირველობაზე ნახევარფინალში მეოთხე შედეგი ვაჩვენე, ფინალში კი მერვე.

**- წლეულს რა გეგმები გაქვს?**

- ზაფხულში ბელგრადში ევროპის ახალგაზრდული თამაშებია და ამ შეჯიბრებაზე ვაკეთებ აქცენტს. ირანშიც გვაქვს საერთაშორისო ტურნირი.

**- უფრო შორეული გეგმები?**

- ტელევიზორით ხშირად ვუყურებ თანამედროვე ვარსკვლავების გამოსვლას - არმსტრონგს, ულრიხს, ვინოკუროვსა და სხვებს. მინდა მეც... ვარჯიში არ მეზარება, თავდაუზოგავად ვიშრომებ და ვნახოთ, რა გამომივა...

**- სამწუხაროდ, ჩვენთან არაა საამისო პირობები, რომ ახალგაზრდა ველომრბოლი მაღალი დონის სპორტსმენად ჩამოყალიბდეს. საზღვარგარეთ გადასვლას ხომ არ აპირებ?**

- საქართველოს ნაკრების მორაგბე ირაკლი აბუსერიძე ჩემი ოჯახის ახლობელია. მითხრა, გამატანე შენი მონაცემები და რომელიმე ფრანგულ ველოკლუბში მოგაწყობო, თუმცა, მერე აღმოჩნდა, რომ საამისოდ ასაკი არ მყოფნიდა. საფრანგეთში რომ გადავიდე, სრულწლოვანი უნდა ვიყო. 3 წელი მაკლია.

**- საქართველოში ძირითადი კონკურენტები ვინ გყავს?**

- ჩემს ასაკში ამირან სვანიძე, რომელთან ერთადაც მივდივარ ბელგრადში. უფროსებში კი გიორგი ნადირაძეა ლიდერი.

**დავით ასკურავასა და ქართული ველოსპორტის პრობლემებზე გვესაუბრება ცნობილი მწვრთნელი ალბერტ თავაძე.**

- დათო ნიჭიერი ბიჭია. ფიზიკურადაც ძლიერია, მაგრამ მისი მთავარი კოზირი ბრწყინვალე ტექნიკაა. რაღაცით მაგონებს ომარ ფხაკაძეს. მახსენდება 1962 წელი, როდესაც 18 წლის ომარი თბილისში ჩამოიყვანეს და ტრეკზე მოიყვანეს. დავსვით ველოსიპედზე და 200 მეტრი 12.2 წამში დაფარა. ეს იმდენად წარმოუდგენელი გვეჩვენა, რომ ახლიდან გავავლევინეთ დისტანცია, მაგრამ შედეგი იგივე იყო. მაშინვე მივხვდით, რომ ჩვენს წინაშე იდგა დიდი ტალანტი და არც შევმცდარვართ. სხვათა შორის, იგივე დისტანცია 15 წლის დავით ასკურავამ ახლახან 12.4 წამში გაიარა. თუკი მას სათანადო პირობები ექნება, დიდი იმედი მაქვს, რომ 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ვიხილავთ...

კარგია, რომ ქართული ველოსპორტი პერსპექტიული ახალგაზრდების სიმცირეს ახლაც არ განიცდის, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ მათ ცუდ პირობებში უწევთ ვარჯიში. საბურთალოს ტრეკი გაპარტახდა და არც უძველეს, უზნაძის ქუჩაზე მდებარე ველოდრომს ულხინს.



დავით ასკურავა

სამწუხაროდ, ამ დიდ ტრადიციებსა და საერთოდ, ქართულ ველოსპორტს დღეს გადაშენების რეალური საფრთხე ემუქრება. ახლა ამბობენ, რომ ყველა ფედერაცია თვითდაფინანსებაზე უნდა იყოსო. კი ბატონო, ფეხბურთი, კალათბურთი, ცურვა თუ ჩოგბურთი ყოველთვის გაიტანენ თავს, რადგან ეგრეთ წოდებული ელიტური სახეობებია, სადაც მდიდარი ადამიანები ხშირად მხოლოდ სიამოვნების მისაღებად ვარჯიშობენ, შვილებიც დაჰყავთ და ფულის დახარჯვაც არ ენანებათ. მაღალი ოსტატობის ველოსპორტი კი გასართობი საშუალება არაა - აქ მხოლოდ სიამოვნებისთვის ასობით კილომეტრს ვერ გაივლი. თუკი ისევ სახელმწიფომ არ ითავა გაპარტახებული ბაზების რესტავრაცია და ჩვენი სახეობის ფეხზე წამოყენება, უახლოეს წლებში ძალიან გაგვიჭირდება არსებობა. როდესაც ამ საკითხს წამოვჭრით, მაშინვე იმას გვეკითხებიან, მედლები თუ იქნება დიდი შეჯიბრებებიდანო. თუკი გვერდში არ დაგვიდგებიან, მედლები კი არა, ახლა ყოფნა-არყოფნაზეა საქმე. მოგვხედონ და მერე, რა თქმა უნდა, შედეგებიც იქნება.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუმო



ეს-ესაა კიოკუტენჰომ ტოჩიაძუმა დაამარცხა

იანვრის ბაშო

# ზედიზედ მესამე გამარჯვება

დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა **კოკაი** გამოფხიზლდა. მას მერე, რაც უარყოფითი ბალანსის საფრთხე რეალური გახდა, კოკაიმ ზედიზედ მესამე ორთაბრძოლა მოიგო. გუშინ მან უვატენაგეს ილეთით **ივაკიამა** დაამარცხა და ბალანსი კიდევ უფრო გამოისწორა - 5-6. კოკაიმ მძიმეწონოსანის მავაში მარჯვენა ხელით დაიჭირა და შემდეგ არც მომგებიანი გდების განხორციელება გაუჭირდა. ბაშოს დასრულებამდე ოთხი დღელა დარჩა, კოკაის დადებითი ბალანსის მისაღწევად ოთხიდან სამი შეხვედრის მოგება მართებს.

ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს, იოკოძუნა **ასაშორიუ**, რომელმაც გუშინ პირველი ოძეკი წააქცია - მან თანამემამულე **ჰაკუჰოს** მოუგო. ასაშორიუს 10 გამარჯვება დაუგროვდა. კომუსუბის ტიტული დაკარგა ოსმა **როჰომ**, რომელმაც უარყოფითი ბალანსი **კაიოსთან** მარცხით გაიფორმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იანვრის სუპერტურნირი
(ჰაცუ ბაშო)
7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

XI დღე: **კოკაი - ივაკიამა 1:0 (უვატენაგე, 3,4 წამი), ასაშორიუ - ჰაკუჰო 1:0, კოტოოშუ - ჩიოტაიკაი 1:0, კიოკუტენჰო - ტოჩიაძუმა 1:0, კაიო - როჰო 1:0, კოტომიცუკი - ამა 1:0, მიაბიამა - ტოკიტენკუ 1:0, კისენოსატო - დეჯიმა 1:0, ჰომაშო - კოტოშოგიკუ 1:0, ამინიშიკი - ტაკამისაკარი 1:0, ასასეკირიუ - კაკურიუ 1:0, ტოიონოშიმა - კასუგაო 1:0, ტამანოშიმა - კაკიძოე 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **10-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); 9-2: ტოიონოშიმა (მაეგაშირა 9); 8-3: ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ტამანოშიმა (მ 14), უშიომარუ (მ 15); .. 5-6: კოკაი (მ 5).**

XII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი - ამინიშიკი, ასაშორიუ - ჩიოტაიკაი, ტოჩიაძუმა - კისენოსატო, კაიო - ამა, კოტოოშუ - ჰაკუჰო, მიაბიამა - კოტოშოგიკუ, ჰომაშო - კოტომიცუკი, როჰო - კიოკუტენჰო, დეჯიმა - ტოკიტენკუ, ტოიონოშიმა - ტაკამისაკარი, ტოჩინონადა - ტოკიცუუმი.**

## ფრენბურთი

# განაცხადი პეკინისთვის

2007 პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო წელიწადია. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას საოლიმპიადოდ პლაჟბურთელ ვაჟთა და ქალთა წყვილის იმედი აქვს, თუმცა, უყურადღებოდ არც დიდი, კლასიკური ფრენბურთია. ახლახან ფრენბურთის ფედერაციამ საქართველოს ვაჟთა ნაკრების ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში ასპარეზობის განაცხადი შეიტანა. ევროპის შესარჩევი ზონის წილისყრა უახლოეს დღეებში გაიმართება ლუქსემბურგში, ევროპული ფედერაციის შტაბბინაში. ქალთა ნაკრები შესარჩევ ტურნირში არ იასპარეზებს.

## ზამთრის უნივერსიადა

# ბაკურიანელი სტუდენტები ტურინში

TORINO 2007
Winter Universiade

სპორტის ზამთრის სახეობებში სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა ორ წელიწადში ერთხელ იმართება. დღეს, ტურინში, ოლიმპიურ ბაზებზე, სტარტს აიღებს რიგით 23-ე თამაშები. უნივერსიადაზე საქართველოდან ორი სამთო მოთხილამურე - **მანანა წერეთელი** (მწვრთნელი ალბერტ სტეფანიანი) და **გიორგი თედიაშვილი** (მწვრთნელი გრიგოლ ებრალიძე) გუშინ გაემგზავრა ტურინში. ორივე სპორტსმენი სწრაფდაშვებასა და სპეციალურ სლალომში იასპარეზებს.

*"საქართველოს სტუდენტი სპორტსმენები თამაშებში მეორედ გამოდიან. ორი წლის წინათ დელეგაციაში ხუთი წევრი იყო, ახლა კი ოთხია. წლეულს სპორტსმენთა მივლინება შესაძლებელი გახდა ბაკურიანის გამგეობისა და საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით"*, - უთხრა "ლელოს" კორესპონდენტს ამავე ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **გივი მძელურმა**.

## რაგბი

# სინათლე მორაგბეებს



სინათლის სტადიონზე ამიერიდან მორაგბეები ითამაშებენ

გუშინ მთავრობის სხდომაზე დადებითად გადაწყდა ავჭალაში მდებარე "სინათლის" სტადიონის მორაგბეებისთვის გადაცემის საკითხი. ყველაფერი საბოლოო სახეს მთავრობის მომავალ სხდომაზე მიიღებს, თუმცა უკვე ცხადია, რომ "სინათლე" ამიერიდან რაგბის კავშირის საკუთრება იქნება. რაგბის კავშირს "სინათლის" სტადიონს სიმბოლურ ფასად მიჰყიდიან და ამ განკარგულებას თავად საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** მოაწერს ხელს.

შესათანხმებელი დარჩა დეტალები. საქმე ფეხბურთის ფედერაციასთან გასამართ მოლაპარაკებას ეხება - ამ სტადიონით მომავალში ფეხბურთელებმაც უნდა ისარგებლონ, თუკი ამის საჭიროება შეექმნებათ. *"ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ საქართველოში სპორტის ამ სახეობას, რადგან მორაგბეებმა ეს თავიანთი შედეგებით დაიმსახურეს. არ გამოვრიცხავ, მომავალში სტადიონის რეკონსტრუქციისთვის ინვესტიციების მოზიდვასაც, მაგრამ ეს უკვე რაგბის კავშირის სამუშაო იქნება"*, - განაცხადა გუშინდელი სხდომის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა, **გიორგი არველაძემ**.

"სინათლის" სტადიონზე საფეხბურთო უმაღლესი ლიგის გუნდი ("მერანი") ბოლოს 2002-2003 სეზონში თამაშობდა.

## ჩოგბურთი

# ცუდი სტარტი

ახალი საჩოგბურთო სეზონი ცუდად დაიწყეს ქართველმა ჩოგბურთელმა ქალებმა. **მაკა ჩახნაშვილი** პირველივე წრეში დაემშვიდობა "ავსტრალიის ღია პირველობის" საკვალიფიკაციო ტურნირს, სხვები კი მცირე საერთაშორისო ტურნირების ძირითად ბადეში გასვლას ვერ ახერხებენ. გუშინ ფორტ ვოლტონ ბიჩში (25 ათასი) მეორე საკვალიფიკაციო წრეში წააგეს საქართველოს მეორე და მესამე ჩოგნებმა: **ანა ტატიშვილმა** ამერიკელ **ლინდსეი ლი-უოტერსთან** დამარცხდა - 4:6, 6:3, 4:6, ხოლო **სოფიო მელიქიშვილმა** გერმანელ **იულია გიორგეს** დაუთმო - 1:6, 7:6, 4:6.

ავსტრიაში ქალაქ ბერგაიმში დაიწყო მცირე საერთაშორისო ტურნირი (15 ათასი), რომელშიც საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** ასპარეზობს. ერთეულთა თანრიგში მას ჯერ არ უთამაშია, წყვილებში კი შვეიცარიელ **სვენ სვინენთან** ერთად შვედურ დუეტთან (**ბერგმანი-კუმლინი**) უკვე დამარცხდა - 6:7, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ხელბურთი

ევრო 2008. ხვალ: საქართველო-ბულგარეთი

# ვის შეცვლის ფორაქიშვილი?



საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები აგრძელებს სამზადისს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლის დასკვნითი ორი მატჩისთვის. მოგეხსენებათ, ჩვენმა ხელბურთელებმა საწყისი ოთხი თამაში წააგეს და ახლა ბულგარეთთან დარჩენილი ორი შეხვედრის მოგება ოდენ პრესტიჟისთვისლა თუ გამოადგებათ. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჯგუფიდან 8-8-ქულიანი რუმინეთი და ლატვია უკვე გასულები არიან ფლეიოფში და ერთმანეთში მხოლოდ პირველადგილოსნის ვინაობას გაარკვევენ.

საქართველოს ნაკრები ტრადიციულად, ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ემზადება. როგორც გუშინ ნაკრების თავკაცმა **მერაბ მეტრეველმა** გვაცნობა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ბულგარეთთან 19 იანვარს, თბილისში გასამართ მატჩში, გუნდში გამოჩნდება ერთი ახალი მოთამაშე. როგორც უკვე გაცნობეთ, რუმინეთიდან დაბრუნების შემდეგ, მეტრეველმა შეკრებაზე გამოიძახა "თბილისის" ხელბურთელი **დავით ფორაქიშვილი** და როგორც ჩანს, ამ მოთამაშემ მწვრთნელთა ნდობა დაიმსახურა. თუ ვის შეცვლის 14-კაციან განაცხადში ფორაქიშვილი, ამას დღეს შევიტყობთ.

ამას გარდა, 19 იანვრის მატჩისთვის, საქართველოს ნაკრების სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდება მეტრეველის თანაშემწე **ირაკლი კეკელიძე**, რომელმაც 7 იანვარს, საქართველო-ბულგარეთის შეხვედრისას, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. გაირკვა ლატვიასთან პირველ მატჩში დაშავებული **რატი მსხვილიძის** საკითხიც. მენისკის ოპერაციის შემდეგ იგი მოედანს ერთ თვეში დაუბრუნდება.

**კობა ხატისაშვილი**

17 იანვარი, რიგა

**ლატვია-რუმინეთი 26:30**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 162:122 | 10 |
| ლატვია | 5 | 4 | 0 | 1 | 156:126 | 8 |
| ბულგარეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 95:128 | 0 |
| საქართველო | 4 | 0 | 0 | 4 | 97:134 | 0 |

19 იანვარი, 15:30

**საქართველო-ბულგარეთი**

21 იანვარი

**რუმინეთი-ლატვია**

**ბულგარეთი-საქართველო**

## თარიღი



**18 იანვარი, 1954 - დაიბადა ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი). თამაშობდა თბილისის "ბურევესტნიკში" (1970-85) და გერმანიის "ლანდცხუტში" (1987-92), სადაც ჯერ მოთამაშის, შემდეგ კი მოთამაშე მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებდა. 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (6 მატჩი, 13 გოლი), 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (6 მატჩი, 29 გოლი). მსოფლიოს ჩემპიონი (1982) და მეორე პრიზიორი (1978). სსრკ თასის მფლობელი (1978), სსრკ ჩემპიონატის სამგზის მესამე პრიზიორი (1977, 80, 81), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1975). 1974-84 წლებში სსრკ ნაკრებში ითამაშა 217 მატჩი (572 გოლი). იყო საბერძნეთის ქალთა ნაკრების მწვრთნელი (2000-01). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრალიის ღია პირველობა

# დაბნეული ქორის თვალი



მონფილსმა ბალდატისი მოინელა

ავსტრალიის ღია პირველობაზე მეორე წრის შეხვედრები დაიწყო. ისევე, როგორც პირველ წრეში, ამ ეტაპზეც ტურნირმა ერთი გამორჩეული მეჩოგნე - შარშანდელი ფინალისტი, კვიპროსელი **მარკოს ბალდატისი** მოისაკლისა, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა ფრანგ თინეიჯერ **გაელ მონფილსს**.

გუშინვე გაირკვა, რომ მესამე წრეში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან ტურნირის ყოფილი ჩემპიონი, რუსი **მარატ საფინი** და ამერიკელი ეისმასტერი **ენდი როდიკი**. საფინმა კვლავ გაჭირვებით გაიარა მეორე ეტაპი, სადაც მისი მეტოქე საკვალიფიკაციო ეტაპგამოვლილი, ებრაელი **დუდი სელა** იყო. რუსს მოსაგებად კვლავ ხუთი სეტი დასჭირდა, ამერიკელმა კი ამჯერად სამ სეტში გააკეთა საქმე, თუმცა არც ისე იოლად - ფრანგმა **მარკ გიშელმა** იმდენი შეძლო, რომ მეორე სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა.

ალსანიშნავია, რომ საფინს კარიერაში სულ 37 ხუთსეტიანი შეხვედრა აქვს ნათამაშები, რომელთაგან 26 მოიგო. მოკლედ, დაძაბულ პაექრობათა სპეციალისტია და მიუხედავად იმისა, რომ თამაშის დროს მის ბობოქრობას ხშირად ეწირება ჩოგნები, ნერვების წყვეტაში უფრო ხშირად მოგებული რჩება. მაგრამ შესანიშნავი მოწოდების მქონე როდიკთან ასეთი "თამაში" სახიფათო იქნება. ისე კი, თუ მელბურნში სიცხემ ცოტა არ იკლო, იქაური სწრაფი კორტები შენელდება - გაცხელებული კაუჩუკი რბილდება, რაც კორტის საფარზე დაცემული ბურთის ტრაექტორიასა და რა თქმა უნდა, სიჩქარესაც ცვლის (ამერიკელისთვის არასასურველად).

*"მესამე წრეში ჩვენი შეხვედრა ფორტუნის უკულმართობის ბრალია. აბა რა უნდა ვთქვა, როცა, თქვენც დამეთანხმებით, ორივენი გაცილებით შორს გასვლას ვიმსახურებთ. ეგ არაფერი, ამას როგორმე შევეგუებით. ისე კი, ჩემთვისაც და ალბათ მისთვისაც, სულერთია, როდის და ვის შევხვდებით. თუ ტურნირის მოგება გინდა, ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერთან მოგება უნდა შეგეძლოს. თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს, ტურნირს რა ეტაპზე გამოეთიშები"*, - ამბობს როდიკი.

ტურნირის მოქმედმა ჩემპიონებმა - შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** და ფრანგმა **ამელი მორესმომ** კვლავ იოლად გაიკაფეს გზა მომდევნო ეტაპისკენ. პირველმა წყვილების შვედი სპეციალისტი **იონას ბიორკმანი** ჩამოიცილა გზიდან (მას შვედი ხუთივე შეხვედრაში დამარცხებული ჰყავს და თანაც ისე, რომ ერთი სეტიც კი არ დაუთმია), მეორემ კი მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო რუს თინეიჯერ **ოლგა პუჩკოვას**. თუმცა, იმის თქმაც საჭიროა, რომ მორესმო თავადაც უკმაყოფილო დარჩა თავისი თამაშით. ალბათ იმიტომ, რომ მეორე სეტის დასაწყისში ის მდევრის როლში იყო.

სხვა მხრივ, მათი შეხვედრისას ერთი უსიამოვნო ინციდენტი მოხდა, რამაც ეჭვის ქვეშ დააყენა ეგრეთ წოდებული "ქორის თვალის" საიმედოობა. სხვათა შორის, ვიდეოჩანაწერი ავსტრალიის ლიაზე პირველად გამოიყენეს და ეს დებიუტი წარუმატებელი გამოდგა.

ყველაფერი ასე მოხდა: პირველი სეტის მიწურულს, როცა ფრანგს სეტ პოინტი ჰქონდა, რუსის მიერ უკანა ხაზიდან დარტყმული ბურთი კორტს მიღმა ჩავარდა. ემპაიერმა **კერილინ კრამერმა** პუჩკოვას ქულა დააფიქსირა, რაც უმალ გააპროტესტა მორესმომ. ჩანაწერზე აშკარად გამოჩნდა, რომ ბურთი ხაზს იქით ჩავარდა, თუმცა მონიტორზე მაინც დაიწერა "In", რაც რუსისთვის ქულის მიკუთვნებას ნიშნავდა. ამაზე კრამერმა ჩოგბურთელებს ჰკითხა, ხომ არ ჯობდა ქულის გადათამაშება. საბოლოოდ, ისინი შეთანხმდნენ, მაგრამ ინციდენტი არასახარბიელოდ აისახა "ქორის თვალის" რეპუტაციაზე.

სხვათა შორის, მორესმო ელექტრონული სისტემის მსაჯის შემწედ გამოყენებას ემხრობა. სამაგიეროდ, ამ სისტემის დანერგვას არ ემხრობა ფედერერი. შვეიცარიელს კიდევ ერთი სიახლე არ მოსწონს - საჩოგბურთო ტურნირებზე ჯგუფური ეტაპების დანერგვა. ამ სეზონში ახალ სისტემას რამდენიმე ტურნირზე შეამოწმებენ, ფედერერი კი ამბობს, რომ ის ამ ტურნირებზე მონაწილეობას არ მიიღებს და იმედოვნებს, რომ მომდევნო სეზონში ასეთ ექსპერიმენტებს ადგილი არ ექნება.

ფედერერის მომდევნო მეტოქეა რუსი **მიხაილ იუჟნი**, ვინც შარშან აშშ-ის ღიას ნახევარფინალს მიაღწია. შვეიცარიელისთვის ერთი ხეირი ისაა, რომ ფინალის გზაზე მას ბალდატისი აღარ შეხვდება. კვიპროსელმა ვერაფერი დაუპირისპირა ტრავმირებულ, თუმცა მაინც ძალიან კარგად მოთამაშე მონფილსს.

ფრანგმა პირველი ორი სეტი მოიგო და თამაშზე ეტყობოდა, რომ ეს შეხვედრა არ უნდა წაეგო, მაგრამ მესამე სეტში ბალდატისმა თავისი თამაში "იპოვნა" და ერთი სეტი გაქვითა. მონფილსმა სწორედ ამ სეტში უხმო კორტზე ექიმს, მტკივანი ტერფის დამუშავების შემდეგ კი, მართალია ეს სეტი დათმო, მაგრამ შემდეგში მეტოქეს ხელის განძრევის საშუალება მოუსპო.

სხვათა შორის, გუშინ ჩოგბურთელები ცოტა ხნით წვიმამ გააგრილა, რის გამოც გარე კორტებზე თამაში გადაღებამდე შეწყდა, ცენტრალურ კორტებზე კი მცირე პაუზის შემდეგ, კვლავ გაგრძელდა. **როდ ლეივერის** სახელობის კორტზე მორესმო პუჩკოვას 1:0-ს უგებდა, როცა წვიმა წამოვიდა. საფინი კი სელასთან სეტებში 1:2-ს აგებდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### კაცები. II წრე

**როჯერ ფედერერი (1)** - იონას ბიორკმანი 6:2, 6:3, 6:2; **ენდი როდიკი (6)** - მარკ გიშელი 6:3, 7:6(4), 6:4; **ტომი რობრედო (7)** - მარკ გიშელი 6:1, 6:3, 6:3; **მარიო ანჩიჩი (9)** - გილერმო გარსია-ლოპესი 3:6, 7:5, 6:2, 6:2; **გაელ მონფილსი** - მარკოს ბალდატისი (11) 7:6(5), 6:2, 2:6, 6:0; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (14)** - ფელისიანო ლოპესი 6:2, 7:5, 6:1; **დავიდ ფერერი (16)** - ტომას იოჰანსონი 6:2, 6:7(5), 6:2, 6:2; **რიშარ გასკე (18)** - ამერ დელიჩი 6:1, 6:2, 6:4; **რადეკ სტეპანეკი (20)** - ლუკაშ დლუჰი 4:6, 4:6, 6:4, 6:1, 6:4; **დომინიკ ჰრბატი (22)** - ვინსენტ სპადეა 5:7, 6:4, 6:4, 6:3; **დანაი უდომჩოკე** - ხუან კარლოს ფერერო (24) 7:6(0), 7:5, 4:6, 6:1; **მიხაილ იუჟნი (25)** - იენ-ჰსუნ ლუ 7:5, 6:4, 6:4; **მარატ საფინი (26)** - დუდი სელა 6:3, 5:7, 4:6, 7:6(4), 6:0; **უეინ არტურსი** - ზაკ ფლაიშმანი 6:7(5), 6:1, 6:4, 6:4; **მერდი ფიში** - ნიკოლა მაიუ 7:5, 6:4, 3:6, 6:4; **სემ ქვერი** - ფლორენ სერა 6:3, 6:4, 6:3

### ქალები. I წრე

**პატი შნიდერი (8)** - მედისონ ბრენგლი 6:3, 6:4; **დინარა საფინა (9)** - ეკატერინა ბიჩკოვა 7:6(5), 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა (15)** - ალის კორნე 6:4, 6:1; **ანა-ლენა გრიონეფელდი (17)** - სანდრა ზაჰლავოვა 6:4, 6:1; **ნა ლი (19)** - ელენა ბოვინა 6:4, 6:3; **ვერა ზვონარევა (22)** - ციპორა ობზილერი 6:3, 6:4; **შუაი პენი** - ანდრეია კლეპაჩი 6:3, 4:6, 6:1; **ტამირა პაშეკი** - სევერინ ბრემონი 6:1, 6:4; **ემილი ლუა** - არავანე რეზაი 6:3, 4:6, 6:3; **ეშლი ჰერკლროუდი** - მენ იუანი 6:3, 6:0; **იულია ფედოსოვა** - კატალინა კასტანო 7:5, 6:4; **ლურდეს დომინგეს ლინო** - ემა როული 6:3, 6:4

### II წრე

**ამელი მორესმო (2)** - ოლგა პუჩკოვა 6:2, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (3)** - მონიკ ადამჩაკი 6:2, 6:1; **ნადია პეტროვა (5)** - ხისელა დულკო 6:1, 6:2; **ელენა დემენტიევა (7)** - მარტინა მიულერი 7:5, 3:6, 6:0; **ნიკოლ ვაიდიშოვა (10)** - მილაგროს სეკერა 6:2, 6:1; **ელენა იანკოვიჩი (11)** - ვირხინია რუანო პასკუალი 6:2, 6:2; **ლუსი საფაროვა** - ფრანჩესკა სკიავონე (14) 6:3, 6:3; **შაჰარ პეერი (16)** - მეილენ ტიუ 6:3, 6:0; **ვიქტორია აზარენკა** - მარიონ ბარტოლი 6:0, 7:5; **ტატიანა გოლოვინი (20)** - სუზანა ონდრაშკოვა 6:2, 6:0; **კატარინა სრებოტნიკი (21)** - ივეტა ბენეშოვა 7:6(0), 6:7(6), 6:1; **ანასტასია იაკიმოვა** - აი სუგიამა (23) 6:2, 2:6, 10:8; **მარია კირილენკო (26)** - იულია ვაკულენკო 4:6, 6:3, 6:4; **მარია კამერინი** - ელენა ვესნინა 4:6, 6:3, 8:6; **სერენა უილიამსი** - ანე კრემერი 7:6(4), 6:2; **ევა ბირნეროვა** - ჯულია შრუფი 6:2, 2:6, 6:2

## კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ნ. ორლეანი-ორლანდო 84:78 (ო)**

20:19, 18:14, 23:20, 14:22, 9:3

**ნიუ ორლეანი:** პარგო (25 ქ), დ. მეისონი (21 ქ. 9 მ), რ. ბატლერი (19 ქ. 11 მ), ჩენდლერი (4 ქ. + 10 მ).

**ორლანდო:** დუაიტ ჰოვარდი (17 ქ. 15 მ), თურქოგლუ (16 ქ. 7 მ), მილიჩიჩი (11 ქ. 10 მ).

**დალასი-ჰიუსტონი 109:96**

25:30, 22:23, 29:21, 33:22

**დალასი:** ნოვიცკი (30 ქ. 10 მ. 6 პ), ჯოშ ჰოვარდი (28 ქ. 7 მ), ტერი (7 ქ. 8 პ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (45 ქ. 7 პ), ჯუვან ჰოვარდი (16 ქ. 6 მ), ალსტონი (12 ქ. 5 პ), მუტომბო (3 ქ. 10 მ).

**სიეტლი-კლივლენდი 101:96**

24:28, 25:26, 24:19, 28:23

**სიეტლი:** რ. ალენი (22 ქ. 11 პ), უილკოქსი (16 ქ. 12 მ), კოლისონი (14 ქ. 12 მ), უოტსონი (12 ქ. 7 პ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (30 ქ. 7 მ. 8 პ), ილგაუსკასი (24 ქ. 11 მ), ჰიუზი (7 ქ. 5 მ. 6 პ).

### რალი-რეიდი

**ლისაბონი-დაკარი 2007**

X ეტაპი. ნემა-ნემა. 366 კმ.

**მსუბუქი მანქანები**

1. ალ ათიიაპი (კატ)/გუეენეკი (საფ, BMW) - 3:49.48; 2. **მასოუკა** (იაპ)/**მემონი** (საფ, "მიცუბიში") - +0.28; 3. **მილერი** (აშშ)/**პიტჩფორდი** (ს. აფრ, "ფოლკსვაგენი") - +1.49; 4. **პეტერანსელი** (საფ)/**კოტრე** (საფ, "მიცუბიში) - +2.08; 5. **საინსი** (ესპ)/**პერენი** (საფ, "ფოლკსვაგენი") - +2.48; 6. **ალფანი** (საფ)/**პიკარი** (საფ, "მიცუბიში) - +4.14.

**საერთო ჩათვლა:** 1. **პეტერანსელი/კოტრე** - 37:35.19; 2. **ალფანი/პიკარი** - +9.56; 3. **შლესერი** (საფ)/**დებრონი** (საფ, "ფორდი") - +1:30.50; 4. **ალ ათიიაპი/გუეენეკი** - +2:00.13; 5. **მასოუკა/მემონი** - +2:12.04; 6. **მილერი/პიტჩფორდი** - +2:14.07

**მოტოციკლები**

1. **როდრიგესი** (პორ, "იამაჰა") - 4:12.55; 2. **კომა** (ესპ, KTM) - +0.44; 3. **დესპრე** (საფ, KTM) - +0.51; 4. **ვინტერსი** (ლატვია, KTM) - +2.53; 5. **კასტო** (საფ, KTM) - +4.41; 6. **ბერტისი** (საფ, "ჰონდა") - +7.01.

**საერთო ჩათვლა:** 1. **კომა** - 40:55.10; 2. **დესპრე** - +54.43; 3. **კასტო** - +1:15.12; 4. **ბლეისი** (აშშ, KTM) - +1:40.37; 5. **ულევალსეტერი** (ნორ, KTM) - +2:12.20; 6. **როდრიგესი** - +2:52.16.

### ჭადრაკი

**ვეიკ-ან-ზეე (ჰოლანდია)**

IV ტური

**სვიდლერი** (რუსეთი)-**პონომარიოვი** (უკრაინა) 0.5:0.5; **კრამნიკი** (რუსეთი)-**ნავარა** (ჩეხეთი) 0.5:0.5; **მოტილიოვი** (რუსეთი)-**არონიანი** (სომხეთი) 0.5:0.5; **ვან ველი** (ჰოლანდია)-**კარიაკინი** (უკრაინა) 0.5:0.5; **კარლსენი** (ნორვეგია)-**ანანდი** (ინდოეთი) 0.5:0.5; **რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი)-**ტივიაკოვი** (ჰოლანდია) 1:0; **ტოპალოვი** (ბულგარეთი)-**შიროვი** (ესპანეთი) 1:0.

მდგომარეობა ოთხი ტურის შემდეგ: 1. **რაჯაბოვი** - 3.5 ქულა; 2. **ტოპალოვი** - 3; 3-7. **კრამნიკი, სვიდლერი, ანანდი, არონიანი, ნავარა** - 2.5; 8-9. **პონომარიოვი, კარიაკინი** - 2; 10. **მოტილიოვი** - 1.5; 11-13. **ვან ველი, კარლსენი, ტივიაკოვი** - 1; 14. **შიროვი** - 0.5.

### ჰოკეი

## ჰეხტი სამ მატჩს გამოტოვებს

"ბაფალო სეიბრზის" ფორვარდი **იოხენ ჰეხტი** მინიმუმ ერთი კვირა ვერ შეძლებს თამაშს - ასეთია იმ ტრავმის შედეგი, რომელიც გერმანელმა ჰოკეისტმა "ბოსტონთან" ბოლო ტურის მატჩში მიიღო.

29 წლის ჰეხტმა ამ სეზონში 43 მატჩი ითამაშა და 25 ქულა (12 გოლი+13 პასი) დააგროვა.

## სენტ ლუისმა შჩასტნი შეიძინა

დასავლეთის კონფერენციის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, "სენტ ლუის ბლუზმა" "ბოსტონიდან" ცენტრალური თავდამსხმელი **იან შჩასტნი** დაიმატა, სანაცვლოდ კი, 2007 წლის დრაფტის მეხუთე რაუნდში არჩევის უფლება დათმო.

24 წლის შჩასტნის 21 მატჩში მხოლოდ 2 შედეგიანი პასი აქვს შესრულებული.

### კალათბურთი

## უებერი დეტროიტელია

დასრულდა **კრის უებერის** გარშემო ატეხილი აყიოტაჟი - გუშინ, ვეტერანმა კალათბურთელმა "დეტროიტ პისტონზთან" ამ სეზონის ბოლომდე მოაწერა კონტრაქტს ხელი.

შეგახსენებთ, რომ "ფილადელფიას" ყოფილი მოთამაშე დეტროიტშია დაბადებული და კარიერა მიჩიგანის უნივერსიტეტში დაიწყო. წელს, უებერმა ტრავმების გამო მხოლოდ 18 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც საშუალოდ 11 ქულასა და 8.3 პასს აგროვებდა.

## კიდს ნაკრებში დაბრუნება უნდა

"ნიუ ჯერსი ნეტსის" ლიდერმა **ჯეისონ კიდმა** თავის აგენტს ამერიკის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან - **ჯერი კოლანჯელოსთან** დაკავშირება და მასთან მოლაპარაკება დაავალა. მომავალი საუბრის თემა კიდის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება იქნება. კალათბურთელის სიტყვებით, მას დიდი სურვილი აქვს წელს, აგვისტოში აშშ-ის ნაკრებთან ერთად FIBA-ს ტურნირში, ხოლო გაისად, პეკინის ოლიმპიადაზე იასპარეზოს.

*"მინდა ნაკრებს დავუბრუნდე და მას ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებაში დავეხმარო"*, - აცხადებს ჯეისონ კიდი. სავარაუდოდ, ამერიკის კალათბურთის ფედერაცია კიდს ნაკრებში მიწვევას გაუგზავნის. FIBA-ს ტურნირამდე, ლას ვეგასში 23 კალათბურთელი იქნება მიწვეული, მაგრამ შეჯიბრზე მხოლოდ 12 მათგანი მიიღებს მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ კიდი 2000 წელს, სიდნეიში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ ბოლო წლებში ამერიკის ნაკრებში ტრავმების გამო არ თამაშობდა.

## ეინიკისი კოკაინისთვის დაიჭირეს

ლიტვის ქალაქ კლაიპედას პოლიციამ, ნარკოტიკების უკანონო შენახვისთვის "ჟალგირისისა" და ლიტვის ნაკრების ყოფილი ცენტრალური თავდამსხმელი **გინტარას ეინიკისი** დააკავა. მალე საქმეს სასამართლოში განიხილავენ, მანამდე კი, ცნობილი კალათბურთელი თავდებით გამოუშვეს ციხიდან.

გასული წლის სამ დეკემბერს, "ფოლკსვაგენის" ჯიპი, რომელსაც 37 წლის ეინიკისი მართავდა, შემხვედრ ზოლზე გადავიდა და BMW-ს შეასკდა. ეინიკისი ინციდენტის ადგილიდან მიიმალა, ხოლო მის მანქანაში პოლიციამ კოკაინი აღმოაჩინა. მოგვიანებით, კოკაინის კვალი კალათბურთელის ორგანიზმშიც აღმოაჩინეს.

## მარკო მილიჩი რეალშია

EUROBASKET.COM-ის ინფორმაციით, ლიუბლიანას" ოლიმპიას" ერთ-ერთი ლიდერი, სლოვენიის ნაკრების მცველი **მარკო მილიჩი** მადრიდის "რეალში" გადავიდა.

მილიჩმა უკვე გააფორმა კონტრაქტი ULEB-ის თასზე მოთამაშე კლუბთან. სხვათა შორის, სლოვენიელი კალათბურთელი 2000-01 წლების სეზონშიც თამაშობდა სამეფო კლუბის შემადგენლობაში.

### ჩოგბურთი

## რაშიდი ჰიუიტს უბრუნდება

როგორც იცით, ახალი სეზონის წინ, ავსტრალიელი ჩოგბურთელი **ლეიტონ ჰიუიტი** მწვრთნელის გარეშე დარჩა - მასთან მუშაობის გაგრძელება აღარ მოისურვა ცნობილმა სპეციალისტმა **როჯერ რაშიდმა**.

თუმცა, ამ უკანასკნელმა გუშინ განაცხადა, რომ შესაძლოა განახლდეს მისი და ავსტრალიური ჩოგბურთის ლიდერის თანამშრომლობა. ეს ავსტრალიის ღია პირველობის დასრულების შემდეგ მოხდება. *"ამის შესახებ მე და ლეიტონი ავსტრალიის ღიას შემდეგ ვისაუბრებთ. საბოლოო სიტყვა, ნებისმიერ შემთხვევაში მას ეკუთვნის"*, - აღნიშნა რაშიდმა, რომელიც მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანთან სამწელიწადნახევარი თანამშრომლობდა.

## ცურვა

ექსპერიმენტი

# ფელპსი: მზადება მელბურნისთვის

ამერიკელმა სუპერმოცურავე **მაიკლ ფელპსმა** და მისმა მწვრთნელმა **ბობ ბოუმანმა** საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს ლონგ ბიჩში, სამხრეთი კალიფორნიის დიდ პრიზზე ასპარეზობისას - მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების არაერთი ოქროს მედლის მფლობელმა ერთმანეთის მიყოლებით, 100 იარდზე (თითქმის მეტრია) სამ სხვადასხვა დისციპლინაში, ამ დისციპლინების მსოფლიო რეკორდსმენების წინააღმდეგ იასპარეზა.



ფელპსი ბრასის სტილით ასპარეზობისას

ფელპსმა სამიდან (გულაღმა, ბატერფლაი და ბრასი) მხოლოდ ერთი მოიგო, ორში კი მეორე ადგილს დასჯერდა, რის შემდეგაც განაცხადა - ძალიან დავიღალე და ვიმედოვნებ, ასეთი გამოცდის ჩაბარება აღარ მომიწევსო. დაიღლებოდა, აბა რა იქნებოდა, მან ხომ სამივე გაცურვა 41 წუთში ჩაატია.

პირველად ის გულაღმა სტილით ცურვაში, ამ დისციპლინის რეკორდსმენ **აარონ პირსოლს** დაუპირისპირდა. ფელპსმა ფინიშს 45.90 წამში უწია, მეორეზე **პიტერ მარშალი** გავიდა, პირსოლი კი მესამე ადგილს დასჯერდა. არადა, პირსოლს სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული ბრინჯაოს შემდეგ არ წაუგია.

*"როგორც ჩანს, ზედმეტი ვარჯიშის გამო გადავიღალე, მაიკლმა კი მართლაც შესანიშნავად იასპარეზა. ფორმაშიც რომ ვყოფილიყავი, გამიჭირდებოდა მისი ჯობნა. თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ფეხებს ძლივს ვამოძრავებდი"*, - განაცხადა პირსოლმა.

ბრასში ფელპსი ახლოსაც ვერ მივიდა ამ დისციპლინის მაესტრო **ბრენდან ჰანსენთან**, ვისთანაც წამნახევარი წააგო, თუმცა მაინც, თავის კარიერაში საუკეთესო შედეგი (54.67 წამი) დააფიქსირა და მეორე ადგილი დაიკავა.

ბატერფლაიში კი **იან კროკერთან** წააგო. ფელპსის შედეგი იყო 46.05 წამი, კროკერისა კი - 45.23. ნაფინიშევს რეკორდსმენმა განაცხადა, გაცურვაში მაიკლის მონაწილეობამ ადრენალინის გამოყოფა მომიმატაო. *"ვიცოდი, თუ პირველ მუხლზე მას საკმაო მანძილით ჩამოვიტოვებდი, მაშინ ფინიშამდე ვეღარ დამეწეოდა. ჰოდა, ასეც მოვიქეცი"*, - განაცხადა კროკერმა. ჰანსენი კი აღფრთოვანებული დარჩა ფელპსის მონდომებით - ზედიზედ სამი გაცურვა, რომლებშიც მსოფლიო რეკორდსმენებს ეჯიბრები, ეს ფანტასტიკის სფეროდანაა და მხოლოდ ყველასაგან გამორჩეულ მოცურავეებს შეუძლიათო.

თავისი ექსპერიმენტი ფელპსმა ტურნირის ბოლო, მეოთხე დღეს ჩაატარა. ეს ექსპერიმენტი ერთ-ერთი ნაწილია მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ამერიკელი სუპერმოცურავის მზადების ციკლისა. ლონგ ბიჩამდე ფელპსი მექსიკაში იმყოფებოდა, სადაც მზადების სამკვირიანი ეტაპი გაიარა.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატს მარტში ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ჩატარდება. ჩემპიონატისთვის ფელპსს ამბიციური გეგმები აქვს - რვა მედლის მოპოვებას გეგმავს.

ლონგ ბიჩის ტურნირზე, 100 მეტრზე გულაღმა სტილის გარდა, ფელპსმა მოიგო 100 და 500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ასევე 400 მეტრზე ინდივიდუალურ-შერეული სტილით ცურვაში. მეორეზე კი 200 მეტრზე ბრასშიც გავიდა.

*"წყლიდან ამოსული, ტანის შეშრობას ძლივს ვასწრებდი, რომ ისევ აუზში ჩახტომა მიწევდა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ვიცი, რომ ამგვარი ექსპერიმენტები მელბურნში ძალიან გამომდგება. ამიტომ, მზად ვარ, კიდევ ბევრ მსგავს გამოცდას გავუძლო. ერთ ტურნირზე ერთმანეთის მიყოლებით, 100 მეტრი გულაღმა და მერე 100 მეტრი ბრასით მანამდე არასოდეს გამიცურავს. აქ კი ვნახე, რომ ეს შეუძლებელი არაა. მოკლედ, ექსპერიმენტით ძალიან კმაყოფილი დავრჩი"*, - განაცხადა ფელპსმა.

სხვათა შორის, ლონგ ბიჩშივე დატვირთული გრაფიკი ჰქონდა **ნატალი კაფლინსაც**, ვინც ხუთ დისტანციაზე იასპარეზა და ყველა მოიგო. თანაც, 200 მეტრზე ბატერფლაიში ამერიკის რეკორდი გააუმჯობესა, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. პრეზენტაცია

# BMW დროის ათვლას იწყებს

ფორმულა 1-ის გერმანულ-შვეიცარიულმა გუნდმა - "BMW-ზაუბერმა" 2007 წლის საფორმულო კამპანია ვალენსიაში, ახალი ბოლიდის (F1.07) პრეზენტაციით დაიწყო. ხოლო გუნდის წარდგენიდან რამდენიმე საათში, ეს მანქანა "რიკარდო ტორმოს" ავტოდრომის ტრასაზეც ვიხილეთ.

F1.07-ის დემონსტრირება ვალენსიის სადღესასწაულო დარბაზში მოეწყო. ჟურნალისტებისა და მოწვეული სტუმრების წინაშე წარდგნენ BMW-ს სპორტული განყოფილების შეფი **მარიო თაისენი**, სპორტული დირექტორი **ვილი რამპფი** და გუნდის ძირითადი პილოტები - გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდი** და პოლონელი **რობერტ კუბიცა**.

ახალი მანქანის შეფერილობა ისეთივეა, როგორიც შარშან. ლურჯი და თეთრი ფერები BMW-ის ტრადიციულ შეფერილობას უსვამს ხაზს. რაც შეეხება ტექნიკურ მონაცემებს, ცვლილებები, ძირითადად, მხოლოდ მანქანის აეროდინამიკურ თვისებებს დაეტყო.

*"დღეს განსაკუთრებული დღეა. ეს მხოლოდ ახალი მანქანის პრეზენტაცია არ გახლავთ. ეს არის პირველი ბოლიდი, რომელიც ჩვენი გუნდის მიერ დამოუკიდებლად არის შექმნილი,* - განაცხადა მარიო თაისენმა. - *საკუთარი გუნდის შექმნისას, ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა: 2006 წელს ქულების რეგულარულად მოპოვება, 2007 წელს - პოდიუმზე ასვლა, 2008 წელს კი, გრან-პრის მოგება. ამ მიზნის პირველი ნაწილი შესრულებულია. ჩვენ, აგრეთვე, 275-დან 400 ადამიანამდე გავზარდეთ შტატი, გავაუმჯობესეთ აეროდინამიკური პოლიგონი და ის ულტრათანამედროვე კომპიუტერით აღვჭურვეთ. მაგრამ, მორიგი ნაბიჯის გადადგმა არც ისე მარტივი იქნება. შარშან, ჩვენ წინ მყოფმა უახლოესმა კონკურენტმა 50 ქულით გაგვისწრო. ეს ძალიან დიდი სხვაობაა, მაგრამ მჯერა, რომ ახალი მანქანით ამ ჩამორჩენას მნიშვნელოვნად შევამცირებთ. 2006 წელს, მერვედან მეხუთე ადგილამდე ავმაღლდით და ეს იმპულსი აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ".*



ნიკ ჰაიდფელდი და რობერტ კუბიცა ახალ ბოლიდთან

## TV სპორტი

**18 იანვარი. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:35 ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. მელბურნი. ავსტრალია.
10:10 სპორტინფორმი.
10:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ბარსელონა.
12:15 სპორტინფორმი.
12:30 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. ოსასუნა-ატლეტიკო.
14:20 ფიტნესი.
14:48 ჩოგბურთი. ATP. ფინალი. მელბურნი. ავსტრალია.
16:23 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
16:53 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ლევანტე.
18:41 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:10 კრივი. 2006 წლის საუკეთესო ბრძოლები.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ფინიქსი.
22:35 სპორტინფორმი.
22:50 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
23:17 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
23:45 სპორტინფორმი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი-ბეტისი (LIVE).
01:55 კრივი. ნოკაუტების დრო.
02:45 ფიტნესი.
03:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-ტორონტო (LIVE).
07:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე.
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
17:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე.
20:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. პოკლიუკა. სლოვენია.
21:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. XII ეტაპი (LIVE).
00:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონაკო.
02:15 რალი-რეიდი. დაკარი 2007. XII ეტაპი.
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. V დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ლაკროსი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 მულტისპორტი.
17:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაგა. ესპანეთი.
18:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ.
19:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. არგენტინა-ჰოლანდია. კილმესი. არგენტინა.
20:00 ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K95. ტურინი. იტალია (LIVE).
22:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. გერმანია-ესპანეთი. კილმესი. არგენტინა (LIVE).
23:30 ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K95. ტურინი. იტალია (LIVE).
00:15 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ავსტრალია-ჰოლანდია. კილმესი. არგენტინა (LIVE).
01:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისის თასი. 1/32 ფინალი. გადათამაშება | |
|---|---|
| ფულჰემი-ლესტერი | 4:3 |
| ნიუკასლი-ბირმინგემი | 1:5 |
| ტოტენჰემი-კარდიფი | 4:0 |

| იტალიის თასი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| კიევო-სამპდორია | 1:2 (0:1) |
| პარმა-რომა | 2:2 (1:2) |
| ინტერი-ემპოლი | 2:0 (2:0) |

| ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები | |
|---|---|
| დეპორტივო-მალიორკა | 1:1 (2:1) |
| სევილია-რაიო ვალეკანო | 3:1 (0:0) |
| ვილარეალი-ვალიადოლიდი | 0:1 (1:2) |
| სარაგოსა-მალაგა | 0:1 (3:0) |
| ოსასუნა-ატლეტიკო | 2:0 (1:1) |
| ვალენსია-ხეტაფე | 2:4 (1:1) |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| პსჟ-ტულუზა | 0:0 |

| საფრანგეთის ლიგის თასი | |
|---|---|
| ლიონი-ლე მანი | 1:0 |

| შოტლანდიის თასი | |
|---|---|
| ეირი-სტ. ჯონსტონი | 1:1, დ.დ. 1:2 |

| საბერძნეთის თასი | |
|---|---|
| იანინა-ოლიმპიაკოსი | 2:0 |
| ილისიაკოსი-ქსანტი | 0:2 |
| პაოკ-პანათინაიკოსი | 2:1 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ნიურნბერგი-პაშინგი | 1:2 |
| როიტლინგენი-შალკე | 1:4 |
| ზაარბრიუკენი-ბაიერნი | 1:5 |
| გალათასარაი-ჰერტა | 0:1 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| ცსკა-ჟალგირისი | 88:72 |
| ოლიმპიაკოსი-ეფესი | 72:91 |
| პო ორტეზი-ნაპოლი | 68:72 |
| კლიმამიო-ტაუგრესი | 90:82 |
| პარტიზანი-ოლიმპია | 106:60 |
| უნიკახა-პანათინაიკოსი | 67:61 |

**ჰოკეი**

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სპარტა-ვსეტინი | 4:0 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ჟილინა-კოშიცე | 1:4 |

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ანაჰაიმი-სენტ ლუისი 2:6**

0:1, 0:4, 2:1

**გოლები:** 0:1 ბრიუერი-2 (ჩაიანეკი-18, დვორაკი-16), 0:2 ჩაიანეკი-7 (დვორაკი-17, მ. უოკერი-1), 0:3 უეიტი-6 (რუჩინსკი-19, ვიდემანი-13), 0:4 ტკაჩუკი-15 (დვორაკი-18, ბრიუერი-10), 0:5 მეიერსი-6 (ბ. ჯეკმენი-9, მაკლემანი-10), 1:5 პერი-13 (გეტცლაფი-13, კუნიტცი-20), 2:5 სელიანე-29 (რ. ჯეკმენი-5, ე. მაკდონალდი-33), 2:6 დრეიკი-3.

**ჩიკაგო-კოლამბუსი 4:5 (ო)**

1:1, 2:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ფიოდოროვი-14 (ჟერდიოვი-13, ე. კარტერი-14), 1:1 შარპი-7 (სალმელაინენი-8, ტ. რუუტუ-9), 2:1 სმოლინსკი-10 (ჰაველატი-15, კ. სტიუარტი-3), 3:2 ვანდრემეერი-1 (ტ. რუუტუ-10, შარპი-13), 3:2 კლესლა-6 (ვიბორნი-29, მოდინი-10), 3:3 მოტცკო-1, 3:4 მოდინი-11 (ა. ერიქსონი-16, ტოლეფსენი-3), 4:4 სმოლინსკი-11 (ჰაველატი-16, ვრბატა-20), 4:5 ჩიმერა-9 (მალორტა-6).

**პიტსბურგი-აილენდერსი 5:2**

1:0, 1:2, 3:0

**გოლები:** 1:0 კრისტენსენი-8 (ტელბოტი-4, რაიან უიტნი-21), 1:1 პარკი-5, 2:1 ულეტი-8 (მალკინი-23, კრისტენსენი-5), 2:2 ეშემი-7 (საიმონი-15, ჟერვე-6), 3:2 კროსბი-22 (ულეტი-15, გონჩარი-26), 4:2 კრისტენსენი-9 (კ. არმსტრონგი-12, ორპიკი-4), 5:2 კროსბი-23 (რეკი-26, მელოუნი-6).

**მინესოტა-ედმონტონი 1:2**

0:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ლუპული-13 (ნედვედი-9, შმიდი-5), 0:2 მ-ა. ბერჟერონი-7 (სიკორა-22, ჰორკოფი-18), 1:2 ვალცი-8 (გაბორიკი-4, რადივოევიჩი-8).

**ატლანტა-ლოს ანჯელესი 6:2**

2:1, 1:0, 3:1

**გოლები:** 0:1 ფროლოვი-22 (დ. არმსტრონგი-23, კამალერი-23), 1:1 ჰნიდი-4 (კოვალჩუკი-24, მეტროპოლიტი-14), 2:1 მარიან ჰოსა-27 (მელანბი-13, ვიაჩ. კოზლოვი-30), 3:1 ჯ. სლეიტერი-3 (კოვალჩუკი-25, ქობურნი-3), 3:2 კოსტოპულოსი-6 (ა. მილერი-5, კამალერი-24), 4:2 მარიან ჰოსა-28 (ვიაჩ. კოზლოვი-31, დე ვრისი-12), 5:2 მეტროპოლიტი-10 (რუჩინი-11), 6:2 მარიან ჰოსა-29 (ქობურნი-4).

**მონრეალი-ვანკუვერი 0:4**

0:2, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 გრინი-2 (ბიეკსა-18, კესლერი-9), 0:2 კრაიჩეკი-2 (ბულისი-7, ნესლუნდი-20), 0:3 კესლერი-6 (ბიეკსა-19, გრინი-4), 0:4 ბულისი-8 (კესლერი-10).

**ფლორიდა-კაროლინა 2:3 (ო)**

0:1, 0:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ს. უოკერი-15 (ე. კოული-24, ბრინდამორი-38), 1:1 ო. იოკინენი-22 (ოლეში-29, კვიატკოვსკი-3), 2:1 ჰორტონი-15 (ო. იოკინენი-29, სალეი-19), 2:2 ე. კოული-20 (სტილმანი-12, სეიდენბერგი-2), 2:3 ჯასტინ უილიამსი-23 (რეი ჯიტნი-33, ბრინდამორი-39).

**ოტავა-ვაშინგტონი 5:2**

2:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 მეხაროში-6 (ალფრედსონი-32, რედენი-15), 2:0 კომრი-10 (ჰიტლი-34, პრისინგი-20), 2:1 ქ. კლარკი-17 (ემინგერი-10), 3:1 ალფრედსონი-16, 4:1 კომრი-11 (მეფერი-17, პრისინგი-20), 4:2 ემინგერი-1 (გორდონი-10, ოვეჩკინი-35), 5:2 შეფერი-8 (ნილი-11, ფილიპსი-11).

**ტამპა ბეი-ტორონტო 2:4**

1:0, 1:2, 1:2

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-29 (სენტ ლუისი-34, სერიჩი-10), 1:1 ანტროპოვი-6 (პონიკაროვსკი-14, კილგერი-8), 2:1 ბოილი-11 (ფედოტენკო-12, ბ. რიჩარდსი-24), 2:2 პოლი-7 (მაკეიბი-26, ტ. კაბერლე-30), 2:3 სტინი-10 (სტაიანი-15, ტ. კაბერლე-31), 2:4 პონიკაროვსკი-12 (სუნდინი-24, ანტროპოვი-7).

**ნიუ ჯერსი-რეინჯერსი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი:** 1:0 ლუკოვიჩი-2.

ინტერვიუ დიკემბე მუტომბოსთან

# ჯორდანმა გვერდით ჩამიფრინა

**"ჰიუსტონ როკეტსის" კონგოელი ცენტრი დიკემბე მუტომბო ბევრი რამის გამო არის პოპულარული. ის უყვართ ერთდროულად ჭირვეული ხასიათისა და კეთილი გულის გამო. უყვართ ემოციური გულახდილობისთვის - როგორც ტრიუმფის, ასევე წარუმატებლობის შემთხვევაში. ალბათ, გულშემატკივრებს მუტომბო ყველაზე კარგად იმ დროს დაამახსოვრდათ, როცა ის სიხარულისგან კრუნჩხვებში ჩავარდნილი, მოედანზე იწვა. მაშინ, აუტსაიდერად შერაცხულმა "დენვერმა" შეუძლებელი შეძლო: 1994 წლის ფლეი ოფის პირველ წრეში, ასპარეზობას გამოთიშა რეგულარული ჩემპიონატის მიხედვით დასავლეთის საუკეთესო გუნდი - "სიეტლ სუპერსონიქსი". მაშინ, შედარებით ახალგაზრდა მუტომბომ (პასპორტით ის 27 წლის იყო, სინამდვილეში კი, მისი ასაკი ზუსტად არავინ იცის), იმ სერიის მატჩებში 31 დაფარება გააკეთა. დღემდე, ეს მაჩვენებელი NBA-ის ფლეი ოფის ხუთმატჩიანი სერიების რეკორდად ითვლება. ერთი წლის შემდეგ, აფრიკელი ლიგის საუკეთესო მცველი გახდა. მას შემდეგ 12 წელი გავიდა, მაგრამ მუტომბო, ბევრის გასაოცად; ძველებურად მწყობრშია. ხოლო მას შემდეგ, რაც დეკემბრის ბოლოს "ჰიუსტონს" იაო მინი გამოაკლდა, დიკემბემ სასტარტო ხუთეულში დაიკავა ადგილი და აგერ უკვე ზედიზედ 12 მატჩია, მინიმუმ 10 მოხსნის გარეშე არ ტოვებს მოედანს, ხოლო დაფარებების საშუალო მაჩვენებელი 2.8-მდე გაზარდა. მუტომბო თანაგუნდელებსაც ძალიან უყვართ, თუნდაც მისი კოლორიტული აქცენტის გამო, რომელიც ბევრჯერ გამხდარა ხუმრობის საგანი. სამაგიეროდ, ლუბას ტომის შვილმა 9 ენა იცის, რითაც NBA-ის ვერცერთი კალათბურთელი ვერ დაიტრაბახებს. დიკემბეს სხვა რამითაც შეუძლია თავის მოწონება - თავის დროზე, სწორედ მან შეძლო მაიკლ ჯორდანის პროვოცირება სხვადასხვა გმირობების ჩასადენად. თუმცა, ამაზე ქვემოთ.**

ESPN.com-ის ჟურნალისტმა მუტომბოს, პირველ რიგში, ასაკის შესახებ დაუსვა შეკითხვა, მაგრამ თავისი საპასპორტო მონაცემებისა დიკემბეს თავად არ სჯერა.

- 40 წლის ვარ! - თქვა "ჰიუსტონის" ცენტრმა და ჟურნალისტს თვალი ჩაუკრა.

**- მაშინ ის გვითხარით, რა ასაკის ადამიანად გრძნობთ თავს?**

- სხვა გზა არ მაქვს, 40 წლისა უნდა ვიგრძნო თავი.

**- თქვენი მუხლებიც იგივეს გრძნობენ?**

- ამ მხრივ საწუწუნო არაფერი მაქვს. მე ღმერთისგან განებივრებული ადამიანი ვარ. ასეთ ასაკში კალათბურთის თამაშს ვაგრძელებ და გუნდისთვის სარგებელიც კი მომაქვს... სხვა რა უნდა ვინატრო ცხოვრებაში?!

**- მოდით, ჩვენი საუბარი სულ თავიდან დავიწყოთ. მოყევით, როგორ მოხვდით ამერიკაში.**

- რა არის ამაში განსაკუთრებული? მე ხომ სოფლიდან არ ჩამოვსულვარ, დიდ ქალაქში გავიზარდე. კინშასაში დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. იქ იეზუიტთა მისიონერულ სკოლაში დავდიოდი. როცა სკოლა დავამთავრე, ამერიკაში სასწავლებლად წასვლა გადავწყვიტე. მივედი ამერიკის საელჩოში და ვიკითხე - შემომთავაზებდა თუ არა რომელიმე უნივერსიტეტი სტიპენდიას. ბევრ ამერიკულ სასწავლებელს მიჰყავს ახალგაზრდები აფრიკიდან - სხვადასხვა საქველმოქმედო თუ სამთავრობო პროგრამების მიხედვით. მე ოთხმა უნივერსიტეტმა შემომთავაზა ადგილი სამედიცინო ფაკულტეტებზე. მინდოდა, ქირურგი-კარდიოლოგი გამოვსულიყავი - მამაჩემს მოსწონდა ეს პროფესია. საბოლოოდ, ჯორჯთაუნი, კათოლიკური უნივერსიტეტი ავირჩიე.

**- კალათბურთის თამაში როდის დაიწყეთ?**

- მეორე კურსზე. მანამდე მოედანზე ფეხიც არ მქონდა დადგმული. ამერიკაში ხომ არა კალათბურთის სათამაშოდ, არამედ მედიცინის შესასწავლად ჩავედი. მაგრამ ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში 7 ფუტის (უფრო ზუსტად, 7 ფუტისა და 2 დუიმის, ანუ 218 სანტიმეტრის - რედ) სიმაღლის სტუდენტებიდან, იშვიათად რომ ვინმე კალათბურთს არ თამაშობდეს. თუ ასეთი მაინც გამოერია, მას გაკვირვებით უცქერენ: "ასეთი მაღალია და სპორტს არ მისდევს? ე.ი. ეს ბიჭი მთლად წესრიგში ვერ უნდა იყოს..." მოკლედ, მთხოვეს ვარჯიშებში მონაწილეობა.

**- როგორ მოახერხეთ ასე სწრაფად კალათბურთში წარმატებების მიღწევა?**

- ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელის - ჯონ ტომპსონის ხელში მოვხვდი. მანეგრევე მითხრა, რომ ჩემგან მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი გამოვიდოდა (თავის დროზე, ტომპსონი ლეგენდარულ "ბოსტონ სელტიქსში", თვით ბილ რასელის დუბლიორი იყო; მწვრთნელის რანგში ჯორჯთაუნი აუტსაიდერიდან ჩემპიონად აქცია. მაგრამ, მისი წარმატებები ოდნავ დაჩრდილა სეულის ოლიმპიადამ, სადაც ამერიკის ნაკრებმა სსრკ-სთან წააგო - რედ.).

**- ტომპსონს დიდხანს დასჭირდა თქვენი დარწმუნება, რომ კალათბურთს უნდა გაჰყოლოდით?**

- არა. ასეთ ლეგენდას ბევრი სიტყვები არ სჭირდება. საკმარისია გითხრას: "შვილო, მინდა, რომ შენ ჩემს გუნდში ითამაშო". თუმცა, თავიდან ცოტათი შემეშინდა, რომ ამხელა ადამიანი ჩემი მწვრთნელი იქნებოდა, მაგრამ შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. რა თქმა უნდა, მშობლებმა ამერიკაში იმისთვის გამიშვეს, რომ ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ ისე არ გამოვიდა, როგორც მათ სურდათ. თუმცა, ამაზე აღარავინ წუხს. დღეს, ჩვენი ოჯახი სწორედ კალათბურთის წყალობით ცხოვრობს ისე, როგორც ადრე არასოდეს უცხოვრია.

■ ■ ■

**- ბლოკ-შოტებს სპეციალურად გასწავლიდნენ, თუ ეს ბუნებრივი ნიჭის დამსახურებაა?**

- ალბათ, ეს იმის წყალობითაა, რომ ბავშვობაში ფეხბურთის თამაშისას მეკარე ვიყავი ხოლმე. იქაც აუცილებელია ბურთის ტრაექტორიის გამოცნობა. სწორედ ამიტომ, ჩემი შვილები ფეხბურთზე შევიყვანე. როცა გაიზრდებიან, ჩემსავით კალათბურთს ითამაშებენ და მამაზე უკეთესი მოთამაშეები იქნებიან. სამ უმცროს შვილს აუცილებლად ჯორჯთაუნში სასწავლებლად შევიყვან. ეს მათ გარეშე უკვე დიდი ხანია გადავწყვიტე. უნივერსიტეტში ყოველ წელს დამყავს, რათა მამის სასწავლებლის ატმოსფერო შეიგრძნონ.

**- ფეხბურთს დღემდე თვალს ადევნებთ? ალბათ, კონგოს ნაკრების დიდი გულშემატკივარი ხართ?**

- ამისთვის დრო ნაკლებად მრჩება. ჩვენ ხომ კვირაში 3-4 და ხანდახან 5 თამაშის ჩატარება გვიწევს.

**- მსოფლიო ჩემპიონატს უყურეთ?**

- რა თქმა უნდა, სხვანაირად როგორ იქნებოდა?! ბრაზილიას ვქომაგობდი.

**- რატომ ბრაზილიას და არა აფრიკულ ნაკრებებს?**

- პელე! მე ის ბავშვობიდან მიყვარს და ამიტომ, ყოველთვის ბრაზილიას ვგულშემატკივრობ. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მომავალში იაო მინთან ერთად ჩინეთის ნაკრებს დავუჭირო მხარი.




დიკემბე მუტომბო (მარჯვნივ) თანაგუნდელებსაც უყვართ

**- სხვათა შორის, იაო მინზე მინდა გკითხოთ. შეესაბამება თუ არა ჩინელის გარშემო ატეხილი სარეკლამო ბუმი მის ოსტატობას?**

- დღეს ის ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და ამით ყველაფერია ნათქვამი. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ სხვას ისეთს, რომელიც იაოს ჰგავს. ამ ბიჭს ყველაფერი შეუძლია: მოხსნა, სროლა, დაფარება, დაცვა... ბედმა გამიღიმა, რომ კარიერას ასეთ კალათბურთელთან ერთად ვამთავრებ.

**- ბევრს მიაჩნია, რომ კარიერა უფრო ადრე უნდა დაგესრულებინათ. ოთხი წლის წინათ, "ფილადელფიიდან" გაგიშვეს და ყველას ეგონა, რომ ეს დასასრული იყო...**

- მუტომბოსთვის დასასრული მაშინ დადგება, როცა ამას თავად მოისურვებს. თავის დროზე, "ატლანტაშიც" გადაწყვიტეს, რომ უნდა წავსულიყავი. შემდეგ წელს კი, "ფილადელფიასთან" ერთად, ფლეი ოფის ფინალში ვითამაშე. "სიქსერსიდან" წავედი და კვლავ ფინალში აღმოვჩნდი, უკვე "ნიუ ჯერსისთან" ერთად. დიდი გველის მოკვლა ძალიან ძნელია. მხოლოდ თავს თუ მოაჭრი, სხვანაირად არაფერი გამოვა. ჩემი თავი კი, ჯერ თავის ადგილზეა. უკვე რამდენჯერმე სცადეს მისი მოკვეთა, მე კი, როგორც ადრე ვაფარებდი ბურთებს, დღემდე ისევე ვაფარებ.

■ ■ ■

თავის დროზე, მუტომბო ცდილობდა ისეთი ახალგაზრდის რეპუტაცია შეექმნა, რომელსაც ავტორიტეტების არ ეშინია. ერთხელ, აფრიკელმა გადაწყვიტა, თვით ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი გამოეყვანა წყობიდან. *"თუ ის ასეთი მაგარია, მაშინ თვალახვეულმა ჩააგდოს საჯარიმო"*, - თქვა დიკემბემ. ჯორდანი აზარტული კაცი იყო და როგორც წესი, ასეთი გამოწვევების მიღებაზე უარს არ ამბობდა. ერთხელაც, "ჩიკაგოსა" და "დენვერის" მატჩში, მისმა უპაერესობამ თვალები დახუჭა და საჯარიმო ისროლა. ბურთი ისე ჩაეშვა ბადეში, რომ ფარს არც შეხებია. *"კეთილი იყოს შენი მობრძანება NBA-ში"*, - უთხრა მაიკლმა შერცხვენილ ახალბედას.

მუტომბოსა და ჯორდანის კიდევ ერთი კონფრონტაცია 1997 წლით თარიღდება. მაშინ, დავის საგანი აფრიკელის მთავარი ნიჭი - ტყორცნების დაფარება გახდა. ყოველ ბლოკ-შოტს დიკემბე ორიგინალური ხერხით აღნიშნავდა: მეტოქისკენ ბრუნდებოდა და მკაცრად უქნევდა ცხვირწინ საჩვენებელ თითს, ისე, როგორც ამას მშობლები შვილებს უკეთებენ.

**- საიდან გაქვთ ეს ჟესტი? ბავშვობიდან გამოგყვათ?**

- არა. ეს 90-იანი წლების შუაში მოვიგონე, როცა "ატლანტაში" ვთამაშობდი. ეს ჟესტი ნიშნავს: "ამის შემდეგ, შენი ფეხი არ იყოს ჩემს "სახლში!"

**- სწორედ მაშინ დაიტრაბახეთ, რომ ჯორდანი ვერასოდეს გადაგატენიდათ ბურთს თავზე...**

- ... და მას შვიდი თუ რვა წელი დასჭირდა იმისთვის, რომ ამის შესრულების მცდელობა ჰქონოდა.

**- მაგრამ მაინც გააკეთა. და იგივე ჟესტით გიპასუხათ.**

- სისულელეა! რას ჰქვია "თავზე გადამატენა"?! მაიკლმა ჩემი პარტნიორი მოატყუა და ფარისკენ გაფრინდა, მე კი, უბრალოდ, დაზღვევაზე თამაში ვერ მოვასწარი. ჯორდანი თავზე კი არ გადამახტა, არამედ გვერდით ჩამიფრინა.

**- 16-წლიან კარიერაში ვინმეს ჩაუტენია თქვენს თავს ზემოთ ბურთი?**

- არ მახსოვს. ადრე თუ გვიან, ვინმე აუცილებლად გამოგეპარება, იქნება ეს შაკილ ო'ნილი თუ იაო მინი. განსაკუთრებით მაშინ, როცა დაფარებებზე ხარ სპეციალიზირებული. აქ მხარეთა შანსები თანაბარია: ან ლამაზი ბლოკ-შოტი გამოვა, ან ლამაზი "ლურსმანი".

**- ამბობენ, რომ ცოტა ხნის წინათ, ორლანდოში მატჩის დროს, რომელიღაც გულშემატკივარს თქვენს მიმართ რასისტული ფრაზა უსვრია...**

- ყველაფერი ხდება. ამერიკაში რასიზმი დღემდე არსებობს. და აქ მნიშვნელობა არ აქვს, ბევრი ფულის პატრონი ხარ თუ არა. მაგრამ, მე იმათ რიცხვში არ შევდივარ, ვისაც უკან დახევა სჩვევია. თუ ვინმემ მაწყენინა, მას თავის სიტყვებზე პასუხის გაცემა მოუწევს...

■ ■ ■

მოქმედ კალათბურთელებს შორის, დიკემბე მუტომბო დაფარებების რაოდენობით დიდი სხვაობით ლიდერობს. გარდა ამისა, მან გასულ კვირას ლეგენდარულ **ქარიმ აბდულ-ჯაბარს** გაუსწრო და ამ მაჩვენებლით ყველა დროის სიაში მეორე ადგილზე გადავიდა. მის წინ, მხოლოდ **ჰაკიმ ოლაჯუონია**, რომელიც წარმოშობით ასევე აფრიკიდანაა (ნიგერიიდან).

**საუკეთესო ათეული**

| | ს | თ | სულ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ოლაჯუონი | 18 | 1238 | 3830 | 3,09 |
| 2. მუტომბო | 16 | 1109 | 3195 | 2,88 |
| 3. აბდულ-ჯაბარი | 20 | 1560 | 3189 | 2,57 |
| 4. იტონი | 11 | 875 | 3064 | 3,50 |
| 5. დ. რობინსონი | 14 | 987 | 2954 | 2,99 |
| 6. იუინგი | 17 | 1183 | 2894 | 2,45 |
| 7. როლინზი | 18 | 1156 | 2542 | 2,20 |
| 8. შ. ო'ნილი | 15 | 945 | 2381 | 2,52 |
| 9. პერიში | 21 | 1611 | 2361 | 1,47 |
| 10. მოურნინგი | 14 | 772 | 2241 | 2,90 |

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა